ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba


8 აპრილიდან!
3ფ[ფკბ სფჯ,ფ4
+
ეს
სამყაროა
!) კფჰბ




jhif,fsb7 !$ fghbkb7 @)!$ 187 (6398) afcb5 #) stshb

# ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ „ქართულ ოცნებაში“ შეთქმულება მზადდება!“



გვ.3

ახალი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უკან რუსეთი დგას



## ნუკრი ქანთარია: საქართველოში არეულობა არ მოხდება!“

გვ.4

რისი უფლება მიეცა პროკურატურას



## ნიკა მელიამ ელიზბარ ჯაველიძესა და ნონა გაფრინდაშვილს პროვოკაცია მოუწყო

გვ.6



## გელა ნიკოლაიშვილი: ხელისუფლებამ ძალიან ბევრი მომხრე დაკარგა“

გვ.2



## პეტრე მამრაძე: ხელისუფლებამ მერაბიშვილს პოლიტიკური ლევნილის იმიჯი შეუქმნა“

გვ.5



# უკრაინაში შეტაკებები დაიწყო

გვ.5



ილია II: მამაკაცმა ოჯახის წინაშე თავისი პასუხისმგებლობა უნდა იგრძნოს“

გვ.5

## ბაჩო ახალაია ბრძოლის გაგრძელებას აპირებს

გვ.5





## გიგა ბოკერიას შეურაცხყოფა მიაყენეს

გვ.5

## გიგი უგულავას სიმამრი პასუხისგებაში მიეცა

გვ.4



გვ.5

დიმიტრი ლორთქიფანიძე: ძველი თბილისი ჰუმანიტარული კატასტროფის წინაშეა“

ISSN 1987-9385
9 771987 938006

6 ირაკლი ღარიბაშვილი: არჩევნები მშვიდ ვითარებაში უნდა ჩატარდეს“

6 მსურველის გამოჩენის შემთხვევაში, ბანკი ქართუ“ გაიყიდება“

6 დღეიდან ვნების შვიდეული იწყება

6 რუსეთის საერთაშორისო ავტორიტეტი ნაკუწებად იქცა“

# გელა ნიკოლაიშვილი: ხელისუფლებამ ძალიან ბევრი მომხრე დაკარგა“

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილთან

***– ბატონო გელა, საუბარია, რომ რაც უფრო ახლოვდება არჩევნები, მით უფრო მეტია საფრთხე ნაციონალების მხრიდან მოსალოდნელი პროვოკაციებისო. რას ფიქრობთ თქვენ, რამდენად სახიფათოა ვითარება?***

– მე ვფიქრობ, ნაციონალებს იმდენი გონება ნამდვილად ჰყოფნით, რომ მათ რაიმე ფართომასშტაბიანი პროვოკაციის მოწყობა არ სცადონ, იმიტომ, რომ ფართომასშტაბიანს, ფართო მასები სჭირდება და ფართო მასების მხარდაჭერა მათ ნამდვილად არ გააჩნიათ. წვრილ-წვრილი პროვოკაციები, რა თქმა უნდა, იქნება, თუმცა ეს იქნება არა მათი ინიციატივით, არამედ ისინი ყველა შესაძლებლობას გამოიყენებენ ასეთი პროვოკაციისთვის, მაგალითად, ხელისუფლების შეცდომას ან, ვთქვათ, ხელისუფლების მომხრე ჯგუფების მხრიდან აგრესიულ მოქმედებას, რასაც ბოლო ხანებში ადგილი აქვს, ამას ვხედავთ. მე არ მჯერა, რომ იქ ხელისუფლების უმაღლესი ეშელონებიდან მოდის ეს დავალებები, მათი შეხვედრების ხელის შეშლის, მაგრამ ფაქტია, რომ ამას უფრო მეტად ნაციონალები იყენებენ და ეს არასასურველი მოვლენაა, ისევე, როგორც, ვთქვათ, ნაციონალების ბატონობის დროს, კალაძის, ბურჯანაძის და სხვების წინააღმდეგ, როდესაც აქციებს უწყობდნენ, არ აძლევდნენ ხალხთან შეხვედრის საშუალებას, ფაქტიურად ეს ნაციონალების ოპონენტებზე ასხამდა წყალს, დღესაც ასეა, ფაქტიურად ყოველი ასეთი ხელის შეშლა, მით უმეტეს ნაციონალები ამაში დაოსტატებულები არიან, რომ ბუზი სპილოდ აქციონ და ერთი პატარა კონფლიქტი თუ ინციდენტი გაბერონ და წარმოაჩინონ ისე, რომ მთელი სახელისუფლებო აპარატი მომართულია ასეთი შეხვედრების ჩასაშლელად. ასეთ შემთხვევებს და კიდევ მათ მსგავსებს ადგილი ექნება, ოღონდ, ფართომასშტაბიან დესტაბილიზაციაში ეს არ გადაიზრდება, როგორც გაჟღერდა, რომ ნაციონალები თბილისური მაიდნისათვის ემზადებიან... ამის რესურსი მათ უბრალოდ არ გააჩნიათ, თორემ სურვილი, რა თქმა უნდა, დიდი ექნებათ, ამას სჭირდება საზოგადოებრივი განწყობა და განწყობა აბსოლუტური უმრავლესობის არის ნაციონალების წინააღმდეგ, ამიტომ ეს გამორიცხულია!

***– ხომ შეიძლება, ნაციონალები თავადვე აწყობდნენ ამ პროვოკაციებს და თავადვე შლიდნენ საკუთარ შეხვედრებს, რადგან ეს მათ ინტერესებში შედის...***

– მე ასე არ ვვარაუდობ, მე ვხედავ და ის კადრები რომლებიც ქვეყნდება, იმაზე მეტყველებს, რომ ამას ადგილობრივი აქტივისტები აკეთებენ, ოღონდ „ქართული ოცნების“, რომლებსაც გულუბრყვილოდ სჯერათ, რომ „ქართულ ოცნებას“ უწევენ ქულებს და სინამდვილეში ისინი ობიექტურად ნაციონალების წისქვილზე ასხამენ წყალს, ოღონდ, რა თქმა უნდა, ეს არ არის ნაციონალების ინიცირებული, უბრალოდ, ნაციონალებს ახასიათებთ ყველა ხელსაყრელი სიტუაციის თავიანთ სასარგებლოდ გამოყენება და ესეც მათთვის, როდესაც დევნილი ხარ, გჩაგრავს ხელისუფლება, გავიწროებს, რა თქმა უნდა, სიმპათიები და მით უმეტეს დასავლეთის სიმპათიები, რომლის ფავორიტებიც არიან დასავლეთის ძალიან ბევრ წრეებში ნაციონალები, მათ როდესაც ამ კადრებს აჩვენებენ, თავისთავად მათი პოზიციები ძლიერდება და ხელისუფლების სუსტდება.

***– ბატონო გელა, რაც უფრო მოახლოვდება არჩევნების თარიღი, ალბათ, მით უფრო გამწვავდება სიტუაცია...***

– დიახ, ასე იქნება, მაგრამ იმდენი გონება უნდა ეყოს ხელისუფლებას, რომ ამ სიტუაციის გამწვავების საბაბი და მიზეზი არ მისცეს, იმიტომ რომ ნაციონალების მთავარი მიზანი არის, რომ დაიმკვიდროს მთავარი ოპოზიციური ძალის ადგილი. გახსოვთ, რომ საპარლამენტო არჩევნებში დაახლოებით 40% მიიღეს, ახლა გაყალბებით იყო თუ როგორ იყო, ეს დაიწერეს. საპრეზიდენტო არჩევნებში დაახლოებით 20% მიიღეს, ეს შედარებით რეალური ციფრი იყო. თუმცა ეს 20% მიიღეს იმიტომ, რომ ცოტა ხალხი მივიდა საპრეზიდენტო არჩევნებზე და ბევრი რომ მისულიყო, რა თქმა უნდა, ნაკლები იქნებოდა. დღეს მათი პროგრამა მინიმუმ არის, რომ ეს პროცენტი ან



გააუმჯობესონ, ან უფრო ნაკლები არ მიიღონ და კვლავ დაფიქსირდნენ მეორე პოლიტიკურ ძალად. ხელისუფლებას ნაციონალები უფრო აწყობთ მთავარ ოპოზიციურ ძალად, ალბათ, გარიგებებსაც ექნება ადგილი, როგორც საპრეზიდენტო არჩევნების დროს ჰქონდა ადგილი ნაციონალებისა და ოცნების წარმომადგენლებს შორის. დღეს დანარჩენი არასაპარლამენტო ოპოზიციის მთავარი ამოცანა ის არის, რომ მთავარ ოპოზიციად დაფიქსირდნენ და 20%-ზე ნაკლები მიიღონ ნაციონალებმა და უფრო მეტი დანარჩენმა. თუმცა, სამწუხაროდ, ეს დანარჩენი ოპოზიციური ძალები ისე დაიქსაქსნენ, რომ ამის შანსი სულ უფრო ნაკლები რჩება.

***– ყოველთვის ვსაუბრობდით ჩვენ, რომ ვერ მოხერხდებოდა არასაპარლამენტო ოპოზიციის გაერთიანება. ძველი გამოცდილება გვკარნახობდა ამას და მართლაც ასე მოხდა, ვერ შეძლო ოპოზიციამ ერთიანობა. რა შანსები აქვთ მათ?***

– ამ სიტუაციაში, როდესაც მინიმუმ სამი ძალა ყალიბდება, როგორც ეტყობა ერთი ბურჯანაძის გარშემო, მეორე კუკავა და მემარჯვენეები, მესამე ედეპე, ხარატიშვილი და კიდევ ვილაცები... როგორც ეტყობა, სამი ოპოზიციური გაერთიანება იქნება და, რა თქმა უნდა, მათ შორის ხმები გადანაწილდება. შესაძლოა, რომელიმემ მაინც გადაუსწროს ნაციონალებს, მაგრამ, რასაკვირველია, სასურველი იყო ერთიანი, მძლავრი ოპოზიცია ყოფილიყო, მაგრამ კვლავ თავი იჩინა ამბიციებმა, პირველობის დაუოკებელმა სურვილმა, არასათანადოდ შეუფასებლობამ, როგორც საკუთარი შესაძლებლობების, ასევე ზოგადად სიტუაციის არასათანადოდ შეფასებამ. იმდენად ცოტა დრო რჩება უკვე, რომ გაერთიანება პრაქტიკულად შეუძლებელია.

***– ხელისუფლებას რა შანსები აქვს ამ არჩევნებზე?***

– თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენთან, საერთოდ ხელისუფლება ყოველთვის არის ფავორიტი, ყოველთვის აქვს ფორა არჩევნების წინ, რეალური სიტუაციიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, მას აქვს ყველაზე დიდი გამარჯვების შანსები და, სავარაუდოდ, ის გაიმარჯვებს კიდევაც, თუმცა არ უნდა ჩაითვალოს, რომ ეს ხელისუფლების განსაკუთრებული პოპულარობიდან გამომდინარეობს, იმიტომ რომ, თუ ნაციონალებმა ამ ბოლო წელიწად-ნახევარში დაკარგეს მხარდამჭერები, ასევე დაკარგა მხარდამჭერები ოცნებამ, ბოლო ერთ წელიწადში. მიუხედავად იმისა, რომ გაიმარჯვებს ხელისუფლება, ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ ჩვენთან, როგორც წესი, ხელისუფლების მომხრეობა არის ძალიან კომფორტული, განსაკუთრებით კი ადგილებზე. მე რამდენიმე შემთხვევა ვიცი, როდესაც ესა თუ ის ადამიანი საკმაოდ პოპულარულია კონკრეტულ რაიონში, ძალიან დიდი შანსი აქვს გამარჯვების, მაგრამ მათი მცდელობაა, რომ მაინც „ქართული ოცნების“ სიით იყარონ კენჭი, იმიტომ რომ, იციან, ადგილებზე სახელისუფლებო რესურსი იმუშავებს მათი კანდიდატის სასარგებლოდ და არა აქვთ იმედი, რომ ობიექტურად ჩატარდება არჩევნები. თორემ ობიექტურად ჩატარების შემთხვევაში ასეთ კანდიდატებს, რაიონში პოპულარულ ცნობილ ადამიანებს, წესით, კონკურენტი არ ეყოლება, რადგანაც იციან, რომ ხელისუფლება მაინც ხელისუფლებაა და მათ ბერკეტები აქვთ, აი ამიტომ არის ხოლმე მცდელობა, რომ მათი სიით იყარონ კენჭი. ისინი თავს არიდებენ ხოლმე არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიების სიებს.

***– თქვენ ამბობთ, რომ მათ ბევრი ბერკეტები აქვთ, რადგან ხელისუფლებაში არიან. თუმცა საზოგადოებაში მაინც არის იმედგაცრუება, არ აღდგა სამართლიანობა, ეს ეკონომიკური პრობლემები...***

– სწორედ ამას ვგულისხმობდი, როდესაც ვამბობდი, რომ ბოლო ერთ წელიწადში „ქართულმა ოცნებამ“ ბევრი მომხრე დაკარგა, უფრო სწორედ მაგ მიზეზების გამო, მაგრამ, ამის მიუხედავად, ხომ გახსოვთ, როგორი იყო ნაციონალური მოძრაობის რეიტინგი საპარლამენტო არჩევნების წინ, მაგრამ ზოგმა ხათრით, ზოგმა შიშით, ზოგმა იმიტომ რომ მაინც ხელისუფლებაა, რა ვიცი, ხვალ რა იქნება, ზოგმა დაპირებით, ასე თუ ისე, 40%-მდე ადამიანებმა მაინც მისცეს ხმა ასეთ არაპოპულარულ პარტიას. ასეთი არაპოპულარული ჯერჯერობით ნამდვილად არ არის „ქართული ოცნება“ და მით უმეტეს, როდესაც საარჩევნო კომისიებში მხოლოდ ამ ორ პარტიას ჰყავს თავისი წარმომადგენლები, ასე გარიგების საშუალებით გაყალბების შანსები ძალიან დიდია ამ ორ პარტიას შორის.

***– მერედა, რა ეშველება ამ პრობლემებს?***

– ამ არჩევნებზე არაფერიც აღარ ეშველება, იმიტომ რომ საარჩევნო კანონი მიღებულია, არასაპარლამენტო პარტიები პრაქტიკულად და რეალურადაც დარჩენილები არიან წარმომადგენლების გარეშე საარჩევნო კომისიებში დ ისევ და ისევ მასობრივი აქტიურობა იმ ადამიანების, რომლებიც არც ნაციონალებს ემხრობოდნენ, „ქართულმა ოცნებამაც“ იმედები გაუცრუა და უნდა აირჩიონ რომელიმე იმ ძალათაგანი ამ სამი არასაპარლამენტო ოპოზიციური გაერთიანებიდან. თუ გააცნობიერებენ, რომ ისევ მათ აქტიურობას შეუძლია რაღაც ცვლილების მოტანა ხელისუფლებაში, ისევ მათ უნდა იაქტიურონ და ასეთ შემთხვევაში შეიძლება რაღაც ცვლილების მიღწევა.

***– ჩვენ სამართლიანობა ვახსენეთ, ბატონო გელა, თქვენ ადვოკატი ბრძანდებით და, მინდა გითხრათ, რომ საზოგადოებაში დიდი გულისწყრომა გამოიწვია იმ 31- კაციანმა სიამ, რომელთა საქმეებიც ხელახლა უნდა გადაისინჯოს. თქვენი დამოკიდებულება როგორია ამასთან დაკავშირებით?***

– მე მგონი, საზოგადოებამ არასწორად გაიგო ამ სიის მნიშვნელობა და გეტყვით, რაშია საქმე. მე პირადად ვესაუბრე ეკა ბესელიას, გავარკვიე ეს საკითხი და საქმე არის შემდეგში, არა მხოლოდ ეს 31 კაცი, არამედ გაცილებით მეტი ადამიანი მოითხოვდა, რომ მათთვის მიენიჭებინათ პოლიტიკური პატიმრის ან პოლიტიკური დევნილის სტატუსი. ამ მოთხოვნით მიმართავდნენ ეკა ბესელიას კომიტეტს და ამ კომიტეტს არანაირი უფლებამოსილება ამისი აღარ ჰქონდა, იმიტომ, რომ ეს მხოლოდ მაშინ მუშაობდა, მხოლოდ მაშინ ჰქონდა უფლებამოსილება, როდესაც ამნისტია მზადდებოდა და ამნისტიის გზით მოხდა ამ კომისიის შედეგად პოლიტპატიმრების სტატუსის მინიჭება და შემდეგ ამნისტირება. ახლა რადგანაც მათ ამის არანაირი საშუალება არ ჰქონდათ, რომ მიენიჭებინათ ეს სტატუსი, მათ აირჩიეს ასეთი გზა, შეისწავლეს ეს საქმეები და ამ საქმეებიდან 31 საქმეში კომიტეტმა ჩათვალა, რომ მათ საქმეებში შეიძლება იყოს პოლიტიკური მოტივები, მათ თავიანთი აზრი თქვეს. გადააგზავნეს ეს საქმეები პროკურატურაში და უთხრეს – ნახეთ, თქვენც შეისწავლეთ, არის თუ არა ამ საქმეებში პოლიტიკური მოტივები. ეს არის და ეს, მეტი არაფერი. თუმცა, მე ძალიან ეჭვი მეპარება, რომ პროკურატურას რაიმე სამართლებრივი ბერკეტი ჰქონდეს, რომ ამ საქმეების ხელახლა შესწავლა დაიწყოს, მით უმეტეს, პროკურატურა არ ადგენს, პოლიტიკური მოტივი არის თუ არ არის, ეს ფუნქცია მას არ გააჩნია. მას გააჩნია იმის ფუნქცია, გაარკვიოს, დანაშაული არის თუ არ არის, ან რა დოზით არის და რა კვალიფიკაციით. ისე რომ, მე ეს მაინც უფრო ტყუილი შრომა მგონია. მათ ბევრი იშრომეს, მაგრამ მე აქედან ნაკლებ შედეგს ველი. მათ თავიანთი მოვალეობა მოიხადეს, კომიტეტი მეტს ვერაფერს გააკეთებდა, მაგრამ საქმე ამის იქით არ წავა, უბრალოდ, ამის სამართლებრივი ბერკეტი არ აქვს პროკურატურას, რომ საქმეები ან გადასინჯოს, ან გამოიძიოს, რადგან ეს ყბადაღებული ხარვეზების დამდგენი კომისია არ შეიქმნა. ასე რომ იქ 31 იქნება თუ 131, ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, გარდა იმისა, რომ ამ ადამიანებს ფუჭი იმედები მიეცათ.

***– უარს იტყვის ამაზე პროკურატურა?***

– უბრალოდ, პროკურატურას ამის ბერკეტი არ გააჩნია. რა უნდა თქვას პროკურატურამ, შეიძლება თქვას, რომ მე შევისწავლი კი ბატონო, მაგრამ როგორ უნდა გავიგო პოლიტიკური მოტივე იყო თუ არა? კანონიერი განაჩენი არის დამდგარი, ძალაშია შესული, ისინი ხელახლა გამოძიებას ვერ დაიწყებენ იმიტომ, რომ განაჩენი ეს არის კანონი და გამოძიების დაწყება ნიშნავს კანონში ეჭვის შეტანას და კანონში ეჭვის შეტანის მაშინ საფუძველი უნდა იყოს, რაღაცა ახალი გარემოება. აი, რომ მიეღო პარლამენტს ცვლილება კანონმდებლობაში, თუნდაც ის, ვინც პოლიტპატიმრად ცნეს, ეს ყოფილიყო ახალ გარემოებად ჩათვლილი, ან კომიტეტის ეს დასკვნა ყოფილიყო საფუძველი იმისა, რომ გამოძიება განახლებულიყო. მაშინ ეს სხვა არის, მაგრამ კანონი არ აძლევს თვითონ პროკურატურას და მე არ ვიცი, რა მექანიზმი უნდა გამოიძებნოს, რომ მათ დაიწყონ ხელახალი გამოძიება.

***– ან უნდა მომხდარიყო რეჟიმის აღიარება...***

– დიახ, რომელიც არ მოხდა... ეს ცოტა თანმიმდევრული პროცესი უნდა ყოფილიყო, სისტემური ხასიათი უნდა დამტკიცებულიყო ამ ანტიდემოკრატიული რეჟიმისა, რომ ეს ცალკეული გამოვლინებები კი არ იყო, არამედ სისტემა იყო ასეთი: სისტემური მოსმენები, სისტემური წამებები, სისტემური ჩამორთმევები ქონების, რეკეტები, დაშინებები, პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლებები, თვალთვალი და შევიწროებები, რაც მართლა იყო და რაც ვერ დაადასტურა ახალმა ხელისუფლებამ სამართლებრივად. ამიტომაც ხმამაღლა იძახიან დღეს ნაცმოძრაობის წევრები – რომ გაჰყვირით ამდენს, სამართლიანობა, სამართლიანობა, აგერ ვართ და დაგვიმტკიცეთო. ცალკეული დანაშაულები კი გამოავლინეს, მაგრამ ამ პოლიტიკური ძალის სისტემური ხასიათი ვერ გამოავლინეს და ვერ შექმნეს საფუძველი იმისათვის, რომ ეს წარმოეჩინათ, როგორც რეჟიმი და გაესამართლებინათ, როგორც რეჟიმი. ვერ დადეს იმის საფუძველი, რომ დამნაშავე რეჟიმად გამოცხადებულიყო.

## მეტეხის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე მამაკაცის ცხედარი იპოვეს

მეტეხის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდინარე მტკვარში მამაკაცის ცხედარი იპოვეს. ცხედარი სამაშველო სამსახურის თანამშრომლებმა მდინარიდან ამოიტანეს, თუმცა მისი ვინაობა ჯერჯერობით უცნობია. გარდაცვლილი, დაახლოებით 60 წლის მამაკაცია.

„მეტეხის ხიდის ტერიტორიაზე აღმოჩენილ იქნა დაახლოებით 60-70 წლის მამაკაცის გვამი. ადგილზე მივიდნენ შესაბამისი სამსახურები, რომლებიც მის ვინაობას დაადგენენ“, – განაცხადა სამაშველო სამსახურის კრწანისის განყოფილების უფროსმა ლევან შარვაძემ ჟურნალისტებთან საუბარში.

შეტყობინება ცხედრის აღმოჩენის შესახებ სამაშველო სამსახურში დაახლოებით 13 საათისთვის შევიდა.

ნიუსპრესი

ახალი თაობა
[illegible]
www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
[illegible]

შორენა მარსაგიშვილი

# ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ ქართულ ოცნებაში“ შეთქმულება მზადდება!“

## ახალი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უკან რუსეთი დგას

**კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ არსებულ შიდა დაპირისპირებებზე დღეს ბევრი ლაპარაკობს. ვრცელდება უამრავი ვერსია, თუ რა ფორმით მოხდება სახელისუფლებო გუნდში დაპირისპირება. განხეთქილების ვაშლად თითქმის ყველა რესპუბლიკელებს მოიაზრებს. კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის თავმჯდომარე ზაალ კასრელიშვილი აცხადებს, რომ ამ შემთხვევაში რესპუბლიკელები არ აქტიურობენ და ლოდინის რეჟიმში იმყოფებიან.**

**მისი ინფორმაციით, კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ პრემიერ ღარიბაშვილის წინააღმდეგ აქტიურად მიმდინარეობს მოლაპარაკებები. ვინ მონაწილეობს ამ მოლაპარაკებებში, რატომ არ იღებენ ხმას რესპუბლიკელები, ვისთვის და რატომ არის ღარიბაშვილი მიუღებელი, რის გაკეთებას აპირებს რუსეთი — ამ თემებზე ზაალ კასრელიშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრება.**

**ზაალ კასრელიშვილი:**

— ჩვენ ხელთ გვაქვს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ სერიოზული წყალქვეშა დინებებია. ჩვენ ვფლობთ ინფორმაციების იმის თაობაზე, რომ კონკრეტული ადამიანები საიდუმლო შეხვედრებს მართავენ. ირაკლი ღარიბაშვილის მმართველობის სტილი არც მინისტრებს, არც უმრავლესობის და არც უმცირესობის ლიდერებს ხელისუფლებაში ყოფნით ხელის მოთბობის საშუალებას არ აძლევს. ამიტომაც ეს ხალხი ცდილობს, დახლართონ ინტრიგები, რათა ცხოვრების პირობები გაიუმჯობესონ. ეს გახლავთ პირველი მიზეზი, რომლის გამოც ღარიბაშვილი, როგორც პიროვნება, არ მოსწონთ. მეორე მიზეზი, რის გამოც პრემიერის შეიძლება დაუპირისპირდნენ, იქნება გარე ძალების ინტერესები. საქართველოს ხელისუფლებაში არიან ჯგუფები, რომლებიც პირდაპირ ახმოვანებენ გარე ძალების ინტერესებს. ეს ხალხი არც მათი დაკვეთების შესრულებაზე ამბობს უარს. ღარიბაშვილის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობის მესამე მიზეზი გახლავთ ბიძინა ივანიშვილი.

***— ივანიშვილი ამ ყველაფერთან რა კავშირშია?***

— ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან ოფიციალურად წავიდა. თუმცა ყველამ ვიცით, რომ ის ისევ სერიოზულ გავლენას ახდენს ხელისუფლებაზე. ის ხალხში ისევ დიდი პატივისცემით სარგებლობს. ღარიბაშვილი ადგას იმ გზას, რომელიც ივანიშვილმა აირჩია. მას ამ ქვეყნისთვის კიდევ ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია.

პრემიერის დასუსტებით ბიძინა ივანიშვილსაც ასუსტებენ. ეს წარმატებული ადამიანი ბევრს უშლის ნერვებს. ის ქვეყნის და ხალხის საწინააღმდეგოდ არავისთან არ შესულა გარიგებაში.

***— ამბობთ, რომ მთავრობის მეთაურის წინააღმდეგ გარკვეული მოლაპარაკებები მიმდინარეობს. კონკრეტულად რა ძალები აწარმოებენ ამ მოლაპარაკებებს? კარგი იქნება, თუ პიროვნებებსაც დაასახელებთ.***

— სახელისუფლებო კოალიციაში შემავალი ყველა პარტია, „ქართული ოცნების“ გარდა, აქტიურად არის ჩართული ამ მოლაპარაკებებში.

***— გინდათ თქვათ, რომ ღარიბაშვილს შეთქმულებას ეროვნული ფორუმი, კონსერვატორები, თავისუფალი დემოკრატები და რესპუბლიკელები უწყობენ?***

— ეს ძალები ჯერ ერთმანეთთან აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებენ. ამ მოლაპარაკებებსა და თამაშში რესპუბლიკელები ჯერ ჩართული არ არიან.

***— რა არის მათი პასიურობის მიზეზი?***

— სხვებისგან განსხვავებით, მათ კულისებში პოლიტიკური გარიგების მეტი გამოცდილება აქვთ. მათი პასიურობა სწორედ ამის შედეგია.

***— მიაჩნიათ, რომ ამ ეტაპზე ღარიბაშვილთან დაპირისპირება არ ღირს?***

— რადგან არ აქტიურობენ, ალბათ, ასე ფიქრობენ. მათ პოლიტიკაში ყოფნის დიდი გამოცდილება აქვთ. ისინი ნაჩქარევ ნაბიჯებს არ დგამენ. ახლაც ასე მოიქცევიან, თანაც, სხვა პარტიებთან შედარებით, მათ სერიოზული უპირატესობა აქვთ.

***— რით გამოიხატება ეს უპირატესობა?***

— მათ ხელთ აქვთ ისეთი მნიშვნელოვანი პოსტი, როგორიც პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელია. ამიტომ ისინი თავად არავისთან არ მივლენ. რესპუბლიკელები დაელოდებიან, რა ხარისხის გარიგება შედგება, რა კონტურები გამოიკვეთება ახალი კოალიციის შესაქმნელად. მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებენ მოლაპარაკებებში მონაწილეობას და ისიც იმ შემთხვევაში, თუ თავად იქნებიან პროცესების წარმმართველნი.

***— კოალიციაში შემავალი პარტიები ნაციონალებთან თუ აწარმოებენ რაიმე სახის მოლაპარაკებებს?***

— ეროვნულმა ფორუმმა, კონსერვატორებმა და თავისუფალმა დემოკრატებმა, არა მგონია, რაიმე ტიპის მოლაპარაკებები გამართონ ნაციონალებთან.

***— ასეთი მიუღებელია მათთვის ნაცმოძრაობა?***

— მიზეზი მეტად მარტივი გახლავთ. ნაციონალური მოძრაობა მოვლენებს ვეღარ ქმნის. შესაბამისად, ვერც მათი გადაწყვეტილებები მოახდენს რაიმე გავლენას ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე. თუმცა, თუ „ქართული ოცნების“ ბაზაზე ახალი კოალიცია შეიქმნა, მაშინ ნაციონალებს გამოიყენებენ.

***— რაში გამოიყენებენ ნაციონალებს?***

— გადაწყვეტილებების მისაღებად პარლამენტში ხმები დასჭირდებათ. საჭირო ხმების სანაცვლოდ ისინი ნაციონალებს რაღაცებს შეჰპირდებიან. ნაციონალები ამაზე თანახმა იქნებიან.

***— იმ ადამიანების ვინაობას არ დაასახელებთ, ვინც უშუალოდ მონაწილეობს ფარულ მოლაპარაკებებში?***

— რაც გითხარით, ამ ეტაპზე მხოლოდ ამის თქმა შეგვიძლია. მომავალში უფრო დეტალურ ინფორმაციას გავაჟღერებთ. დავასახელებთ იმ პირებსაც, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ ღარიბაშვილის წინააღმდეგ დაწყებულ მოლაპარაკებებში.

***— ზევით ახსენეთ, რომ ღარიბაშვილის წინააღმდეგ გარე ძალებიც მოქმედებენ. ვის გულისხმობთ გარე ძალებში, რუსეთს თუ დასავლეთს?***

— ამ პროცესებში ორივეა ჩართული. რუსეთის სპეცსამსახურების გავლენა ჯერ კიდევ ნარჩუნდება საქართველოში. ქვეყანაში არიან ძალები, რომლებიც რუსეთის დაკვეთებს ასრულებენ. რუსეთისგან განსხვავებით, დასავლეთი საქართველოს ტერიტორიების მიტაცებას არ აპირებს. ამერიკა და ევროპა ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიაზე აპელირებს. გარე ძალებზე როცა ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს ისლამური სამყაროც. კავკასიაში ეს სამყაროც მნიშვნელოვანია. არ ვიცი, ვინმეს მოეწონება თუ არა ეს ამბავი, მაგრამ ეს ასეა. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს ჩვენი მეზობელი ქვეყნები. ვინ სად დაჯგუფდება, ამ ეტაპზე ძნელი სათქმელია. ამ თემაზე სპეცსამსახურები უნდა მუშაობდნენ.

***— დასავლეთისთვის ანდა რუსეთისთვის რატომ უნდა იყოს ჩვენი პრემიერი მიუღებელი?***

— დასავლეთისთვის ის იმიტომ იქნება მიუღებელი, რომ ე.წ. დასავლური ორიენტაციით არ არის გამოზრდილი. ის არასდროს მჯდარა არც დასავლეთის, არც რუსეთის, არც თურქეთის გრანტებზე. ეს არის თავისუფალი ადამიანი, რომელიც არავის ნების შემსრულებელი არ არის. ის ნამდვილი უბატონო ქიზიყელია. პრემიერი არის თავისუფალი ნების ახალგაზრდა. რომელიც ბიზნესშიც კი არ არის ვინმესთან გასვრილი. ის დეკლარირებულად აცხადებს, რომ ქართული სახელმწიფოს შექმნა სურს. ის ამ იდეას აუცილებლად განახორციელებს.



***— გამოდის, რომ დასავლეთი და რუსეთი ქართული სახელმწიფოს იდეის წინააღმდეგი არიან.***

— ეს მათ ინტერესში ნამდვილად არ შედის. დასავლეთმაც და რუსეთმაც ძალიან კარგად იციან, რომ ქართული სახელმწიფოს მშენებლობის იდეას ძალიან ბევრი ავტორიტეტული კავკასიელი დაუჭერს მხარს. ავტორიტეტულ ადამიანებში ვგულისხმობ იმ ხალხს, რომლებიც რეგიონში მოვლენებს ქმნიან. ღარიბაშვილი გარე ძალებს კიდევ ერთი მიზეზით არ მოსწონს. ქართული პოლიტიკური სპექტრი აქამდე დაბალანსებული ჰყავდათ. ისინი ერთმანეთთან ისე იყვნენ შეზავებული, როგორც სანელებლები ერთ რომელიმე კერძში. მათ სურთ, რომ თავიანთი ფავორიტები წაახალისონ და წამოსწიონ. ამ პოლიტიკურ კერძში პრემიერის ადგილი არ არის.

***— ჩვენი პრემიერი, მართალია, გაუსვრელია, მაგრამ ძალიან ახალგაზრდა და პოლიტიკური ინტრიგებში გამოუცდელია. გაუძლებს შინ და გარეთ ასეთ ზეწოლას?***

— ის ადგას სწორ გზას. ყველაზე მთავარი ის გახლავთ, რომ მთავრობის მეთაური გაუსვრელია. ის ქვეყნისა და ხალხის ინტერესების სასარგებლოდ მოქმედებს. მართალი კაცი კი ქვაზე მაგარია. ის პოლიტიკურ ინტრიგებში დახელოვნებული არ არის, მაგრამ გაუძლებს. ამასთან, მას ერთი საყვედურიც უნდა ვუთხრათ. ძალიან სუსტად და არაეფექტურად მუშაობს მისი პიარსამსახური.

***— სისუსტეში რას გულისხმობთ?***

— ძალიან ცუდად შუქდება პრემიერის მოღვაწეობა. ამას ღარიბაშვილმა ყურადღება უნდა მიაქციოს. ასევე აუცილებელია, მოვლენებს ერთი ნაბიჯით გაასწროს. ყველამ იცის, რომ ქვეყანაში მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაა. ეს დღეს ფიზიკურ პრობლემას არ ქმნის, მაგრამ ადგილობრივი არჩევნების შემდეგ, შემოდგომამდე ეს მოსახლეობის უკმაყოფილების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი შეიძლება იყოს. ხალხი შესაძლოა ქუჩაში გამოვიდეს. ქუჩაში ხალხი შესაძლოა უსამართლობის განცდამაც გამოიყვანოს. ეს განცდა მოსახლეობას ძალიან აღიზიანებს. დაპირებულ სამართლიანობის აღდგენას საშველი არ დაადგა, რაც ხალხის სამართლიან აღშფოთებას იწვევს. მაშინ, როცა დამნაშავეები დაუსჯელები დადიან, ხელისუფლება უსუსურად გამოიყურება. ასევე მნიშვნელოვანია საგარეო ორიენტირები. ვეთანხმები ხელისუფლებასა და პრემიერს, რომ ყოველი ნაბიჯი მოსახლეობას არ უნდა აუხსნან. კი ბატონო, ყოველი ნაბიჯის განმარტება საჭირო არ არის, მაგრამ გარკვეული დებატები აუცილებელია.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ ძალიან მომძლავრდნენ ე.წ. პრორუსული ორიენტაციის ძალები. მათ პოლიტიკურ პარტიებში და ხელისუფლებაში მფარველები ჰყავთ. დაპირისპირება პრორუსულ და პროდასავლური ორიენტაციის ძალებს შორის გახლავთ ხელოვნური. ამ პროცესებს ერთი ხელი მართავს.

***— რატომ გგონიათ, რომ ეს დაპირისპირება ხელოვნურია?***

— ამის სათქმელად საკმაოდ სერიოზული ინფორმაცია მაქვს. დარწმუნებული ვარ, რომ ეს დაპირისპირება რუსეთის სპეცსამსახურების მიერ იმართება. 1990 წელს საქართველოში სამოქალაქო დაპირისპირების მიზეზად გამსახურდიას პიროვნულ თვისებებთან დაპირისპირებული დანარჩენი საქართველო გამოაცხადეს. ეს ასე არ იყო, მაგრამ ასე წარმოაჩინეს. რუსები შემოდგომამდე მთელ მსოფლიოს მოსდებენ, რომ საქართველოში პრორუსულად განწყობილ ნაწილს პროდასავლურად განწყობილი ნაწილი უპირისპირდება.

***— ეს რაში აწყობს რუსეთს?***

— საქართველოში შემოჭრისთვის ეს საკმაოდ კარგი საბაბი იქნება, ოღონდ ამისთვის მთელ მსოფლიოს უნდა დაანახვოს, რა საშინლად ექცევიან პრორუსულად განწყობილ ძალებს საქართველოში. მთავარია, მსოფლიოს დაანახვონ, რა უმწეოები არიან პრორუსული ძალები. ისინი ისე უნდა დაიჩაგრონ, რომ რუსეთმა მათ დასახმარებლად აქ შეიარაღებული ძალები გამოაგზავნოს.

***— არსებობს შანსი იმისა, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალები ამ საბაბით საქართველოში შემოვიდნენ?***

— რუსეთისგან ყველაფერი მოსალოდნელია. დღეს ამას აკეთებენ უკრაინაში და ხვალ შესაძლოა იგივე გაიმეორონ საქართველოში. მთავარია, მსოფლიოს დაანახვონ, რა უმწეო და დაჩაგრული პრორუსულად განწყობილი მოსახლეობა. რუსეთი გამოიჩენს „კეთილშობილებას“ და მათ დასაცავად შემოვა. ამიტომ არის აუცილებელი მოსახლეობისთვის განმარტებების გაკეთება. მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რომ საქართველოში პრორუსული და პროდასავლური დაპირისპირება არის ბლეფი და ამის უკან რუსეთი დგას.

***— 12 აპრილს ნაციონალებმა ახალი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყება დააანონსეს. მისი ლიდერი, როლანდ ახალაიას განცხადებით, მიხეილ სააკაშვილი იქნება. ამაზე თქვენ რას ფიქრობთ?***

— ნაციონალების მიერ დაანონსებული ახალი ეროვნული მოძრაობა იქნება სწორედ ის ძალა, რომელსაც რუსეთი დაეყრდნობა. ეს ძალა მიხეილ სააკაშვილის მეთაურობით რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის ინტერესებს გაატარებს. ოღონდ ეს ძალა მკვეთრად ანტირუსული განწყობის მატარებელი იქნება. საქართველოს უამრავი ეროვნული გმირი ჰყავდა. უამრავი ადამიანი იდგა ეროვნული მოძრაობის სათავეში. მიხეილ სააკაშვილი არც წარმომავლობით, არც აღზრდით, არც მენტალიტეტით და არც ცხოვრების სტილით მათ არ ჰგავს. საქართველოს უამრავი მტერი ჰყოლია, მაგრამ სააკაშვილივით ქართველ ხალხს არავინ ჩაგრავდა და ებრძოდა. ჩვენ კარგად ვიცით სააკაშვილის წარსული. ამიტომაც არ გვჯერა მისი. სასაცილოა, რომ ამ მოძრაობის დაწყებას ნაციონალები აპირებენ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, ეს მოძრაობა მხოლოდ იმიტომ იქმნება, რომ საქართველოში დაიწყოს ფიზიკური დაპირისპირება.

***— ამის გარეშეც ხომ მიდის დაპირისპირება?***

— ამას სხვა ეფექტი ექნება. ახლა უფრო სერიოზული მასშტაბი მიეცემა პრორუსული და პროდასავლური ძალების დაპირისპირებას. სინამდვილეში ორივე მხარე პრორუსული და რუსული ინტერესების გამტარებელი იქნება. რუსეთი ყველაფერს გააკეთებს, რათა ნატოს ჯარები საქართველოში არ შემოვიდნენ.

***— ისინი ისედაც არ აპირებენ შემოსვლას. უფრო სწორად, ჩვენ არ გვიშვებენ ნატოში.***

— ამის მიუხედავად, მაინც არის ილუზია, რომ რუსეთის თავდასხმის შემთხვევაში დასავლეთი დაგვეხმარება. 1921 წელსაც გვეგონა, რომ ევროპა დაგვეხმარებოდა, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. მაშინ საქართველოს რუსეთისთვის მათი დახმარების გარეშეც შეეძლო წინააღმდეგობის გაწევა.

***— თუ შეეძლო, რატომ არ გაუწია?***

— საქართველოს მაშინდელ მთავრობას რესურსები სათანადოდ რომ გამოეყენებინა, მეთერთმეტე არმიას კიდევ რამდენჯერმე დაამარცხებდა, ლენინის ხელისუფლებას მოლაპარაკებებსა და დიალოგს აიძულებდა. სამწუხაროდ, მაშინ არასწორი ნაბიჯები გადაიდგა. რაც შეეხება ახალი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებას, ისე აუცილებლად დასაწყებია, ოღონდ მე ნამდვილ ეროვნულ მოძრაობას ვგულისხმობ და არა რუსეთიდან მართულს. გარწმუნებთ, ეს მოძრაობა აუცილებლად იქნება. ნაციონალების დაანონსებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კი ცემა-ტყეპით დაკავდება, დასავლურ ლოზუნგებს ამოფარებული, რუსეთის დაკვეთას შეასრულებს. როგორც უკვე ვთქვი, ახლა მთავარია, რუსეთმა წარმოაჩინოს, რა სასტიკად უსწორდებიან მის მომხრეებს საქართველოში. ამ დავალებას ნაცმოძრაობა შეასრულებს.

***— ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი თუ ჩამოვა საქართველოში?***

— სააკაშვილი აქ არ ჩამოვა. ის ამ პროცესებს შორიდან უხელმძღვანელებს. მას სხვა დავალებებიც აქვს შესასრულებელი.

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

ქ-ნი მარიამი

☎ 599-90-54-78, 234-02-38

2014, 14 აპრილი, №87

# ნუკრი ქანთარია: საქართველოში არეულობა არ მოხდება!“

## რისი უფლება მიეცა პროკურატურას



შორენა კოწოწაშვილი

### ინტერვიუ დეპუტატ ნუკრი ქანთარიასთან

***— ბატონო ნუკრი, რას იტყვით მიხეილ სააკაშვილის მიერ რამდენიმე დღის წინ გაკეთებულ განცხადებაზე, რომლითაც მოსალოდნელ ომზე მიანიშნა? რას ემსახურება ამ ფონზე ექსპრეზიდენტის განცხადებები? ითქვა, სააკაშვილში ამერიკელმა პოლიტიკოსებმა დიდი ინვესტიცია ჩადეს და მას ჯერ კიდევ გამოიყენებენო.***

— სააკაშვილი არავის აღარ სჭირდება, ამაში დარწმუნებული ვარ. ერთადერთი, მას შეიძლება, შერჩენილი ურთიერთობებიდან გამომდინარე, სურვილი აქვს მსოფლიო მოვლენების ეპიცენტრში თუ არა, სადღაც ახლოს მაინც იყოს. მოკლედ, სააკაშვილს უნდა, რომ რაღაცაში ჩართული იყოს. ვიღაცას უნდა, რომ თავი დაანახვოს, რომ თითქოს გამოცდილება აქვს და პროგნოზირება შეუძლია. ეს არის მისი მხრიდან ამის უსუსური მცდელობები. არადა, რამდენჯერ გვითქვამს სააკაშვილზე, ვინ არის, რა შინაგანი მდგომარეობისა და რა ფსიქიკის ადამიანია. ჩვენ მას კარგად ვიცნობთ და ამიტომ, ბუნებრივია, მისი სიტყვების არ გვჯერა. ტყუილს ტყუილში სვამს და ამას ვხედავთ.

***— წინა 2 კვირა საკმაოდ ხმაურიანი იყო, ერთი მხრივ, „ჰაკიმ ფაშას“ ძახილით პარლამენტში პრემიერის მისამართით და, მეორე მხრივ — თათუხაშვილის საქმის გამო. რატომ გამოხვედით უმრავლესობის წევრები ასე მდგომარეობიდან?***

— რაღაც გარკვეული პერიოდი ნაციონალებმა ხელისუფლებას ენა შეაჩვიეს და აი, ასეთი სახელებით დაიწყეს მანიპულაცია. ეს წესად დაიმკვიდრეს და ნებისმიერ თემაზე უნდა ახსენონ. თანდათან ისე ახსენებენ, თითქოს ჩვეულებრივ ასე უნდა იყოს. ჩვენ ვურჩიეთ, რომ შეწყვიტონ „ჰაკიმ ფაშას“ ძახილი. ამას მოჰყვა დეპუტატების სამართლიანი აღშფოთება, სიტყვიერი პროტესტი და დაძაბულობა პარლამენტში. თუ ესენი ასევე გააგრძელებენ, მაშინ რაღაც ზომები იქნება მიღებული, რომელიც ამ ყველაფერს აღკვეთს.

***— ანუ „ჰაკიმ ფაშას“ ძახილით ნაციონალებს პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის დისკრედიტება არ გამოუვათ?***

— არა. ისინი, ვფიქრობ, ასეთი საქციელით თავის თავს უფრო მეტ ზიანს მიაყენებენ, ვიდრე ღარიბაშვილს. სულ ამბობენ, წარსულზე ნუ ლაპარაკობთო, მაგრამ, რომ გადახედონ პრემიერების რიგს, ვინ იყვნენ მათი პრემიერები და რასთან ასოცირდებიან ისინი, წესით, ხმის ამოღების უფლება ამაზე არ უნდა ჰქონდეთ. მათ ყველაზე მთავარი აკლიათ — სინდისი. როცა ეს აკლიათ, ბუნებრივია, ამას ანგარიშს ვეღარ უწევენ. იმიტომ ამბობენ, რომ ვიღაცას აწყენინონ. წყენაზე არიან გადასული. საქმით ვერაფერს აკეთებენ, ამიტომ ახლა ამ კალაპოტში სხედან. ბუნებრივია, ამან ჩემს კოლეგებში და მათ შორის ჩემშიც, გულისწყრომა გამოიწვია. შემდეგში, იმედი მაქვს, ესენი ასე ადვილად ვერ გადაეჩვევიან ამას, მაგრამ საბოლოოდ, ალბათ, რაღაც ზომებს მივიღებთ იმისათვის, რომ შეწყვიტონ ეს ძახილი. არა მგონია, მოსახლეობისთვის ეს იყოს სანახაობითი მხარე. როცა კრიტიკა პარლამენტში ხდება, ეს სხვა რამეა. ბუნებრივია, ამის უფლება ყველა დეპუტატს აქვს. ამიტომ ვამბობ, ამას ყურადღება მიექცევა. შეიძლება, ეს რეგლამენტში ცვლილებითაც მოხდეს, რომ პარლამენტში დეპუტატმა იმ თემაზე ისაუბროს, რა თემაც შემოდის. თუ უნდა, ხელისუფლება აკრიტიკოს, მაგრამ შეურაცხმყოფელი სიტყვების და ზედმეტსახელების ძახილი საკანონმდებლო ორგანოში, ვფიქრობ, არ უნდა იყოს.

***— რატომ აბედვინებს ხელისუფლება ნაციონალურ მოძრაობას ამდენს? ბევრი ფიქრობს, რომ ნაციონალური მოძრაობა, როგორც პოლიტიკური პარტია, უნდა აკრძალულიყო.***

— ნაციონალური მოძრაობის, როგორც პოლიტიკური პარტიის აკრძალვა, არ ვიცი, დღის წესრიგში რამდენად იყო. ამას, ჩემი აზრით, სხვა საფუძვლები სჭირდება. შეიძლება რეჟიმის პოლიტიკური შეფასება მოხდეს და მე ამის მომხრე ვიყავი, რომ თვითონ რეჟიმი გასამართლდეს და მერე კონკრეტული პირები დანაშაულების მიხედვით და არა მთლიანად. ყოველთვის იმიტომ, რომ თუ ყველას მოვედებოდით, სულ მქონდა ამის ეჭვი, რომ ამაში ვინმე უდანაშაულოც მოყვებოდა. მაგრამ როცა კონკრეტული დანაშაულები იკვეთება, იმაზე პასუხი უნდა აგონ. ჩვენ იმუნიტეტი მოვხსენით. ახლა პროკურატურა თავისუფალია და შეუძლია, ნებისმიერ დეპუტატს მიადგეს, მათ შორის მეც და სხვასაც, ვიზეც გარკვეული ეჭვები არსებობს და სს საქმე აღძრას ამა თუ იმ დეპუტატზე. ასე რომ, ჩვენ ეს გზა იმისათვის გავათავისუფლეთ, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესი გაგრძელდეს. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რა მტკიცებულება არსებობს ამა თუ იმ დანაშაულზე. იმიტომ, რომ ზოგი იძახის, დამკითხეთ, დამკითხეთ და მისი დაკითხვა არ ხდება. ეს გარკვეულ კითხვებს ბადებს. იმედი მაქვს, პროკურატურა ნელა, მაგრამ ყველა დანაშაულს გამოიძიებს, ყველა დამნაშავემდე მივა და მათ პასუხს აგებინებს.

***— ხელისუფლების მიმართ ისმის განცხადებები, რომ ის ნაციონალური მოძრაობის ლიდერების მიმართ ლოიალურია.***

— რით გამოიხატება ეს ლოიალურობა, არ მესმის.

***— არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები, მათ შორის ისინიც, ვინც ბურჯანაძის ფრთას წარმოადგენენ, აცხადებენ, რომ ნაციონალურ მოძრაობას პოლიტიკურად სწორედ „ქართული ოცნება“ აცოცხლებს და რომ ხელისუფლება დაინტერესებულია, რომ სწორედ დისკრედიტებული ნაცმოძრაობა იყოს ე.წ. მთავარი ოპოზიციური ძალა.***

— მსგავსი არაფერია. ჩვენი გუნდი ამ შემთხვევაში არის ერთიანი. ჩვენ კანონს არ ვუხვევთ და კანონის ფარგლებში ვმოქმედებათ. ახლა კარს ვერ ჩავუკეტავთ. ისინიც დეპუტატები არიან, ხალხმა აირჩია ისინი და ეს უნდა მივიღოთ. ის, რომ ჩვენ მათ დეპუტატის უფლებამოსილება შევუწყვიტოთ, ამას ვერ გავაკეთებთ ისე, როგორც მათ ვალერი გელაშვილს გაუკეთეს — უსაფუძვლოდ რომ შეუწყვიტეს და ისე გავყაროთ იქიდან. ვამბობთ, რომ დანაშაული არის და იმუნიტეტი მოვხსენით. ახლა პროკურატურას შეუძლია, უკვე დანაშაულის მიხედვით ნებისმიერ მათგანზე იმუშაოს და აღძრას სისხლის სამართლის საქმე. რაც შეეხება ნინო ბურჯანაძეს, ყველა ყველა და მან არ უნდა ილაპარაკოს ამაზე, იმიტომ რომ ცოტა ძველი პერიოდიც ხომ უნდა გავიხსენოთ. კი, იყო 26 მაისი და შემდგომი მოვლენები, მესმის, რომ მერე გამწარებული ებრძოდა, მაგრამ, მოდით, ისიც გავიხსენოთ, მანამდე, ორი წლის წინ საპრეზიდენტო არჩევნებზე ვინ გაათეთრა სააკაშვილი და მანამდე პერიოდებიც გავიხსენოთ. ასე რომ, არა მგონია, ბურჯანაძემ ვინმეს უსუსურობაზე უნდა ილაპარაკოს. თუ ვინმე იყო იმ დროს უსუსური, თუ განგებ არ აკეთებდა და უსუსურობაზე უნდა ვთქვათ, უსუსური თავად ქალბატონი ნინო იყო, როდესაც მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო პერიოდის დროს დაჰყვებოდა და მაშინ ის, არ დაგავიწყდეთ, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი იყო. ვფიქრობ, ეს განცხადებები მაინც მგონია, რომ პიარსვლებია, რითაც უნდათ, მოსახლეობის მხარდაჭერა მოიპოვონ. უნდათ, ხალხს დაანახვონ, რომ უსუსურია „ოცნება“, თავი არ აქვთ, ნაციონალები გააჩერონ და ჩვენ მოვალთ და ამ ადამიანებს, დამნაშავე ნაციონალებს გავასამართლებთ და დავიჭერთ. ხალხი კარგად ხვდება, ვინ, ვინ არის. ახლა არის ადგილობრივი არჩევნები და ხალხი თავის არჩევანს გააკეთებს. ეს, თავის მხრივ, რეფერენდუმიც იქნება ხალხის აზრის გასაგებად. ხალხი გამოკვეთს, ვინ არის უნიათო, ვინ — უსუსური და ვის როგორ უყურებს საზოგადოება.

***— თათუხაშვილის თემას არასაპარლამენტო ოპოზიცია თქვენი ხელისუფლების სისიუტედ მიიჩნევს და აცხადებს, რომ თათუხაშვილი „ქართული ოცნების“ გირგვლიანად შეიძლება იქცეს. თქვენ ამას გამორიცხავთ?***

— არა. არავითარი ახალი გირგვლიანი. ამას როგორ ამბობენ. და, საერთოდ, ვინ ამბობს. რა კავშირია გირგვლიანსა და თათუხაშვილს შორის? ერთადერთი ის, რომ ორივე გარდაიცვალა. მაგრამ გირგვლიანი გარდაიცვალა ოქროყანაში წამებაში და წამებით მოკვდა, ხოლო თათუხაშვილი, მის ოჯახსაც ვუსამძიმრებ, გარდაიცვალა, როგორც ექსპერტიზა ამბობს, ინტოქსიკაციით. არავითარი წამება აქ არ შეიძლება ითქვას და ეს ექსპერტიზამაც დაადასტურა. გვამს დაზიანების ნიშნები კი აღენიშნებოდა, მაგრამ თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ის ამდენი ხანი გამოძიებას ემალებოდა, ხან ტყეში იყო და ხან სად, შესაძლებელია, ეს დაზიანებებიც ამ დროს არის მიღებული. ყოველ შემთხვევაში, ეს დაზიანებები, რომელიც გვამზე აღენიშნება, ვერავითარ შემთხვევაში ვერ გახდებოდა სიკვდილის მიზეზი. ეს არის ცალსახა. ამიტომ ამ ფაქტის გირგვლიანთან შედარება, არ შეიძლება. ამის საფუძველი, უბრალოდ, არ არსებობს. ნაციონალურ მოძრაობას უნდოდა ეს თემა აეგორებინა, მაგრამ მოსახლეობის დიდმა ნაწილმა პროკურატურის მიერ გახმაურებული ექსპერტიზის დასკვნა და ფაქტები დამაჯერებლად მიიღო ანუ პროკურატურას ენდო. რა თქმა უნდა, პროკურატურის მისამართით კითხვები ისევ ისმის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით. მე მაქვს კითხვა დარჩენილი. კი ამბობენ, რომ თუ ადამიანს არ უნდა, ჩვენ ძალით ვერ დავიცავთო. მოწმეზეა აქ ლაპარაკი და ამაში ვეთანხმები. ჩვენ არა გვაქვს მოწმის დაცვის ის პროგრამა, რაც ამერიკაშია. იქ სულ სხვა საფეხურებია, მარტო დაცვაზე კი არ არის საუბარი, ადამიანს ოპერაციასაც კი უკეთებენ, გარეგნული იერი რომ შეიცვალოს. ფაქტობრივად, ახალ ცხოვრებას აწყებინებენ. ჩვენ ამაზე საუბარი არა გვაქვს და ვერც გვექნება ამ ეტაპზე. აქ ორი ადამიანი იყო მიმაგრებული და რომლებიც, როგორც პროკურატურა ამბობს, მოწმემ თავად მოითხოვა, მათ გასცლოდა. აქედან გამოაქვს პროკურატურას დასკვნა, რადგან მოიშორა, ე.ი. აღარ უნდოდა დაცვა. დაცვასთან რომ მისულიყო და ეთქვა, აღარ მჭირდება დაცვაო, გასაგებია იქნებოდაო. მაგრამ, რა იცის დაცვამ, ის რომ სახლში შევიდა, მერე არ გაიტაცეს. დაცვა ვალდებული იყო, უფრო ოპერატიულად დაეცვა მისი სიცოცხლე. მაშინვე დაეწყოთ ძებნა. ჩაერთოთ შსს და სხვა უწყებებიც და იქვე სოფელშივე მოძებნილიყო უახლოეს ხანში. თუ თათუხაშვილს დაცვა აღარ დასჭირდებოდა, შეეძლოთ, ეთქვათ და ისე წამოსულიყვნენ. ეს არის კითხვა, რომელიც მეც გამოჩნდა. მკვლელობასთან თათუხაშვილის გარდაცვალებას კავშირი არ აქვს. აქ არის ხარვეზი — როგორ შეიძლება, დაცვამ მოწმე დაკარგოს. ამის მერე ის კლუბშიც გამოჩნდა და ადვოკატმაც ნახა, რომელიც პირდაპირ ახალაიაზე მუშაობს. ადვოკატს რომ თათუხაშვილი არ აინტერესებს, ეს ნათლად გამოჩნდა. როგორც ჩანს, ადვოკატს ერთადერთი რამ აწყობდა: თათუხაშვილისთვის ფსიქიატრიული ექსპერტიზა აეღო, რომ ის ახალაიას საქმეზე მოწმედ აღარ გამოსულიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის თათუხაშვილს ექსპერტიზას ჩაუტარებდა და სამედიცინო დახმარების გაწევის შესაძლებლობას მისცემდა. საზოგადოებამ დაცვის განცხადებები არ მიიღო და ამიტომ ვერ მოხერხდა ამ თემის აწევა. პროკურატურამ კარგი გააკეთა, რომ გახსნა საქმე და ყველაფერი ღიად თქვა. დანარჩენს გამოძიება დაადგენს.

***— რას იტყვით ადეიშვილის მიერ სოციალურ ქსელში გაკეთებულ განცხადებაზე, რომ ის მზადაა, საქართველოში ჩამოვიდეს და გამოძიებასთან ითანამშრომლოს.***

— ამ კაცს ჭკუა უჭრის. თავიდანვე ჩუმად იყო და ჩუმადვე გაეცალა. იმ ყველაფრის ერთ-ერთი ავტორი, რაც ქვეყანაში ხდებოდა, ისიც იყო. ეს სურვილი გამოთქვა, არ ვიცი, რამდენად დამაჯერებელი შეიძლება იყოს. მაგრამ ის 40 მლნ რომ თავის თავზე აიღო, ალბათ, თავს ისე უსაფრთხოდ გრძნობს, რომ შეიძლება, ახლა თავისი თანამოაზრეების „გარეცხვა“ დაიწყოს, ასეთი დავალება აქვს?! ვერ გეტყვით. მარჩიელობას ვერ დავიწყებ. თუ ადეიშვილის ჩამოვა და სასამართლოს კითხვებს უპასუხებს, ეს გაცილებით სწორი იქნება, ვიდრე ფოსტით აგზავნოს წერილები ან სოციალური ქსელში განათავსოს. დამერწმუნეთ, ადრე თუ გვიან ყველას მაინც სასამართლოს წინაშე მოუწევს საუბარი.

***— შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებამ მოსალოდნელი დაძაბულობის შესახებ, რომელიც საქართველოში ევრომაიდანის გამეორებას ისხავს მიზნად, სერიოზული კითხვები გააჩინა წინა ხელისუფლების მიმართ. თქვენი ინფორმაციით, მართლაც დგას ქვეყანა ასეთი საფრთხის წინაშე და შესაძლოა, დაპირისპირება შეიარაღებულ დაპირისპირებამდე მივიდეს?***

— არა. ამას კატეგორიულად გამოვრიცხავ. ამის ნიშნები არ ჩანს. მაგრამ, რადგან მინისტრმა ეს განცხადება გააკეთა საგაზეთო ინტერვიუში, იმას მოწმობს, რომ ამის გაკეთება წინა ხელისუფლებას სურვილის დონეზე აქვს. პირადად ჩემთვის ეს გასაკვირი არ არის. ადრეც იყო საუბარი, რომ როგორც ტიმოშენკო გამოვიდა, ისე გამოვა ციხიდან მერაბიშვილიც; საქართველოშიც იქნება მაიდანი... ანუ პირდაპირ თუ ირიბად იყო ხოლმე მსგავსი განცხადებები. სააკაშვილმაც რამდენჯერმე თქვა უკრაინაში ჟურნალისტებისთვის მიცემული კომენტარების დროს, მე უფრო ადრე ჩამოვალ, ვიდრე თქვენ გგონიათ. ასეთ ბოდვებს ჰქონდა ადგილი მაიდანთან დაკავშირებით. ამიტომ ეს ინფორმაციაც არ არის გასაკვირი. მაგრამ დღეისათვის მათ რომ ისეთი სიტუაცია შექმნან, რომელიც ქვეყანაში დესტაბილიზაციას გამოიწვევს, ეს მე პირადად, წარმოუდგენლად მიმაჩნია. ჩვენ ვამკვიდრებთ და ფაქტობრივად, უკვე დავამკვიდრეთ უმნიშვნელოვანესი რამ — არჩევნების გზით ხელისუფლების ცვლილება. დასავლური კურსი, ეს არის საქართველოს მოსახლეობის ჩამოყალიბებული, გამოკვეთილი და მტკიცე პოზიცია. ამას ჩვენი მოსახლეობა ვერ გადაუხვევს მით უმეტეს, ძალიან მწარე გაკვეთილები გვახსოვს. უკრაინას ეს მაგალითები არ ჰქონდა და ის ახლა გადის იმ პროცესს, რაც ჩვენ გავიარეთ. ჩვენ ვიცით, ამ პროცესების შედეგად რა იქნება, რა უწესრიგობები ხდება და მერე რამხელა ძალ-ღონეა საჭირო იმისათვის, რომ რაღაცები დალაგდეს. ასე რომ, უკან გახედვისთვის, არა მგონია, ვინმემ მოიცალოს. შეიძლება, გარკვეული მართული ჯგუფები შექმნან, გარკვეულ პროვოცირებაზე წამოვიდნენ, მაგრამ ის, რომ ეს პროცესი საყოველთაო დესტაბილიზაციაში გადაიზარდოს, მე ამას გამოვრიცხავ. თუმცა, აქვე მოვუწოდებ შინაგან საქმეთა სამინისტროსაც და სამართალდამცავ ორგანოებსაც, რომ როგორც კი წინა ხელისუფლების წარმომადგენელთა სურვილები ქმედებაში გადავა და ის კანონს გასცდება, იქვე იყოს ეს ფაქტი აღკვეთილი. მე, პირადად, გამოვრიცხავ, ახლა მსგავსი ვითარების შექმნის მცდელობა იყოს. ეს განცხადება მაინც არის პრევენცია, თუმცა ყურადღების მოდუნება არ შეიძლება. ვიმეორებ, ჯერჯერობით, ამის რეალურ საფუძველს ვერ ვხედავ, თუმცა სურვილები და მათი სიზმრები შეიძლება ასეთი იყოს.

***— თქვენი თანაგუნდელები ფიქრობენ, რომ შს მინისტრი ოპერატიულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გააკეთებდა მსგავს განცხადებას. გახსოვთ ალბათ, იყო საუბარი, რომ ნაციონალებმა ტყეში იარაღი გადამალეს და ა.შ. ამაზე საუბრობდნენ ყინწვისის საქმეზე დაპატიმრებულებიც.***

— ამიტომ გამორიცხვა იმისა, რომ მინისტრს ოპერატიული ინფორმაცია არ გააჩნდა, არ შეიძლება. რა თქმა უნდა, ოპერატიული ინფორმაციაზე დაყრდნობით გააკეთა მინისტრმა ეს განცხადება და არა ვარაუდზე. მაგრამ ამის განხორციელების საშუალება არ ექნებათ. წარმოუდგენელია, ნაციონალურ მოძრაობას, მის ხელისუფლებაში მოსვლას და მის მიერ არეულობას ვინმემ მხარი დაუჭიროს და, საერთოდ, მხარი დაუჭიროს დესტაბილიზაციას, იმიტომ, რომ ჩვენ თვალწინ, ლაივში მიდის უკრაინის მოვლენები. რა ხდება დღეს უკრაინაში, ლაგდება საქმე თუ უარესისკენ მიდის? მე მგონი, უარესისკენ მიდის. უკვე დონეცკის მხარეა ჩართული. ფაქტობრივად, ქვეყანა ხელიდან ეცლებათ. მის დალაგებას ძალიან დიდი დრო დასჭირდება. ვისურვებდი, ეს ყველაფერი მალე დალაგდეს. რაც ხდება, ამას ყველა ჩვენგანი ხედავს. ბუნებრივია, ამის მასშტაბში ჩვენთან გადმოტანის არავითარი სურვილი არ იქნება. ჩვენ რაც მოვახდინეთ, ისევ ვამბობ, ყველაზე დიდი ღირებულება და ყველაზე დიდი ფასეულობა არის ის, რომ არჩევნების გზით მოვახდინეთ ხელისუფლების შეცვლა. ასეც უნდა გაგრძელდეს. მეორე, მესამე, მეოთხე ხელისუფლება და ა.შ. არჩევნებით უნდა შეიცვალოს.

# გიგი უგულავას სიმამრი პასუხისგებაში მიეცა

გიგი უგულავას სიმამრი შალვა კილაძე პასუხისგებაში მიეცა. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის განცხადებას ნეტგაზეთი უცვლელად გთავაზობთ:

„ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს თანამშრომლების მიერ, უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ფაქტზე, ბრალდებულის სახით, პასუხისგებაში მიცემული იქნენ შპს „მანი“-ს დორექტორები შალვა კილაძე და გიორგი მჭედლიშვილი. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, შალვა კილაძემ ვერ მოახერხა საგამოძიებო ორგანოში მისვლა, ამიტომ მას ბრალი წარედგინა საკუთარ საცხოვრებელ სახლში. გამოძიებით დადგენილია, რომ 2006 წლის 01 თებერვლიდან, ქ. თბილისის ყოფილი მერის გიორგი უგულავას სიმამარი შალვა კილაძე, მეუღლის ნინა კილაძის სახელით ფლობს შპს „მანი“-ს 50% წილს.

2011 წლის 3 თებერვალს შპს „მანზე“ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე, საწარმო გარდაბნის რაიონის სოფელ კრწანისის მიმდებარე ტერიტორიაზე ახდენს გაჯის მოპოვებას. მიუხედავად იმისა, რომ ლიცენზიით განსაზღვრული იყო გაჯის მოსაპოვებელი ტერიტორია და ნედლეულის რაოდენობა, ნიადაგის მახასიათებლიდან გამომდინარე, მეტი სარგებლის მიღების მიზნით, გიორგი უგულავას მფარველობისა და სამართალდამცავი ორგანოებისაგან ხელშეუხებლობის გარანტიის დაპირებით, შალვა კილაძე ავალებდა საწარმოს დირექტორს გიორგი მჭედლიშვილს და სხვა თანამშრომლებს ლიცენზიით გათვალისწინებული საზღვრების გარეთ გაჯის ნედლეულის მოპოვებას, რა დროსაც შპს „მანის“ მიერ სოფელ კრწანისის მიმდებარე ტერიტორიაზე უკანონოდ იქნა გადამუშავებული 9 475,07 კვ.მ მიწის ნაკვეთი, საიდანაც საწარმომ მიიღო 138 572 ლარის უკანონო შემოსავალი. მიუხედავად იმისა, რომ საწარმოს საქმიანობის სფეროს წარმოადგენდა გაჯის ნედლეულის მოპოვება და გადამუშავება, 2007-2009 წლებში შპს „მანის“ თავდაცვის სამინისტროსათვის და სასაზღვრო პოლიციისათვის მიწოდებული აქვს საწოლები და ლეიბები, ასევე ქ. თბილისის მერიისათვის შესრულებული აქვს კონცერტის საორგანიზაციო სამუშაოები, რომელთა საერთო ღირებულებაც შეადგენს 1 566 521 ლარს. გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 192-ე მუხლის მე 2 ნაწილის „ა“ პუნქტით, რაც ითვალიწინებს თავისუფლების აღკვეთას 3 დან 5 წლამდე ვადით.“, — ნათქვამია საგამოძიებო სამსახურის განცხადებაში.

ნეტგაზეთი

## ილია II: მამაკაცმა ოჯახის წინაშე თავისი პასუხისმგებლობა უნდა იგრძნოს“



საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია II-მ, გუშინ, სამების ტაძარში, ქადაგებისას, ოჯახის წინაშე მამაკაცის პასუხისმგებლობის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

როგორც ბზობის დღესასწაულთან დაკავშირებით ჩატარებული წირვის დასრულების შემდეგ პატრიარქმა ბრძანა, ყველამ უნდა ვიფიქროთ რა უფლებები აკისრია ყველა ჩვენგანს ღვთის, ერისა და ადამიანის წინაშე.

პატრიარქის თქმით, ქართველმა ადამიანმა, განსაკუთრებით კი მამაკაცმა, ოჯახისა და ცოლ-შვილის წინაშე პასუხისმგებლობა უნდა იგრძნოს.

„მამაკაცმა უნდა იგრძნოს თავისი პასუხისმგებლობა ოჯახის წინაშე. უნდა იგრძნოს ის, რომ ის არის თავი ოჯახისა და აი ამიტომ არ უნდა დაკარგოს იმედი ღვთისა და უნდა ახსოვდეს, რომ თუ ერთი საქმე არ გამოვიდა, უნდა მიმართოს მეორეს, მესამეს. უნდა გვახსოვდეს, რომ წყალობის გარეშე არავინ არ რჩება“– ბრძანა პატრიარქმა.

**ნიუსპრესი**

## ბაჩო ახალაია ბრძოლის გაგრძელებას აპირებს



„ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ახალი ორჯონიკიძის, ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლა არ იყოს წარმატებული. ამის შესახებ თავდაცვის ყოფილი მინისტრის, ბაჩო ახალაიას მოსახლეობისადმი მიმართვაშია ნათქვამი. ის სამეგრელოში, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ გამართულ აქციაზე მხარდამჭერებს უმცირესობის წევრმა ნუგზარ წიკლაურმა გააცნო.

როგორც ბაჩო ახალაია აცხადებს, ნურავის ჰგონია, რომ დღეს პუტინს თბილისში მხოლოდ ტანკებით უნდა შემოსვლა.

„პუტინის მთავარი ამოცანა შიდა სამოქალაქო დაპირისპირების პროვოცირებაა და სწორედ ამის ნიშანია ის პროცესები, რომლებიც საქართველოში მიმდინარეობს. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლა ახალი ორჯონიკიძის, ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით, არ იყოს წარმატებული. მე ამისთვის გავწირე ჩემთვის სიცოცხლეზე მეტად ძვირფასი რამ – თავისუფლება. მესმის, რომ თითოეულ ჩვენგანს ძალიან უჭირს, მაგრამ ყველას უნდა ესმოდეს, რომ ადამიანების კეთილდღეობა არსებობს მხოლოდ თავისუფალ ქვეყნებში, მხოლოდ ისეთ ქვეყნებში, სადაც ადამიანთა თავისუფლება განსაზღვრავს ადამიანთა ცხოვრებას. რუსეთის დამონებულ ქვეყნებში ადამიანებს არასდროს უცხოვრიათ ღირსეულად და თავისუფლად“, – ნათქვამია ბაჩო ახალაიას მიმართვაში.

**მედიანიუსი**

## გიგა ბოკერიას შეურაცხყოფა მიაყენეს



გუშინდელ აქციაზე გიგა ბოკერიას უცნობი პირი ფიზიკურად დაუპირისპირდა ალნიშნული პირი სამართლადამცველებმა შემთხვევის ადგილიდან გაიყვანეს. ინციდენტი მთავრობის კანცელარიასთან აქციის „არა კოლაბორაციონიზმს! არა მტერთან თანამშრომლობას!“ დასრულების შემდეგ მოხდა.

უცნობი პირი „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთ ლიდერს გიგა ბოკერიას ფიზიკურად დაუპირიპირდა.

ბოკერიას განცხადებით, მოქალაქე ფსიქიქურად გაუწონასწორებელია, „ის ცდილობდა ჩემთან დაპირისპირებას. როგორც ჩანს, ის ებრძვის იმ იდეებს, რომელიც აქციაზე გაჟღერდა“, – განაცხადა გიგა ბოკერიამ.

**ნიუსპოსტი**

### განცხადება აკადემიურ თანამდებობათა დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის შესახებ

**კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი აცხადებს**

კონკურსს აკადემიურ თანამდებობათა დასაკავებლად:

**სისხლის სამართლის სპეციალობით**

ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე

2 ვაკანსია

**კერძო სამართლის სპეციალობით**

ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე

1 ვაკანსია

**საჯარო სამართლის სპეციალობით**

ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე

2 ვაკანსია

საერთაშორისო სამართლის სპეციალობით

ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე

2 ვაკანსია

**კონკურსი ცხადდება 2014 წლის 14 აპრილიდან**

**აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველთა საბუთების მიღება იწარმოებს 2014 წლის 15-16 მაისს;**

**კონკურსი ჩატარდება 2014 წლის 17 მაისს;**

**შედეგები გამოქვეყნდება 2014 წლის 17 მაისს;**

**საბუთების მიღება იწარმოებს მისამართზე:**

**ქ. თბილისი, ჩარგლის ქუჩა N73**

**ტელ.: 261-12-98; 230-86-41; 210-52-03**

# პეტრე მამრაძე: ხელისუფლებამ მერაბიშვილს პოლიტიკური დევნილის იმიჯი შეუქმნა“

ნათია ხურცილავა

### ინტერვიუ მართვის სტრატეგიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელ პეტრე მამრაძესთან



***– ბატონო პეტრე, როგორ შეაფასებთ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს? „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებს, რომლებიც რეგიონებში ჩადიან, კვერცხებით „უმასპინძლდებიან“. ეს მართული პროცესია თუ ხალხის აღშფოთების შედეგია?***

– ვერ გამოვრიცხავ, რომ „ოცნების“ ადგილობრივი წარმომადგენლები რეგიონებში ასეთ პროცესებს ხელს უწყობენ. ამის გამორიცხვა საქართველოში შეუძლებელია, რადგან არის ასეთი მენტალიტეტი და ტრადიციაც. ადგილობრივ ხელმძღვანელებში ყოველთვის მოიძებნებიან ასეთი ადამიანები, ეს ერთი ფაქტორი. მეორე ფაქტორი კი არის ის, რომ ახალმა ხელისუფლებამ არჩევნებიდან წელიწად–ნახევარში ვერა და ვერ მოახერხა კანონის უზენაესობის უზრუნველყოფა, შესაბამისად – სამართლიანობის აღდგენა. ჩვენი წინაპრები ამბობდნენ, „სამართალმა ხელი რომ მომჭრას, არ მეტკინებაო“, მაგრამ, როდესაც უსამართლოდ სჭრიან ადამიანს ხელს, ფეხს და აწამებენ მისი ოჯახის წევრს, ეს ბევრს სტკივა. ეს ტკივილი არ განელებულა. ჩვენ ვხედავთ, რომ ახალმა ხელისუფლებამ ვერ გამოიძია, ზოგ შემთხვევაში არც კი დაიწყო ძალიან ცნობილი, გახმაურებული საქმეების გამოძიება, რომ აღარაფერი ვთქვათ ნაკლებად გახმაურებულ საქმეებზე. ცნობილი მეცნიერი ვახტანგ მაისაია გამოდის და პირდაპირ აცხადებს, ვინ აწამებდა მას. მას აბსურდული ბრალდება წაუყენეს, თითქოს ნატოს წევრი ქვეყნებისთვის ჯაშუშობდა. კონკრეტულად ვინც მას აწამებდა, სისტემაში დარჩნენ, ზოგი მათგანი დაწინაურდა კიდეც, ერთი მათგანი ლაფანყურის შემზარავი დანაშაულის გამოძიებასაც კი ხელმძღვანელობს. როდესაც მთელ საქართველოში მკვიდრდება აზრი, რომ ფარცხალაძე, ყოფილი მთავარი პროკურორი, რეალურად არსად წასულა, ყაჩაღური ქურდობისთვის ნასამართლევი ადამიანი, რომელმაც მერაბიშვილს პოლიტიკურად დევნის იმიჯი აჩუქა, დღესაც მთავარ პროკურორად რჩება. ისევ იმ ჯიპებით დადით, რომელიც მაშინ იყიდა და დაცვა დაჰყვება.

***– თქვენ რეალურ ინფორმაციას ფლობთ თუ მოარულ ხმებზე საუბრობთ?***

– პირადად მე არ მაქვს იოტის ოდენა საბუთი, თუმცა, პრესაში ვნახე ფოტოები, თუ როგორ დადის ფარცხალაძე იმავე ჯიპით. მე ამას მეუბნებიან ადამიანები, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ, თავიანთი საქმიანობიდან გამომდინარე, პროკურატურასთან, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან. მე ბევრი კონტაქტი მაქვს, ასევე მაქვს გამოცდილება ჩემი 20-წლიანი პოლიტიკაში აქტიურად ყოფნისა, როდესაც არ ყოფილა შემთხვევა, ჩამოყალიბებულიყოს მყარი აზრი რამეზე და არ გამართლებულიყოს დიდწილად. მაგალითად, მე არ მაქვს ლევან მამალაძეზე ან გიგი უგულავაზე საბუთები, რომ კორუმპირებულები არიან, მაგრამ ეჭვი ვინმეს ეპარება?! მე ვამბობ იმას, რაზეც ძალიან ბევრი ადამიანი საუბრობს გულახდილად.

***– ქვეყანაში მთავარ ოპოზიციურ ძალად რომ აღიქმება „ნაციონალური მოძრაობა“, ეს რაზე მიანიშნებს? ხომ არ ფიქრობთ, რომ ადგილობრივი არჩევნების შემდეგ სურათი შეიცვლება?***

– ნაცისტური მოძრაობის ნარჩენებმა, მე ვიტყოდი, სადისტური სისტემის ნარჩენებმა შეინარჩუნეს ორგანიზაციაც და დიდი ფინანსებიც. პარტიის წარმატებისთვის დღეს მსოფლიოში სამი რამეა საჭირო: ორგანიზაცია, ფინანსები და ქარიზმატული ლიდერი.

***– ქარიზმატულ ლიდერად რჩება სააკაშვილი?***

– ორი კომპონენტი აქვთ, მაგრამ ე.წ. ქარიზმატული ლიდერი არ ჰყავთ. ვინც კი არიან მათი ცნობადი სახეები, ყველას გაცილებით უარყოფითი იმიჯი აქვს, ვიდრე დადებითი. ნამდვილად არის მოსახლეობის მცირე ნაწილი, მიჭირს თქმა, ხუთი თუ შვიდი პროცენტია ან ათი, ვინც „ნაციონალებს“ უჭერს მხარს. მხარს უჭერენ არა იმის გამო, რომ უყვართ, არამედ თავის დროზე საკუთარი კეთილდღეობა, კარიერა ამ მოძრაობას დაუკავშირეს. მიუხედავად ამისა, მათ შერჩათ ორგანიზაცია, გაცილებით უფრო შეკრული და გამოცდილი, ვიდრე სხვა ნებისმიერი პოლიტიკური ძალა საქართველოში.

***– ეს მათ ყოველთვის ახასიათებდათ...***

– დიახ. არავითარი ეკლექტიზმი, ძალიან მკაცრი პარტიული დისციპლინა, მე ამის მოწმე ვარ. გარდა ამისა, აქვთ დიდი ფინანსები და საკუთარი ტელევიზია. ეს, რა თქმა უნდა, ძალაა. თუმცა, არავითარი შანსები „ნაცებს“ ამ ეტაპზე არ აქვთ, ხალხი მათ ხმას არ მისცემს, ხოლო გაყალბების საშუალება, როგორიც ადრე ჰქონდათ, რა თქმა უნდა, აღარ აქვთ.

***– თუმცა, ისინი პარლამენტში რჩებიან და 40 პროცენტი აქვთ...***

– ფაქტორებს შორის კიდევ არის სწორედ ის, რომ ისინი პარლამენტში არიან წარმოდგენილნი, ერთადერთი ოპოზიციური პარტია პარლამენტში, რომელსაც 40% აქვს. ეს კი დიდი ტრიბუნაა მათთვის. პარლამენტის ტრიბუნა, ტელევიზია, ორგანიზაცია და ფინანსები – ეს რესურსები მათ ნამდვილად აქვთ. რა თქმა უნდა, დასავლეთის გარკვეული წრეები მათ აშკარად უჭერენ მხარს, რაც ახალი ხელისუფლების ჩავარდნისა და მარცხის ერთ-ერთი მკაფიო ნიშანია. ესეც ეხმარება „ნაციონალურ მოძრაობას“, რომ ჩანდნენ.

# დიმიტრი ლორთქიფანიძე: ძველი თბილისი ჰუმანიტარული კატასტროფის წინაშეა“

„ბურჯანაძე–ერთიანი ოპოზიციის“ თბილისის მერობის კანდიდატმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ და კოალიციის ლიდერებმა მედიის წარმომადგენლებთან ერთად მოინახულეს დადიანის ქუჩაზე და გუდიაშვილის ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ავარიული შენობები და იქ მცხოვრები მოსახლეობა.



„როდესაც მეკითხებით, რა ძირითადი პრობლემები აქვს აქ მოსახლეობას, მინდა გითხრათ, რომ ეს არის სრული კოლაფსი, რასაც მე ჩემი თვალით ვხედავ. ძველი თბილისის ახალი სიცოცხლის ფარგლებში თუკი რამ გაკეთებულა, პირველ რიგში, მინდა ვკითხო იმ მესვეურებს, რომლებმაც დაუკარგეს ძველ თბილისს სახე. მსოფლიო არქიტექტურის კულტურული მემკვიდრეობის სანიმუშო ძეგლები, რომლებიც არის გავერანებული, განადგურებული, რომლის აღდგენის ელემენტარული გარანტიაც კი არ მიუცია არავის, დღესდღეობით არის მთლიანად სავალალო მდგომარეობაში. აღარაფერს ვამბობ იმ ადამიანებზე, რომლებიც დღეს ბედის ანაბარა არიან მიტოვებული და უმთავრესი პრევენცია, რომელიც უნდა განეხორციელებინა ქალაქის მერიის სამსახურებს ამ ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის შენარჩუნების კუთხით დღეს ფაქტიურად არის განხილვის გარეშე დატოვებული“ – განაცხადა მერობის კანდიდატმა და დასძინა: „მინდა მივმართო დღევანდელ მესვეურებს, განსაკუთრებით ცენტრალური ხელისუფლებიდან, რა ლონეს ხმარობენ ისინი მაშინ როდესაც მეგა პროექტებს განიხილავენ, თბილისის პანორამის ფარგლებში და მასინ, როდესაც ადამიანები ათეულობით ოჯახი ჩვენ, ჩვენი თვალით ვნახეთ და შეგიძლიათ კიდევ გააგრძელოთ ჩვენთან ერთად მსვლელობა დანარჩენი სოციალურად დაუცველი ოჯახების ხილვის მიზნით. რა მდგომარეობაში იმყოფებიან! ეს არის კოლაფსი! ეს არის კატასტროფა! ჰუმანიტარული კატასტროფის ზღვარზე მყოფი ქალაქის მდგომარეობა. ვხედავ, რომ გარდა იმისა, რომ ძველ თბილისს წაართვეს სული, ამოხადეს სული, წინა ხელისუფლების პირობებში, ახალი ხელისუფლების ტენდენციებშიც სამწუხაროდ პროგრესის, მოდერნიზმისა და დემოკრატიის წინაპირობით გრძელდება, იგივე ვანდალური მოქმედებები და ამას როგორც ჩანს არ უდევს ზღვარი და იმედი მაქვს, რომ არჩევნები ამას წერტილს დაუსვამს“.

## უკრაინაში შეტაკებები დაიწყო

უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის არსენ ავაკოვის განცხადებით, ანტიტერორისტული ოპერაციის დროს უკრაინელი ოფიცერი მოკლეს და ორივე მხარესა არიან გარდაცვლილები.

ბი-ბი-სი-ს ცნობით, გუშინ უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა დაიწყეს რუსეთის მხარდამჭერები წინაარმდეგ ოპერაცია, რომლებმაც გუშინ 12 აპრილს პოლიციის სადგური დაიკავეს ქალაქ სლავიანსკიში.

არსენ ავაკოვის განცხადებით, უსაფრთხოების სამსახურის ყველა რგოლი ჩართულია ანტიტერორისტულ ოპერაციაში. კიევის განცხადებით კი არეულობების ორგანიზატორი მოსკოვია. უკრაინაის საგარეო საქმეთა მინისტრმა მოსკოვს მოუწოდა შეწყვიტოს პროვოკაციული ქმედებები მისი აგენტების მეშვეობით. მოსკოვი კი თავის მხრივ, კიევს აფრთხილებს არ გამოიყენოს ძალა, რადგან ეს მოლაპარაკების პროცესს ჩიხში შეიყვანს და რა თქმა უნდა, უარყოფს ყველა ბრალდებას.

**ნეტგაზეთი**

**გახდომა 5-დან 20 კგ-მდე თვეში**
**გასუქება 2-დან 5 კგ-მდე თვეში**

სიმაღლეში ზრდის უახლესი პროგრამები:

ქ-ნი ქეთევანი

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ნიკა მელიამ ელიზბარ ჯაველიძესა და ნონა გაფრინდაშვილს პროვოკაცია მოუწყო

თამარ ნინიძე



9 აპრილის მემორიალთან მომხდარი ინციდენტი, მხედველობაში მაქვს ნაციონალ ნიკა მელიას მისვლა და პოლიტპატიმრებთან შელაპარაკება, რომელიც არც ერთმა ტელევიზიამ სრულყოფილად არ გააშუქა. აქციაზე ნიკა მელია მიამიტურად კითხულობდა, ამ ხალხს აქ რა უნდაო, არადა, მერობის კანდიდატმა, სულ ცოტა, ის მაინც ხომ უნდა იცოდეს, დედაქალაქის ცენტრში, რომლის მერობაზეც დღე და ღამე ოცნებობს, რატომ იმართება აქცია, პარლამენტის წინ თავშეყრილ ადამიანებს რა მოთხოვნები აქვთ. მარსზე სახლების ქონასა და სხვა მსგავსი უცნაური მოთხოვნისგან განსხვავებით, პოლიტპატიმრებს სრულიად დამსახურებულად და სამართლიანად აქვთ ისეთი მოთხოვნები, რომლებიც, წესით, ხელისუფლებამ უნდა შეასრულოს.

„ქართულმა ოცნებამ" ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან პოლიტპატიმრების საქმეების გადახედვა დაიწყო, სააკაშვილის რეჟიმის მიერ უსამართლოდ ციხეებში გამომწყვდეული ათასობით ადამიანი პოლიტპატიმრად ცნო, მაგრამ საქმე ბოლომდე არ მიიყვანა, პოლიტპატიმრები მხოლოდ იმას ითხოვენ, რომ მოეხსნათ ნასამართლობა და მიეცეთ საშუალება ადამიანურად ცხოვრების, მაგალითად, სამსახურში მოწყობის ან თუნდაც მართვის მოწმობის აღების.

აქციის დაწყების დღიდან მოყოლებული, მათთან ხელისუფლების არც ერთი წარმომადგენელი არ მივიდა, რომ ამბავი მაინც გამოეტანა, ეს ხალხი რას აპროტესტებდა აი, რაც შეეხება ნაციონალებსა და დედაქალაქის მერობის მათ მიერ დასახელებულ კანდიდატ ნიკა მელიას, ისინი პოლიტპატიმრებთან მარტო მისვლას ვერ გაბედავდნენ, 9 აპრილის აქციაზე არსებულმა ხალხმრავლობამ გააბედვინა მელიას პოლიტპატიმრებთან მიახლოება. მელია კი იმ პოლიტიკური ძალის წარმომადგენელია, რომელმაც ლამის როდიონოვზე სასტიკად დაარბია 26 მაისს მშვიდობიანი მანიფესტანტები პარლამენტის წინ. ამ ადამიანებს ესეც არ აკმარეს და აწამებდნენ ციხეებში, შეურაცხყოფდნენ, ამიტომაც გასაოცარი და მოულოდნელი არაფერი იყო იმაში, რომ პოლიტპატიმრებმა მელიას დანახვაზე ასეთი ემოცია გამოხატეს.

საინტერესოა, სად იყვნენ ნაცმოძრაობის ლიდერები, როცა 1989 წლის აპრილში აქციები იმართებოდა და ერთადერთი მოთხოვნა საქართველოს დამოუკიდებლობა იყო? საკითხავია, ისინიც ხომ არ მსახურობდნენ სააკაშვილივით საბჭოთა უშიშროების ჯარში? ახლა, მართალია, ამას უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს, რადგან ახლა უფრო საშიშ ზღვარს მივუახლოვდით, ნაციონალები ისევ ხელისუფლებაში მოსვლას აპირებენ და დანაშაულის შეგრძნება საერთოდ არ გააჩნიათ. ეს „ქართული ოცნების" უნიათობისა და უსუსურობის ბრალია ან უფრო უარესის, იმ რეჟიმთან თანაცხოვრების შეგუებაა, რომელმაც ბევრი ადამიანი გააწამა, მაგრამ ახლა ოცნებელებისთვის თურმე „ასეა საჭირო". თუ საქმე გვაქვს არაპროფესიონალზმთან და არაკომპეტენტურობასთან, ამის ახსნა კიდევ შეიძლება, მაგრამ არაერთხელ „ქართული ოცნების" ავანგარდში მყოფი რესპუბლიკელებისგან ხშირად გვსმენია, რომ ნაცმოძრაობას პოლიტიკაში დარჩენის უფლება აქვს, ამიტომაც ახლა ნაციონალები რეგიონებსაც შეესივნენ და თამამად დაიწყეს წინასაარჩევნო კამპანია. ორი წელიც არ არის გასული საპარლამენტო არჩევნებიდან. 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ ნაციონალები ქუჩაში ვერ გამოდიოდნენ, ეშინოდათ, მათთვის პასუხი არ მოეთხოვათ იმ საშინელებებისთვის, რაც ჩაიდინეს.

ახლა კი ტელეეთერებში ნაცმოძრაობის აშკარა პიარი და ცოცხალი რეკლამა მიდის. მაგალითად, დებატებში ნაცმოძრაობა თურმე „ქართული ოცნების" გარეშე ვერ ჯდება და, პირიქით, „ქართული ოცნება", ნაცმოძრაობის გარდა, არავისთან „დებატობს". ლიდერშიფი – ასე მიმართავენ ნაციონალების ლიდერებსა და ელიტას, რომელმაც ცხრა წლის მანძილზე სისტემური დანაშაული ჩაიდინა და ამაზე, სხვათა შორის, ბოკერიაც საუბრობდა, სისტემური დანაშაული იყოო. ახლა ამ რეჟიმის იდეოლოგები მელიას ფარივით წინ იფარებენ და ჰგონიათ, რომ შედარებით გაუსვრელი ახალგაზრდა კაცის ფარივით აფარებით დამალავენ სახეს. კარგი მამის შვილი, კარგი თბილისელი ბიჭი, ზრდილობიანი, ალბათ, მერის სავარძელში ჩასაბრძანებლად მზად არის, მაგრამ, როგორც გავარკვიეთ, მამამისი, თბილისში ცნობილი ექიმი ანზორ მელია ნაცმოძრაობის იდეებსა და შეხედულებებს არ იზიარებს. თუ ეს ასეა ნამდვილად და ამის უკანაც ფარსი არ იმალება, მაშინ ერთი კარგი გამოსავალი ბატონ ანზორს ექნებოდა, უნდა ერჩია მამაშვილურად საკუთარი ვაჟისთვის, რომ, სანამ დროა, გამიჯვნოდა ნაცმოძრაობას, თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, არც მამა და არც მამის სამეგობრო მას მხარში არ ამოუდგებოდნენ საარჩევნო კამპანიაში. ჯერჯერობით ანზორ მელიას, ეტყობა, მისი შვილისთვის ეს არ ურჩევია, თორემ, ქართული ტრადიციიდან გამომდინარე, კარგი შვილი მამის რჩევას დაუჯერებდა.

შეიძლება, გამგებლის თანამდებობაზე ყოფნის დროს ნიკა მელიას რაიმე ფინანსური ან მორალური დაინტერესება ჰქონდა, ნაცმოძრაობის რიგებს რომ ამაგრებდა, მაგრამ მელია რომ არ არის ნაციონალების სახე, ეს ცხადია. ნაციონალების სახეა ცოცხები, ათასობით ნაწამები პატიმარი, დაკარგული ტერიტორიები, წართმეული ბიზნესები, დაშინებული ოჯახები, ევროპაში ბავშვთა სიკვდილიანობით პირველ ადგილზე მყოფი ქვეყანა, პატიმრების რაოდენობით მსოფლიოში მესამე და ევროპაში პირველ ადგილზე მყოფი საქართველო, ელიტური კორუფცია, რომლის შესახებ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიურ ანგარიშშია ეს ინფორმაცია შესული, ნაცმოძრაობის მმართველობის დროს სიტყვისა და გამოხატვის თვალსაზრისით, გაეროს დასკვნის მიხედვით, საქართველო კრიტიკულ ზღვარზე მყოფი ქვეყანა. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, სამაგიეროდ, ვერც ვაშაძე და ვერც მელია ვერ უარყოფენ იმ ფაქტს, რომ 1 ოქტომბრის შემდეგ ცოტა ხანში ნაციონალურმა მოძრაობამ სპორტის სასახლეში ყრილობა გამართა და ხალხისგან უარყოფილმა ლიდერშიფმა ისევ სააკაშვილი აირჩია პარტიის თავმჯდომარედ და ისევ ვანო მერაბიშვილი აირჩია გენერალურ მდივნად. როგორ არ უნდა გინდოდეს პოლიტიკაში დარჩენა და პოლიტიკური საქმიანობის გაგრძელება, რომ ასეთი არჩევანი გააკეთო. ახლაც მონანიების ნაცვლად მელია ამოიფარეს და მისი საშუალებით აპირებენ დედაქალაქის მმართველობაში შეპარვას. გადაულახავი პრობლემა ის არის, ნამდვილი დილემა ის არის, რომ დედაქალაქი ნაციონალების თარეშის ასპარეზი კარგა ხანია არ არის. ასე რომ, მელია გივი თარგამაძემ, გიგა ბოკერიამ, სააკაშვილმა, მერაბიშვილმა, უგულავამ მაჭავარიანმა, ბარამიძემ და სხვებმა აქეთ-იქით რომ ატარონ, მაინც არაფერი ეშველებათ. მელია კი ივლის, მაგრამ ნაცელიტას დასაკარგი არაფერი აქვს, ისინი ბოლომდე აპირებენ ბრძოლას.

მელია 9 აპრილის მემორიალთან იხვეწებოდა, გავერთიანდეთო, მაგრამ ეს მაშინ არ გახსენებია, როცა ორი წლის წინ ამავე მემორიალთან მისული ირაკლი ბათიაშვილი, ელიზბარ ჯაველიძე და ნონა გაფრინდაშვილი ახლოს არ მიუშვა. მაშინ გაერთიანების პრობლემა არ იდგა? მელიამ, როგორც დედაქალაქის მერობის კანდიდატმა, ხომ უნდა იცოდეს, რომ მემორიალთან მისვლის უფლება ოპოზიციასაც აქვს და რიგით ადამიანსაც.

„ქართული ოცნების" პრობლემაა, რომ ნაციონალი მელია კენჭს იყრის და სარჩევნო კამპანიას მართავს ისე, რომ არც ერთი სიტყვით არ ახსენებს ცხრა წლის განმავლობაში მომხდარ არაადამიანურ ქმედებებს და ბოდიშს არ უხდის თბილისელებს. ბოდიშის მოხდა კაცური საქციელია და ყველას ეს არ შეუძლია. სლოვაკეთის დროშას რომ დაწვავ და რუსეთის დროშა გგონია, ამის გამო ბოდიშს რომ არ მოიხდი, არაფერი ნაციონალებისგან არ უნდა გვიკვირდეს. ბოდიშს დეზინფორმაციის გავრცელებისთვის არც ნაცელიტის კიდევ ერთი ნორჩი სახე გიორგი კანდელაკი იხდის, ეკა ბესელიამ მისი ტყუილი გაარკვია და სოციალურ ქსელებში სიცრუის გავრცელების გამო უსაყვედურა, მაგრამ კანდელაკმა მხოლოდ გაიღიმა, სიტყვა „ბოდიში" ამათ ლექსიკონში არ არსებობს.

ნაციონალები მაიდნისთვის ემზადებიან, ამის თბილისელებს არ ეშინიათ, მაგრამ მაინც, ჯოგის გაყრაზე მეოცნებე გივი თარგამაძე სულის ამოხდას ისევ უპირებს ქართველებს და მელიას ხელით აპირებს ამის გაკეთებას, საზურავების რევოლუციის მოწყობით ლაოსიდან იმუქრება სააკაშვილი, ცოტა ხანში ჩრდილოეთ კორეაშიც ჩავა და იქ კარგად შეისწავლის ტოტალიტარიზმის გაკვეთილებს და მელიას და მსგავს ნორჩ ნაციონალებს ტრენინგს ჩაუტარებს. მელია პოლიტიკურ პასუხისმგებლობას არ გრძნობს, თუმცა, კიდევ აქვს დრო, ვითარება აწონ-დაწონოს და გადაწყვეტილება მიიღოს, თბილისელებს კიდევ ერთხელ რომ არ მიაყენოს შეურაცხყოფა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ის არის, რომ ნაციონალებს ისევ აქვთ თბილისში კონსპირაციული ბინები, რომელიც ძმებ ახალაიების დროს იყო, ისევ აჰყავთ ამ ბინებში გადაბირებული ადამიანები და აშანტაჟებენ, რომ გამოიყენონ საჭირო დროს საჭირო ვითარებაში. უმწეოდ ჩანს შს მინისტრ ჭიკაიძის განცხადება მაიდნის მოწყობის შესახებ. განცხადება უნდა იყოს, მაგრამ მას პრევენციაც უნდა მოჰყვეს, თუ არადა, ამ გადაბირებული ხალხით და სხვა ზონდერჯგუფებით ნაციონალები ისეთ ამბებს დაატრიალებენ, რომ „ქართული ოცნება" მათ მიერ აგებული პირამიდის ნანგრევებში აღმოჩნდება და ქვეყანასაც წალეკავს.

## დღეიდან ვნების შვიდეული იწყება

აღდგომის დღესასწაულის მოახლოებასთან ერთად ტაძრებში წირვა ლოცვა ყოველდღიურად აღევლინება.

სამების საპატრიარქო ტაძარში შვიდ გზის ზეთისცხება სამშაბათს 18.00 საათზე გაიმართება. ხუთშაბათს კი შუადღისას ფეხთბანვის რიტუალი შესრულდება, შემდეგ კი 12 ვნების სახარებას წაიკითხავენ.

პარასკევს 14.00 საათზე ლოცვის შემდეგ გარდამოხსნის რიტუალი და დატირება შესრულდება.

შაბათს 22.00 საათზე ლოცვა დაიწყება, რის შემდეგაც სააღდგომო ეპისტოლეს წაიკითხავენ. 24.00 საათზე კი ლიტანიობა დაიწყება და აღდგომის დღესასწაულს მრევლი ეკლესიაში შეხვდება.

მედიანიუსი

# რუსეთის საერთაშორისო ავტორიტეტი ნაკუწებად იქცა"




რუსული პროპაგანდა წარმოადგენს შირმას, რომლის მიღმაც რუსეთი ცდილობს, თავისი კანონსაწინააღმდეგო ქმედებები დაფაროს. „უკრაინსკაია პრავდას" ცნობით, ამასთან დაკავშირებით ნატოს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი განცხადებას ავრცელებს.

„რუსეთის პროპაგანდა ნატოსა და დასავლეთის წინააღმდეგ სხვა არაფერია, თუ არა კვამლის ფარდა საკუთარი კანონსაწინააღმდეგო მოქმედებების დასაფარად". – აღნიშნა რასმუსენმა.

მისი თქმით, რუსეთი იზოლირებულია მთელი მსოფლიოსგან, ხოლო მისი საერთაშორისო ავტორიტეტი ნაკუწებად იქცა. „ახლა რუსეთი არჩევანის წინაშე დგას: შეწყვიტოს სხვების დადანაშაულება თავის ქმედებებში, გაიყვანოს თავისი ჯარები, გადადგას ნაბიჯი უკან თავისი საერთაშორისო ვალდებულებების გათვალისწინებით და დაიწყოს დაკარგული ნდობის აღდგენა". – განაცხადა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალურმა მდივანმა.

მისივე თქმით, წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსეთი გაიღრმავებს საერთაშორისო იზოლაციას. „ეს არავის ინტერესს არ შეესაბამება და ჩვენს სამყაროს გაცილებით უფრო საშიშსა და არაპროგნოზირებადს გახდის". – აღნიშნა რასმუსენმა.

ნატოს გენერალური მდივნის განცხადებით, პუტინს პოსტსაბჭოთა სივრცეში მოსკოვის გავლენისა და რუსეთის დიდების დაბრუნების სურვილი ამოძრავებს.

ამის შესახებ რასმუსენმა „უოლ სტრიტ ჯორნალისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა. მისი თქმით, უკრაინის კრიზისი და სიტუაციის დესტაბილიზაცია ევროპასა და კავკასიაში პუტინის სტრატეგიული გეგმის ნაწილია.

„პუტინი ცდილობს, ე.წ გაყინული კონფლიქტები, როგორებიც არის საქართველოში, ცხინვალსა და აფხაზეთის რეგიონში, მოლდოვასა და დნესტრისპირეთში განუსაზღვრელი ვადით გაახანგრძლივოს და ამით აღუდგეს წინ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ნატოში გაწევრიანებას. ამ მიზანს ემსახურება რუსეთის ენერგეტიკული პოლიტიკაც, რადგან რუსეთის შემოვლითი გზით გაზსადენების გაყვანა აზერბაიჯანსა და სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე ამ რეგიონში სტაბილური ვითარების გარეშე შეუძლებელია. რუსეთის ქმედებები 2008 წელს საქართველოში და შემდეგ ყირიმში არის გამოსაფხიზლებელი ზარი ევროპისთვის, რის შემდეგაც უსაფრთხოების ახალი სისტემის ჩამოყალიბებაა საჭირო". – განაცხადა რასმუსენმა.

– რუსეთის ფედერაციამ უკრაინის მიმართ განხორციელებული აგრესიის შემდეგ სანქციების შემოღების გამო უკვე 150 მილიარდი დოლარი დაკარგა. ამის შესახებ შვეიცარიის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარლ ბილდტმა ჟურნალისტების კითხვის საპასუხოდ განაცხადა.

ჟურნალისტი დაინტერესდა, ზედმეტად რბილი ხომ არ არის ის სანქციები, რომელიც დასავლეთმა რუსეთს დაუწესა.

„სანქციების გამო, მხოლოდ პირველი კვარტალის მონაცემებით, 150 მილიარდი დოლარი, უბრალოდ, გამოვიდა რუსეთის ეკონომიკიდან". – განაცხადა ბილდტმა.

გერმანია, საფრანგეთი და პოლონეთი მზად არიან, რუსეთის წინააღმდეგ ახალ სანქციებს დაუჭირონ მხარი. ევროკავშირი რუსეთზე ეკონომიკურ ზეწოლას აგრძელებს.

გერმანიის, საფრანგეთისა და პოლონეთის მთავრობები აცხადებენ, რომ მზად არიან, რუსეთის წინააღმდეგ მიმართული სანქციების მესამე სტადიაზე გადავიდნენ. ეს განცხადება საფრანგეთის ნაციონალური საკრებულოს, ბუნდესტაგისა და სეიმის საზღვარგარეთის საქმეთა კომიტეტების ხელმძღვანელებმა ელიზაბეტ გიგუმ, ნორბერტ როტგენმა და გჟეგოჟ სხეტინამ გააკეთეს.

„რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის საკითხში ჩვენ ვხედავთ საერთაშორისო სამართლის დარღვევასა და სამხედრო პროპაგანდას, რომელიც საფრთხეს უქმნის უკრაინის დამოუკიდებლობასა და მთლიანობას". – განაცხადა როტგენმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე.

მან განმარტა, რომ ევროპულმა სანქციებმა რუსეთის ეკონომიკასა და ფინანსურ სისტემას ძალიან დაარტყა, მაგრამ ძირითადი ამოცანა სანქციებია – ეს უკრაინისადმი მხარდაჭერის გამოხატვაა.

ამ ფონზე, რუსეთის ელჩი ყაზახეთში მიხაელ ბოჩარნიკოვი ყაზახეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში ახსნა-განმარტებისთვის დაიბარეს. საქმე ეხება ჰაკასიის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ვლადიმერ შტიგაშევის განცხადებას იმის თაობაზე, რომ რუსეთს აქვს ისტორიული უფლება ყაზახეთის აღმოსავლეთ რეგიონებზე.

ამ ფორმით მოახდინა რეაგირება ყაზახეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ „შანს ონლაინში" გამოქვეყნებულ სტატიაზე, სახელწოდებით „რუსეთში აღმოსავლეთ ყაზახეთზე პრეტენზიის თაობაზე საუბრობენ", სადაც შტიგაშევის კომენტარი იყო მოყვანილი. გამოცემის რედაქციის ინფორმაციით, მათ დაუკავშირდნენ ჰაკასიის უმაღლესი საბჭოდან და სტატიის სათაურის შეცვლა სთხოვეს იმ განმარტებით, რომ შტიგაშევი საბჭოთა კავშირის ისტორიას იხსენებდა და ეჭვქვეშ არ დაუყენებია ყაზახეთის აღმოსავლეთ ნაწილის კუთვნილების საკითხი.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

## მსურველის გამოჩენის შემთხვევაში, ბანკი ქართუ" გაიყიდება"

თუ მსურველი გამოჩნდება, შეიძლება ბანკი „ქართ" გაიყიდოს,-ამის შესახებ ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ნოდარ ჯავახიშვილმა გადაცემა „ბიზნეს კურიერში" განაცხადა.

როგორც მან აღნიშნა, მას ბანკის დამფუძნებელთან ჰქონდა საუბარი და აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე შეთანხმდნენ.

„მას შემდეგ, რაც საკმაოდ აჟიტირებულ თემად იქცა ბანკზე საუბარი, რომ ბანკმა დაკარგა საინვესტიციო აქტუალობა, მე მქონდა საუბარი დამფუძნებელთან და მივედით ერთობლივ დასკვნამდე, რომ თუკი იქნება ასეთი სერიოზული საინვესტიციო ფონდები და ცენტრი, ამ თვალსაზრისით, ბანკი „ქართუს" აქტუალობა დამფუძნებლისთვის მეორე პლანზე გადადის. შევთანხმდით, რომ შეიძლება, ეს ბანკი გაიყიდოს, თუ ამის მსურველი გამოჩნდება", – განაცხადა ნოდარ ჯავახიშვილმა.

მედიანიუსი

## ირაკლი ღარიბაშვილი: არჩევნები მშვიდ ვითარებაში უნდა ჩატარდეს"

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, რომელიც მან საპარლამენტო უმრავლესობასთან შეხვედრის დროს გააკეთა, მნიშვნელოვანია, რომ თვითმმართველობის არჩევნებმა მშვიდ და სტაბილურ გარემოში ჩაიაროს.

მისივე თქმით, ხელისუფლების მთავარი ამოცანაა, არჩევნები დემოკრატიულ გარემოში ჩატარდეს.

საპარლამენტო უმრავლესობასთან მორიგ სამუშაო შეხვედრაზე, დღეს საუბარი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებს, ასევე მომავალ კვირაში პარლამენტში განსახილველ კანონპროექტებს შეეხო.

ნიუსპრესი

# „მაგთიკლუბში“ „მაგთიკომის“ ახალი გამოცემის — ბიძინა ავალიშვილის ალბომის წარდგინება გაიმართა



აქ ძალიან ხშირად შეხვდებით სხვადასხვა თაობის, საზოგადოებისთვის კარგად ცნობილ თუ უცნობ ადამიანებს, ხელოვნების, მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებს, პოლიტიკოსებსა თუ მათ, ვისაც პოპულარობის მოხვეჭის ყველა რგოლი ჯერ გასავლელი აქვთ, მაგრამ უკვე რაღაცას წარმოადგენენ თავ-თავიანთ სფეროში.

ეს ხალხი „მაგთიკლუბში“ ხშირად იკრიბება, კომპანია „მაგთიკომის“ ორგანიზებულ საღამოებზე, კეთილ მასპინძლებსა და საინტერესო ღონისძიებასთან შესახვედრად.

იმ დღესაც ასე მოხდა. სანამ ყველაფერი დაიწყებოდა, სტუმრების ნაკადს ბოლო არ უჩანდა. ნაირ-ნაირი ნუგბარითა და სასმელით ლამაზად გაწყობილ მაგიდებს ჯგუფ-ჯგუფად უსხდებოდნენ — მწერლები, არქიტექტორები, მოქანდაკეები, მხატვრები, მუსიკოსები, კინორეჟისორები, კინოპერატორები, ენათმეცნიერები, ფილოლოგები, ისტორიკოსები, ე.წ. ტექნიკური ინტელიგენცია, ხელოვნებათმცოდნეები — რომ იტყვიან, მთელი თბილისის კულტურულ ელიტას აქ მოეყარა თავი და როგორც ყოველთვის ხდება „მაგთიკლუბში“, ერთმანეთთან შეხვედრის სიხარულითა და ურთიერთობით ტკბებოდა.

თავშეყრის ადგილიც და მიზეზიც „მაგთისთვის“ ტრადიციული იყო — ქართველი ხელოვანების შემოქმედების ამსახველ ალბომებს (რომლის ყოველი ტომის გამოსვლა „მაგთიკლუბში“ საზეიმოდ აღინიშნება), ახალი, მეცამეტე გამოცემა — მოქანდაკე ბიძინა ავალიშვილის კატალოგი შეემატა.



მაღალპოლიგრაფიული ხარისხით გამოცემული ალბომი ორენოვანია (ქართულ-ინგლისურ). მასზე მუშაობდნენ — ტექსტის ავტორი — არტ კრიტიკოსი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი დავით ანდრიაძე, რედაქტორი — ნანა შერვაშიძე, ფოტოგრაფი — გია ჩხატარაშვილი; დიზაინერები — ქეთევან ალიხანაშვილი, პაატა ედილაშვილი და ზურაბ მიმინოშვილი; მთარგმნელები — ციცი ხოცუაშვილი და ნინო ტოტაძე. დაიბეჭდა გამოცემლობა „სეზანში“.

წიგნში შესულია ფოტოები ავალიშვილის საოჯახო ალბომიდან — ახალგაზრდობიდან სიცოცხლის ბოლო პერიოდის ჩათვლით და რაც მთავარია, მისი სკულპტურების ამსახველი ათეულობით ფოტოილუსტრაცია. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ოთარ მიმინოშვილი, პატარა, მაგრამ ტევად წერილში იგონებს ბიძინა ავალიშვილს. წიგნში ასევე ქვეყნდება ჭელიძის ლექსი, რომელიც ბიძინა ავალიშვილს ეძღვნება.

ჩვენთან საუბარში, **„მაგთიკომის“ ღონისძიებების მოწყობის მენეჯერმა, თათული ღვინიაშვილმა** აღნიშნა: „დღეს ჩვენ „მაგთიკომის“ ხელშეწყობითა და დაფინანსებული, რიგით მეცამეტე გამოცემის, მოქანდაკე ბიძინა ავალიშვილის ალბომის პრეზენტაცია გვაქვს. ეს იმ დიდი საქმიანობის გაგრძელებაა, რასაც „მაგთის“ მიერ ქართული საქმის კეთება ჰქვია.

დამეთანხმებით, როდესაც მომავალ თაობას საშუალებას აძლევ გაეცნოს და აღიზარდოს ეროვნულ ღირებულებებზე, ეს ნამდვილად ქართული საქმეა.

ჩვენ კვლავ გავაგრძელებთ კომპანიის საქმიანობის საკმაოდ შრომატევად, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვან, მიმართულებას. შესაბამისად, ამ ალბომების პრეზენტაციებზე, „მაგთიკლუბში“ კიდევ ბევრჯერ შევხვდებით“.

არ მეგულება მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის რომელიმე გამორჩეული მოღვაწე (ისტორიულ პირებზე აღარაფერს ვამბობ, ანუ მათზე, რომლებსაც მოქანდაკე, ბუნებრივად, ვერ მოესწრო — ვაჟა-ფშაველა, შოთა რუსთაველი, ალექსანდრე ყაზბეგი, ფიროსმანი), ვისი პორტრეტიც ბიძინა ავალიშვილს არ ჰქონდეს შექმნილი — კულტურის, მეცნიერების სხვადასხვა სფეროდან — აკაკი შანიძის, ანდრია რაზმაძის, ჯანსულ ჩარკვიანის, ავლიპ ზურაბიშვილის და ა.შ. მუშაობდა, ძირითადად, პორტრეტულ სკულპტურაში, მაგრამ რამდენიმე მონუმენტიც აქვს შექმნილი.

**დავით ანდრიაძე (წიგნის ტექსტის ავტორი):** „ბიძინა ავალიშვილმა შექმნა თავისი პორტრეტული იმიჯი. მე-20 საუკუნის ქართული პორტრეტული ქანდაკება არც ისე მდიდარია და ბიძინას პორტრეტულ ქანდაკებაზე, როგორც ამ დანაკლისის შემავსებელზე, ლაპარაკი თავისუფლად შეიძლება.

იგი ყოველთვის ამოდიოდა ნატურიდან და საინტერესოა, რომ, ვის პორტრეტსაც აკეთებდა, ყველასთან მეგობრდებოდა — იგივე, გალაკტიონი, იგივე, აკაკი შანიძე, იგივე, გიორგი ლეონიძე და სხვები.

ბიძინა ავალიშვილის შემოქმედების შესწავლა რომ დავიწყე, გაოცებული დავრჩი — მე მგონი, ამდენი ქანდაკება არავის გაუკეთებია.

იგი იყო კარგი მხატვარი, სერიოზული მხატვარი, ოსტატი, ნამდვილი ოსტატი იყო და იმ დისკურსში თუკი ვინმე დარჩება, ბიძინა ავალიშვილი აუცილებლად დარჩება. ჩვენ კი, ცოტა ხანში, ალბათ მოსანატრებელი გვექნება ისეთი მოქანდაკე, რომელსაც შეუძლია კარგი პორტრეტული პროტოტიპის ქანდაკებაში კეთება“.

ბიძინა ავალიშვილი იმ იშვიათ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელიც ყველას უყვარდა — დიდსაც და პატარასაც, კოლეგასაც და სხვა პროფესიის ადამიანებს, მას პატივს სცემდნენ, როგორც პიროვნებას და როგორც ხელოვანს.

**თინათინ კლდიაშვილი (მხატვარი. თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორი):** „ბატონ ბიძინას პირადადაც ვიცნობდი და არა მხოლოდ, როგორც მოქანდაკეს. ძალიან მიყვარდა. არაჩვეულებრივი პიროვნება იყო, ერუდირებული, საინტერესო. ისეთი დამოკიდებულება ჰქონდა თავისი საქმის, ზოგადად ხელოვნების მიმართ, რომ სწორედ ესაა სამაგალითო და მისასალმებელი.



თავად ის ფაქტი, რომ დღეს ბიძინა ავალიშვილი გაახსენდა ჩვენს საზოგადოებას და ამ ნიჭიერი მოქანდაკის ნამუშევრების ალბომი შეიქმნა, ძალიან ნიშანდობლივია. ნიშანდობლივია, საერთოდ იმისთვის, რომ ახალგაზრდებმა, ჩვენმა მომავალმა თაობამ უბრალოდ იცოდნენ, როგორი წინამორბედები ჰყავდათ, როგორი კულტურა გვქონდა, როგორ ვითარდებოდა ხელოვნება საქართველოში.

ძალიან სამწუხაროა, რომ ეს სფერო გარკვეული პერიოდი მიძინებული იყო და ის, რომ ამ ამბავმა ახლა ამოხეთქა, ჩემთვის ძალიან მოულოდნელი იყო და ძალიან სასიხარულო. დიდ მადლობა „მაგთის“ იმისთვის, რომ ჩვენ ხელოვანებსა და ნამდვილად კულტურულ მემკვიდრეობას ალბომების სახით აცოცხლებს და ინახავს და როგორც უკვე გითხარით, საშუალებას იძლევა, ეს ყველაფერი მომავალს გზავნილად გადავცეთ“.

როგორც ადამიანები, ვინც ბიძინა ავალიშვილს იცნობდა, ამბობენ, იგი იყო პიროვნება, რომელსაც ძალიან ბევრი თანამედროვის სკულპტურულა აქვს შექმნილი და ყველას, ვის პორტრეტზეც მუშაობდა, სამუდამოდ უმეგობრდებოდა.

**გიგა ბათიაშვილი (არქიტექტორი):** ბიძინაზე ერთი რამ მინდა ვთქვა — მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის გამორჩეული წარმომადგენელი იყო. გამორჩეული. ღირსეულად მატარებელი თავისი გვარიშვილობის, ღირსეული კაცი — სამეგობროში და ღირსეული მოქანდაკე. უდიდესი პატივისცემით ვარ მის მიმართ და ძალიან მიხარია, რომ დღეს მისი წიგნის პრეზენტაციაა.

მან მამაჩემის პორტრეტიც გააკეთა, არაჩვეულებრივი. ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ ჩემს ბიოგრაფიაში ბიძინა ავალიშვილთან ურთიერთობის ბედნიერი ფურცელი არსებობს.

გადავხედე ალბომს და ძალიან კმაყოფილი ვარ.ის, რაც იყო ბიძინა — როგორც მოქანდაკე, არა მოდასაყოლილი თავისი შემოქმედებით, შესანიშნავი ქმნილებებით, საოცრად შეკრული კაცურად, როგორი ბუნებისაც იყო, საბედნიეროდ, ისეთივე შესანიშნავ წიგნად არის გამოცემული.

ასე რომ, ვფიქრობ, დიდი მადლობა უნდა ვუთხრათ „მაგთის“, რომ ეს გააკეთა. საერთოდ შესანიშნავი წიგნები შესძინა ქვეყანას. ეს ხომ მახსოვრობაა და მახსოვრობაზე ძვირფასი არაფერი არ არის“.

**ტარიელ ქუთათელაძე (არქიტექტორი, თბილისის საპატიო მოქალაქე):** „უბრწყინვალესი ადამიანი, პედაგოგი, კაცი კაცური — ბიძინასნაირი თბილისში სულ რამდენიმე მეგულება. წესიერი, პატიოსანი და მოსიყვარულე, ჩემი ოჯახის დიდი მოყვარული, ჩემი ძმის დიდი მეგობარი. განუყრელები იყვნენ. მეც ძალიან მიყვარდა. დიდი ადამიანი იყო — თავის შემოქმედებით, თავისი სიყვარულითა და თავისი კაცობით“.

**ქეთა კობახიძე (არქიტექტორი):** „ბიძინა იყო ჩემი ოჯახის უახლოესი ადამიანი. მე ვარ მისი თანაავტორი გალაკტიონის ძეგლზე, ჩემი ქმარი — სოლომონ დოდაშვილის ძეგლის თანაავტორია, ჩემი შვილი კი — ექვთიმე თაყაიშვილის ძეგლის კვარცხლბეკის თანაავტორი.

ის უახლოესი და უსაყვარლესი ადამიანი იყო. ძალიან გამიხარდა ალბომის გამოცემა. დავათვალიერე და არაჩვეულებრივია. დიდი მადლობა „მაგთის“.

ალბომის პრეზენტაცია თათული ღვინიაშვილს მიჰყავდა. ბიძინა ავალიშვილს, როგორც პიროვნებას, როგორც მოქალაქესა და ხელოვანს იხსენებდნენ წიგნის ტექსტის ავტორი დავით ანდრიაძე, ბიძინა ავალიშვილის შვილიშვილი მანანა ავალიშვილი, ტარიელ ქუთათელაძე, გიგა ბათიაშვილი, ჯანსულ ჩარკვიანი, ბადრი ქუთათელაძე, ზურაბ კიკნაძე და სხვები. თითოეული მათგანის გამოსვლაში გულწრფელი სიყვარული და ასეთივე გულწრფელ მადლიერება გამოიხატებოდა „მაგთიკომის“ მისამართით, რომელიც ხელოვანთა ალბომების გამოცემით, ნამდვილად ქართულ საქმეს აკეთებს.

ბიძინა ავალიშვილის ალბომის პრეზენტაცია ტრადიციულად ბენდმა გააფორმა. ბოლოს კი ყველა სტუმარს, ასევე ტრადიციულად, მისი ნამუშევრების ალბომი საჩუქრად გადაეცა.

კომპანია „მაგთიკომის“ ხელშეწყობით წლებია გამოდის და დღემდე გამოიცა — ირაკლი ფარჯიანის, ედმონდ გაბრიელ კალანდაძის, თემო ჯაფარიძის, რადიშ თორდიას, მერაბ აბრამიშვილის, კოკი მახარაძის, დიმიტრი ერისთავის, თემო გოცაძის, ჯიბსონ ხუნდაძის, ელგუჯა ამაშუკელის, ოთარ ჩხარტიშვილისა და ემირ ბურჯანაძის ნამუშევართა ალბომები. ამიერიდან მათ ბიძინა ავალიშვილისაც შეემატა.

**ლელა ვაჩნაძე**

# ფულადი გზავნილები — მეტი არჩევანი და საჩუქრები მთელი წელი!




თიბისი ბანკში ფულადი გზავნილების გათამაშება დაიწყო. მათ, ვინც ისარგებლებს თიბისი ბანკის ფულადი გზავნილით, ყოველ მეხუთე გზავნილზე მიიღებს საჩუქარს და ასევე ჩაერთვება გათამაშებაში, რომლის შედეგადაც შესაძლოა დასაჩუქრდეს 1000 ან 5000 ლარიანი ფულადი პრიზით.

ყოველი მეხუთე მომხმარებელი, გზავნილის მიმღები ან გამგზავნი, ავტომატურად ხდება გამარჯვებული და ფილიალშივე იღებს მისთვის სასურველ საჩუქარს — სუვენირებს, ელექტროენერგიის უფასო კილოვატებს ან მობილურზე უფასო სასაუბრო დროს.

გარდა ამისა, თიბისი ბანკის ფულადი გზავნილებით სარგებლობის შედეგად მომხმარებელს გადაეცემა მომგებიანი ბილეთები, რომელიც თავსდება ლოტოტრონში და რომლის საშუალებთაც შესაძლებელია მოიგოთ სუპერ პრიზი — 1000 ან 5000 ლარი.

კერძოდ, 2015 წლის 20 იანვარს, 20:00 სთ-ზე შედგება გათამაშება, რომლის დროსაც გამოვლინდება 5 მომხმარებელი, რომელიც მოიგებს 1000 ლარს და 5 მომხმარებელი, რომელიც მოიგებს 5000 ლარს. გათამაშების ნახვა შესაძლებელი იქნება თიბისი ბანკის ფაცებოოკ გვერდზე.

აქცია წლის ბოლომდე გრძელდება და მასში მონაწილეობის მისაღებად გზავნილის თანხის მოცულობა შეზღუდული არ არის.

წელს თიბისი ბანკმა მნიშვნელოვად გააფართოვა ფულადი გზავნილების ქსელი და უფრო მრავალფეროვანი გახადა არჩევანი, რის შედეგადაც მომხმარებელს სთავაზობს ფულადი გზავნილების მეტად კომფორტულ სერვისს. კერძოდ, უკვე შესაძლებელია ფულადი გზავნილების შემდეგი სისტემებით სარგებლობა:

- Western Union
- Unistream
- Contact
- Intel Express
- Moneygram
- Anelik (სარგებლობა შესაძლებელი იქნება 1 მაისიდან)
- RIA

სერვისის მიღება შეუძლიათ როგორც თიბისი ბანკის არსებულ, ისე ახალ მომხმარებლებს.

იჩქარეთ, გააგზავნეთ თანხა ნებისმიერი მიმართულებით, ჩაერთეთ გადამაშებაში და დასაჩუქრდით!

## მარკ ზახაროვი კაგებეს“ არქივების გახსნას ითხოვს

სსრკ-ის სახალხო არტისტი, რუსი რეჟისორი მარკ ზახაროვი, „კაგებეს“ არქივების გახსნას ითხოვს. მისი თქმით, ყველაზე საინტერესო სტალინისა და ჰიტლერის მიმოწერა იქნება, ხოლო ცოტა ხნის წინ გამოქვეყნებული მასალები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დროს უკრაინელების გერმანელებთან თანამშრომლობას ეხება, რეჟისორს სერიოზულ კომპრომატად არ მიაჩნია.

მისი თქმით, საჭიროა, კარგად გვესმოდეს, რა არის „ფაშიზმი“. ზახაროვის თქმით, განათლებული ადამიანები არ უნდა უწოდებდნენ ყველა უკრაინელს „ფაშიტს“, რადგან, იმავე ლოგიკით, მთელ ევროპასა და რუსეთსაც შეიძლება, იგივე იარლიყი მიაკრან.

გაგრძელება მე-8 გვერდზე

ძვალ-სახსართა პრობლემების:
კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართრიტის, ანკილოზირებული სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.
☎ 599-91-37-65. ქალბატონი ქეთათო

# უგულავა ხელისუფლებას სიფრთხილისკენ მოუწოდებს

შორენა გონგლაძე

დედაქალაქის ყოფილმა მერმა გიგი უგულავამ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური შვიდსაათიანი დაკითხვის შემდეგ დატოვა. როგორც უგულავა ვარაუდობს, „სითი პარკის" საქმეზე ის უკანასკნელად იმყოფებოდა დაკითხვაზე და, არ არის გამორიცხული, რომ სულ მალე ბრალი წაუყენონ. უგულავას განცხადებით, კითხვები ძირითადად ბუღალტერიას შეეხებოდა.



— კითხვები ძირითადად ეხებოდა ბუღალტერიას, სახაზინო კოდებს, ბუღალტრულ ნიუანსებს, რომლის შესახებაც, ბუნებრივია, ბევრი არაფერი ვიცი. რაც შეეხება ამ საქმეს, ვვარაუდობ, წინასაარჩევნოდ აუცილებლად გამოაგდებენ „სითი პარკის" თემას. ერთადერთი, მინდა მოვუწოდო, ფრთხილად იყვნენ. შეიძლება, ისეთი შეცდომა დაუშვან, რომ შემდგომ არბიტრაჟში მთავრობამ წააგოს და სახელმწიფოს დიდი ვალი დაეკისროს. სხვა შემთხვევაში, თუ ეს საქმე სასამართლომდე მივა, ვფიქრობ, სასამართლოზე არანაირი პერსპექტივა არ აქვს. თვითონ გამომძიებლებთან პრეტენზია არ მაქვს. როგორც ბიძინა ივანიშვილი ამბობს, უკვე დავმეგობრდით კიდეც, ნაწილობრივ, ტელევიზორსაც ვუყურებდით. მაგრამ ის, რაც გარეთ ხდებოდა, გაცილებით უფრო მძიმე სიმპტომებს შეიცავს. ივანიშვილისა და ღარიბაშვილის უპასუხისმგებლობით საქართველო და განსაკუთრებით თბილისი შეიძლება დაემსგავსოს კინოსურათს „ნიუ იორკის ბანდები". რეციდივები უკვე არის. ეს კვერცხოსნები და კვერცხოვანი ხალხი თუ არ ალაგმა მთავრობამ, შეიძლება, უმართავ სიტუაციაში გადავიდეს. ამ საქმეზე დაკითხვას მეტს აღარ ველოდები, ბრალი შეიძლება წამიყენონ. — განაცხადა უგულავამ.

გიგი უგულავა, დაკითხვის პარალელურად, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურთან აქციას მართავდნენ გიგი უგულავას მხარდამჭერები და მოწინააღმდეგეები. ტრადიციულად, ეს დაკითხვაც უგულავას მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის მომხდარი დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობდა. სიტყვიერ და ფიზიკურ დაპირისპირებაში ,,ახალგაზრდული ცენტრისა" და ,,თავისუფალი ზონის" წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ადგილზე მობილიზებული იყვნენ სამართალდამცავები. ისინი დაპირისპირებული მხარეების გაშველებას ცდილობდნენ, რა დროსაც ერთ-ერთი პოლიციელი დაშავდა. ინციდენტის ადგილზე სასწრაფო დახმარების გამოძახებაც გახდა საჭირო. ინციდენტის დროს სამართალდამცავებს არავინ დაუკავებიათ.

# დასავლეთს მხოლოდ სანქციების დაწესება შეუძლია

შორენა გონგლაძე

უკრაინის მოვლენების შეფასებისას პოლიტოლოგი გურამ შარია აცხადებს, რომ უკრაინის მოვლენებს გრძელვადიანი შედეგები ექნება. კიევსა და უკრაინის სხვა ქალაქებში ნაციონალისტების პარპაშის მიღმა ბევრად უფრო მასშტაბური და საშიში ძალა დგას — დასავლური გლობალური პროექტი, რომელიც თანდათანობით აღწევს მსოფლიოს ყველა კუთხე-კუნჭულში და ცდილობს, დაიმორჩილოს სახელმწიფოები, რომლებიც ჯერ კიდევ ინარჩუნებენ იმას, რასაც შეიძლება ვუწოდოთ „სტრატეგიული სუვერენიტეტი, ეს არის ქვეყნის შესაძლებლობა, დაიცვას მისთვის ფუნდამენტური გადაწყვეტილებები, რომელთა წინააღმდეგ გამოდის ე.წ. მსოფლიო თანამეგობრობა. სუვერენიტეტის გარკვეული დონე აქვს თითქმის ყველა ქვეყანას — შეუძლებელია, რომ ე.წ. კოლექტიური დასავლეთი აკონტროლებდეს მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს პოლიტიკის ყველა დეტალს. ცალკეული ქვეყნები ახერხებენ კიდეც თავიანთი გეოგრაფიული მდგომარეობის გამოყენებას (როგორიცაა დაშორებულობა გეოპოლიტიკური ცენტრებისგან და ა.შ.) იმისთვის, რომ მიაღწიონ გარკვეულ დათმობებს „დასავლელი პარტნიორებისგან", — აცხადებს გურამ შარია და მაგალითისათვის აფრიკის ზოგიერთ ქვეყანას იხსენებს, სადაც მიღებულ იქნა საკანონმდებლო აქტები, რომლებიც კანონგარეშე აცხადებენ ჰომოსექსუალურ ურთიერთობებს და შემოაქვთ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ამგვარი ადამიანებისთვის.

— დასავლეთის ლიდერები მხოლოდ სიტყვიერი შეშფოთებით შემოიფარგლნენ და ამ ქვეყნების (უგანდა და სხვ.) წინააღმდეგ ეკონომიკური თუ სხვა სახის სანქციები არ შემოიღეს, რადგან დაინტერესებული არიან ამ ეტაპზე მათთან თანამშრომლობით აფრიკულ საქმეებში. ამგვარი მაგალითი ბევრია. დასავლეთ ევროპის ქვეყნები ან იაპონია ასევე არ ემორჩილებიან ყველაფერში აშშ-ის დიქტატს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ ქვეყნებს სტრატეგიული სუვერენიტეტი გააჩნიათ. მსოფლიოში სულ რამდენიმე ქვეყანა რჩება, რომლებთან მიმართებით შეიძლება ვთქვათ, რომ მათ გააჩნიათ სტრატეგიული სუვერენიტეტის ნიშნები. ერთ-ერთ მათგანად შეიძლება ჩაითვალოს რუსეთი, რისი მაგალითიც გახდა ამერიკული შეჭრის ბლოკირება სირიაში. გადატრიალება უკრაინაში დასავლეთის პირდაპირი პასუხი გახდა მოსკოვის მცდელობაზე მომავალშიც შეინარჩუნოს სტრატეგიული სუვერენიტეტი. თავისთავად, უკრაინას ისედაც გააჩნია სერიოზული მნიშვნელობა დასავლეთისთვის, ძირითადად იმის გამო, რომ უკრაინის ტერიტორიაზე შესაძლებელია აშშ-ს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ელემენტების განლაგება. უკრაინის კიდევ ერთი, შეიძლება ძირითადი მნიშვნელობა არის მისი გამოყენება რუსეთში ლიბერალური გადატრიალების პლაცდარმის სახით. ე.წ. მაიდანის დროს აშკარად გამოიკვეთა ორი ძალა — ზომიერად ლიბერალური პუბლიკა, წარმოდგენილი ძირითადად კიევური საშუალო ფენის მიერ (ე.წ. კრეატიული კლასი), რომელიც დიდწილად რუსულენოვანია და მემარჯვენე ტიპის რადიკალური უკრაინელი ნაციონალისტები. იანუკოვიჩის დამხობის დღეებში პირველ პლანზე გამოვიდნენ ეს უკანასკნელნი, რამაც გააჩინა იმის ილუზია, რომ რადიკალები მთავარ როლს ითამაშებდნენ გადატრიალების შემდეგაც. ამის გარკვეული ნიშნები მართლაც გამოჩნდა იმის სახით, რომ რადიკალებს თითქოსდა ნიშნავდნენ საკვანძო თანამდებობებზე ძალისმიერ სტრუქტურებში და ა.შ. შეიქმნა „ეროვნული გვარდია", სადაც გააერთიანეს მაიდანზე მოქმედი დაჯგუფებების წევრები. — აცხადებს შარია.

პოლიტოლოგის განცხადებით, თავიდანვე გასაგები იყო, რომ კიევში ახალი ხელისუფლების დამკვიდრების შემდეგ მათ აღარ დასჭირდებოდათ კონკურენტი ძნელად სამართავი შეიარაღებული ფორმირებების სახით, რომლებსაც მიდრეკილება აქვთ ანარქიული ქმედებებისკენ. მემარჯვენე ნაციონალისტთა ნაწილი სასწრაფოდ შეიყვანეს ზემოთ ნახსენებ ეროვნულ გვარდიაში, რომლის გამოყენებას აპირებენ შინაგანი ჯარების სახით უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებში (ობიექტების დაცვა, პროტესტების ჩახშობა და ა.შ.). დანარჩენ ბოევიკებს განაიარაღებენ ან ფიზიკურადაც კი გაანადგურებენ.

— ამის მაგალითი უკვე გვაქვს „მემარჯვენე სექტორის" ერთ-ერთი ლიდერის, ვინმე მუზიჩკოს ლიკვიდაციის სახით, რომელიც ცნობილი იყო მეტსახელით საშკო ბილი. ამ სუბიექტის ლიკვიდაცია უნდა გახდეს გაფრთხილება დანარჩენი „საველე მეთაურების" და მაიდანის „ასმეთაურების" მიმართ, რომ არანაირ დამოუკიდებლობა და ანარქიას მათგან ახალი ხელისუფლება არ მოითმენს. ფუნქცია, რომელსაც დასავლეთი აკისრებს უკრაინას, შემდეგნაირია: ეს ქვეყანა უნდა გახდეს დამაკავშირებელი რგოლი დასავლეთსა და პროდასავლურ ძალებს შორის რუსეთში. ამის გამო, დასავლეთი არ დაუშვებს არც ე.წ. ბანდერელებისა და ულტრანაციონალისტების ზედმეტ თარეშს, რომელთა ნაწილი, როგორც ცნობილია, სკეპტიკურად არ ის განწყობილი თავად ევროპისა და მისი ინსტიტუტების მიმართ. ამჟამინდელ კიევურ ხელისუფლებას სჭირდება, პირველ რიგში, მხარდაჭერის ბაზის შექმნა უკრაინის აღმოსავლეთ და სამხრეთ რეგიონებში. მაგრამ საეჭვოა, რომ ეს განხორციელდეს ამ რეგიონის მოსახლეობის ტოტალური უკრაინიზაციის გატარების გზით ანუ დასავლეთ უკრაინის მოდელის გადმოტანით. დასავლეთისთვის და უკრაინის პროდასავლური მთავრობისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია იყოლიოს ლოიალური რუსულენოვანი მოსახლეობა რუსეთის დასავლეთ საზღვრებთან. ამიტომ, უნდა ვივარაუდოთ, რომ კიევის პოლიტიკა ამ რეგიონების მიმართ უფრო დახვეწილი იქნება. მაგალითად, თუ მათ მოახერხეს სიტუაციის სტაბილიზაცია რუსეთის მოსაზღვრე რეგიონებში, მათ ნელ-ნელა გაუზრდიან უფლებებს, ანუ მოხდება რეგიონალიზაციის ან ფედერალიზმის ელემენტების შემოტანა. მაგრამ, ეს გაკეთდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღმოსავლეთის რეგიონის მოსახლეობის კულტურულ-ფსიქოლოგიური ტრანსფორმაციის პროცესი კიევის ხელისუფლების და მათი დასავლელი პატრონებისთვის წარმატებული აღმოჩნდა. — აცხადებს შარია, მისივე თქმით, რუსეთსა და უკრაინას შორის ურთიერთობებს რაც შეეხება, დასავლეთი ასევე არ შეეცდება უკრაინის სრულ იზოლაციას აღმოსავლელი მეზობლისგან. ახლა, როცა პროდასავლური ძალები საკმაოდ მყარად აკონტროლებენ სიტუაციას უკრაინის ტერიტორიის დიდ ნაწილზე, მათ არ აქვთ მოტივაცია აღმართონ „ჩინეთის დიდი კედელი" რუსეთის საზღვარზე. პირიქით, დასავლეთი წაახალისებს უკრაინულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, პოლიტიკოსებს, ინტელექტუალებს, არტისტებს და ა.შ. რუსეთში აქტიური შეღწევისკენ, რათა მათ უფრო ახლო კონტაქტები დაამყარონ პროდასავლურ ელემენტებთან რუსეთში.

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. პატარა თეფში; 5. სცენის გასანათებელი მოწყობილობა; 7. რისამე ან ვისიმე მიბაძვა; 9. ფრანგი მათემატიკოსი (1865-1963); 10. ობობას მსგავსი შხამიანი ცხოველი; 13. დიდი ბუ (ძვ.); 14. მონათესავე ბოშების მომთაბარე ჯგუფი; 15. უუფლებო ადამიანი; 19. პიტნის სუნის მქონე კრისტალური ნივთიერება; 20. რაიმე დაწესებულების, საწარმოს მმართველი; 21. იტალიური მოხდილი ყველი; 22. „სალდათი" ბანქოში.

**შვეულად:** 1. გრ. რობაქიძის პიესა; 2. იოჰანეს ... (გერმანელი კომპოზიტორი, დირიჟორი); 3. ქალაქი კალიფორნიის შტატში (აშშ); 4. ჩრდილო ამერიკული გარეული ხარი; 6. ტუსაღი; 8. საზღვაო მოგზაურობა; 11. მთავრის (თავადის) უმაღლესი ტიტული ინდოეთში; 12. სასაცილო შინაარსის პიესა; 16. ველორიქშა ინდოეთში; 17. ყველაზე კაშკაშა მცირე პლანეტა; 18. ჟირაფების ოჯახის იშვიათი აფრიკული ცხოველი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*



# რუსთაველი მძღოლები ინტერტრანსთან" თანამშრომლობას არ აპირებენ

რუსთაველი მძღოლები სამარშრუტო კომპანია „ინტერტრანსთან" თანამშრომლობას არ აპირებენ. ამის შესახებ ცნობილი რუსთავში, „ინტერტრანსის" ოფისში რუსთავი-თბილისის სამარშრუტო ტაქსების მძღოლებსა და კომპანიის წარმომადგენლებს შორის გუშინწინ გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ გახდა ცნობილი.

რუსთაველი მძღოლებისთვის კომპანიის მიერ შეთავაზებული სამუშაო პირობები მიუღებელია. ისინი სამარშრუტო ტაქსებზე ჩატარებული ტენდერის გაუქმებას კვლავ მოითხოვენ. ამასთან, გუშინწინ, ,,ინტერტრანსის" წარმომადგენლებსა და აქციის მონაწილეებს შორის სიტყვიერ დაპირისპირებასაც ჰქონდა ადგილი. მძღოლები კომპანიის ოფისში შეჭრას ცდილობდნენ, თუმცა სამართალდამცავებმა მათ ოფისში შეჭრის საშუალება არ მისცეს და სიტუაცია მალევე განმუხტეს.

ცნობისთვის: კომპანია „ინტერტრანსმა" რუსთავში 30 ყვითელი მიკროავტობუსი შეიყვანა.

**მედიანიუსი**

# მარკ ზახაროვი კაგებეს" არქივების გახსნას ითხოვს

დასაწყისი მე-7 გვერდზე

მარკ ზახაროვის თქმით, ფაშიზმს ეროვნება არ აქვს და იგი შეიძლება, ნებისმიერ ადგილას აღმოცენდეს.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ რუსეთში იმ მსახიობების სია შეადგინეს, რომლებიც უკრაინას მხარს უჭერენ.



სიაში არიან — ლია ახეჯაკოვა, ოლეგ ბასილაშვილი, არმენ ჯიგარხანიანი, ელდარ რიაზანოვი, იური შევჩუკი, ბორის გრებენშჩიკოვი, სერგეი იურსკი, ანდრე მაკარევიჩი, ვალენტი გაფტი, ანდრეი მიაგკოვი.

ასევე მიხაილ ჟვანეცკი, სერგეი გარმაში, მარკ ზახაროვი, ელენა იაკოვლევა, გალინა ვოლჩეკი, ანდრეი კონჩალოვსკი, ვლადიმერ გოსტიუხინი, ფიოდორ დობრონრავოვი, ლეონიდ ბრონევოი, ალექსანდრ ბალუევი, იური სტოიანოვი, სტანისლავ სადალსკი, ალექსანდრ როზენბაუმი, დანილ გრანინი, მარატ ბაშაროვი, სერგეი მაკოვეცკი, დიმიტრი ხარატიანი, მიხაილ კოკშენოვი, ემანუილ ვიტორგანი, ლეონიდ კურავლიოვი, ნატალია ფატეევა, ბორის აკუნინი.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

## განცხადებები

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში, თბილისიდან 35 კმ-ში, 2000 კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ხეხილით. 1.კვ.მ-ის ფასი 3 დოლარი. ტელ: 568 65-74-86; 0790 90-32-96 ალიკა.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ვმკურნალობთ მცენარეული პრეპარატებით: გახდომა თვეში 8-20 კგ-ით, 3-ჯერადი კვებით, გასუქება 5 კგ-ით თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ით. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე. ტელ: 592-10-58-22 ნონა.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია..

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექიმი ქ-ნი სალომე.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● მკურნალობა ძვალ-სახსართა ნებისმიერ პრობლემაზე, კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, ართრიტების და ა.შ. დაზიანებული და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა, ასევე წონის დაკლება 5-15 კგ თვეში, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-156-333; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

# დინამო აგებს, ზესტაფონი სხვაობას ამცირებს

**დინამო – სიონი 0:1**

**თბილისი. დინამო არენა**

0:1 აფციაური (34)

**დინამო:** ლორია, ხურცილავა, რეხვიაშვილი, ხიდეშელი, კვირკველია, პაპავა, ცინცაძე (გოგა 74), მერებაშვილი (ვუო 83), ჩისკო, მოდებაძე, მარცვალაძე

**სიონი:** მერლანი, სვანიძე, აბრამიძე, თოთაძე, იმედაშვილი, ფოფხაძე, ცხადაია, გოგობერიშვილი, აფციაური (განუგრავა 86), კახელიშვილი (სამხარაძე 80), ბიბილეიშვილი (უგულავა 26)

წლევანდელ სეზონში „სიონმა" ზედიზედ მეორედ დაამარცხა შინ მოთამაშე „დინამო". თბილისში გამართული შეხვედრა თბილისელი ფეხბურთელების უპირატესობით წარიმართა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ უპირატესობის რეალურ მომენტებად გარდაქმნა დედაქალაქელებს ძალიან უჭირდათ. გოლი მატჩის 34-ე წუთზე გავიდა, შეტევის მარჯვენა ფლანგზე დანიშნული ჯარიმა თორნიკე აფციაურმა შეასრულა და მეკარისგან შორეულ კუთხეში ლამაზი გოლი გაიტანა. პირველი ტაიმის მიწურულს, დინამოელებმა გოლის გატანა მოახერხეს, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე დააფიქსირა და გოლიც არ ჩაითვალა.

მეორე ტაიმში ტერიტორიულ უპირატესობას „დინამო" ფლობდა, ბოლნისელებმა უკან დაიხიეს და თამაში კონტრშეტევებზეააწყვეს. დინამოელებმა რამდენიმე მომენტის შექმნა მოახერხეს, მაგრამ ანგარიშის შეცვლა ვერ მოახერხეს და ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი წააგეს. ამ მარცხით დედაქალაქელთა სატურნირო პოზიცია ცოტათი შეირყა და უახლოეს მდევართან სხვაობა 6 ქულამდე შემცირდა.

**ლადო ბურდული, სიონის მთავარი მწვრთნელი:**

–ბოლნისის გულშემატკივარს გამარჯვებას ვულოცავ. სასიხარულოა, რომ „დინამოსთან" უკვე მეორე თამაში მოვიგეთ მათსავე მოედანზე. რაც შეეხება თამაშს, ვიცოდით, მეორე ნომრად უნდა და კონტრშეტევებზე გვეთამაშა. ამან შედეგი გამოიღო. ასევე მინდა იმ ჭორებს გამოვეხმაურო, რომელიც ბოლო დროს აქტიურად ვრცელდება სოციალურ ქსელებსა და ჟურნალ-გაზეთებში. ჟურნალისტებს გთხოვთ ერთი პატარა გოგოს ლაპარაკებს და ჭორაობას ნუ ავყვებით. ეს ჭორებია და მტკიცებულების გარეშე ნუ ავყვებით ჭორებს. ეს ქართულ ფეხბურთს ავნებს.

**მალხაზ ჟვანია, დინამოს მთავარი მწვრთნელი:**

– სამწუხაროა, როდესაც გუნდი ერთი მომენტით თმობს თამაშს და ბევრ მომენტს ვერ იყენებს. გუნდი ყოველთვის უნდა იყოს მზად თამაში შემოაბრუნოს, მაგრამ ნერვების დალაგებას უფრო მოვუნდით ვიდრე თამაშს... ასევე მსაჯის საქციელია ცოტა გაუგება, როცა ერთი ფეხბურთელი მუდმივად ურტყავს ფეხბურთელებს და რეაგირებას არ ახდენს.

**გურია – მეტალურგი 1:3**

**ლანჩხუთი. ევგრაფი შევარდნაძე**

0:1 ჩირგაძე (30), 0:2 ჩიმაკაძე (40), 1:2 ისიანი (57), 1:3 გიგაური (67)

**გურია:** გოგუაძე, ჩუენსუ, ქურდაძე, ნ.კილაძე, მეგრელიშვილი, კვირტია, შენგელია (გაგნიძე 69), გაჩეჩილაძე (ტეიდი 46), კუკულაძე (ნიქაბაძე 55,) ისიანი, კვერენჩხილაძე

**მეტალურგი:** ბედიაშვილი (სეფიაშვილი 55), სეთურიძე, მახვილაძე, კილასონია, საჯაია, გიგაური, დობროვოლსკი, ქავთარაძე (ვასაძე 69), მიქაბერიძე, ჩირგაძე (კაკაშვილი 71), ჩიმაკაძე

ლანჩხუთელები ძალიან ცუდ ფორმაში იმყოფებიან და უკვე ზედიზედ მეხუთე შეხვედრაში დამარცხდნენ. ამჯერად მათ „მეტალურგს" უმასპინძლეს და 1:3 დათმეს შეხვედრა.

ანაგარიში 30-ე წუთზე გაიხსნა, გოლის ავტორად რუსთაველთა ახალგაზრდა ნახევარმცველი, გიორგი ჩირგაძე, მოგვევლინა. ამ გოლიდან ზუსტად 10 წუთში ბესიკ ჩიმაკაძე „მეტალურგის" უპირატესობა ორამდე გაზარდა. პირველი ტაიმი ამავე ანგარიშით დასრულდა. მეორე ტაიმის დასაწყისში გურულები გააქტიურდნენ და 57-ე წუთზე „გურიას" ბომბარდირმა, ვილი ისიანმა, სხვაობა შეამცირა. შეხვედრის საბოლოო ანგარიში 67-ე წუთზე დაფიქსირდა, გოლი რუსთაველმა მერაბ გიგაურმა გაიტანა.

ამ გამარჯვებით „მეტალურგი" „ჩიხურას" გათანაბრდა ქულებით და ევროსაგზურის ზონას უფრო მიუახლოვდა.

**ზესტაფონი – ჩიხურა 2:1**

**ზესტაფონი. დავით აბაშიძე**

0:1 წინამძღვრიშვილი (45), 1:1 კაპანაძე (67), 2:1 ჭანტურიშვილი (73)

**ზესტაფონი:** პავლოვიჩი, თ.ღონღაძე, გეწაძე (ჭანკოტაძე 54), რენე ფერეირა, გ.გურული, დოლიძე, შარიქაძე, კუხიანიძე (ჭანტურიშვილი 11), ჭანტურიშვილი, საბანაძე (კაპანაძე 63), ტატანაშვილი

**ჩიხურა:** თევდორაძე, ლ.ჭელიძე, ჯილაური (ე.გრიგალაშვილი 82), გაბედავა, წინამძღვრიშვილი, ლომაშვილი, დათუნაიშვილი, კაშია, ოდიკაძე (ქიმაძე 74), დეკანოიძე, ხმალაძე

დაძაბული და საინტერესო გამოდგა ზესტაფონში გამართული ტურის ცენტრალური დაპირისპირდება. მატჩი ორმხრივი შეტევებით წარიმართა, რეალური მომენტები ორივე გუნდს საკმაოდ ჰქონდა. გოლი პირველი ტაიმის მიწურულს გავიდა, 45-ე წუთზე გიორგი გაბედავამ საჯარიმო შეასრულა და რატი წინამძღვრიშვილმა თავით გადაგზავნა ბურთი მეტოქის კარში.

მეორე ტაიმი ზესტაფონელთა აქტიურობით დაიწყო, ისინი მწვავედ უტევდნენ მეტოქეს და მატჩის 67-ე წუთზე თორნიკე კაპანაძემ ანგარიშის გათანაბრებაც მოახერხა. გოლმა მარგველები კიდევ უფრო გაააქტიურა, 73-ე წუთზე ზესტაფონელთა მრავალსვლიანი კომბინაცია ვახტანგ ჭანტურიშვილმა დაასრულა ზუსტი დარტყმით და საკუთარ გუნდს უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოუტანა.

**სატურნირო ცხრილი**

**1-6 ადგილებისთვის:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო | 26 | 17 | 4 | 5 | 56:19 | 55 |
| 2.ზესტაფონი | 26 | 15 | 4 | 7 | 35:17 | 49 |
| 3.სიონი | 26 | 13 | 6 | 7 | 34:25 | 45 |
| 4.ჩიხურა | 26 | 11 | 6 | 9 | 43:40 | 39 |
| 5.მეტალურგი | 26 | 11 | 6 | 9 | 31:30 | 39 |
| 6.გურია | 26 | 11 | 0 | 15 | 27:38 | 33 |

**მერანი – ზუგდიდი 2:1**

**ქუთაისი. ცენტრალური**

1:0 ბენაშვილი (30), 2:0 გეგეჭკორი (59), 2:1 აფაქიძე (77)

**მერანი:** მამალაძე, მელიავა, იობაშვილი, რაფაელი, გაბუნია, ჯოჯუა, ფონიავა (ჩხეტიანი 70), გეგეჭკორი, ბენაშვილი, ბაბუნაშვილი ( ჯღამაია 56), ციცხვაია ( კუჭუხიძე 64)

**ზუგდიდი:** ქვილითაია, გუგუჩია, სიხარულია, ქათამაძე, კალანდარიშვილი (წიტაიშვლი 46), აფაქიძე, კირკიტაძე, ქებაძე, ლ.სამუშია, ჯავაშვილი, კობერიძე (გ.სამუშია 46)

ძალზე მნიშვნელოვანი გამარჯვება იზეიმა „მერანმა", მათ უშუალო კონკურენტი დაამარცხეს და უმაღლეს ლიგაში დარჩენის შანსები კიდევ შეინარჩუნეს.

პირველი გოლი 30-ე წუთზე გავიდა, მისი ავტორი მარტვილელთა ნახევარმცველი, ალექს ბენაშვილი, გახდა. პირველი ტაიმი ამავე ანგარიშით დასრულდა. მეგრელებმა მეორე გოლის გატანა 59-ე წუთზე მოახერხეს, მის ავტორად „მერანის" ახალგაზრდა მცველი, ლევან გეგეჭკორი მოგვევლინა. საბოლოო ანგარიში 77-ე წუთზე დაფიქსირდა, ნიკოლოზ აფაქიძემ სამუშია კარგი პასით ისარგებლა და პრესტიჟის გოლიც გაიტანა.

**დილა – სპარტაკი 1:3**

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

1:0 რაზმაძე (18პ), 1:1 მეტრეველი (47), 1:2 კაკუბავა (51), 1:3 შონია (57)

**დილა:** ლეგაშვილი, კვახაძე, ქარქუზაშვილი, ჯიშკარიანი, ორბელაძე, რაჟამაშვილი, რაზმაძე, შალამბერიძე (ქვილითაია 57), ბოლქვაძე (გურეშიძე 80), ხოჯავა (კოშკაძე 46), ბერიაშვილი

**სპარტაკი:** ნადირაძე, იოსელიანი, შონია (ბურძენაძე 86), პარუნაშვილი, ჭაფოძე, კაკუბავა, თექთურმანიძე (მაისაშვილი 90), ცერცვაძე, თუხარელი, მეტრეველი (ეხვაია 84), მგელაძე

მოულოდნელი შედეგით დასრულდა გორში გამართული შეხვედრა, „სპარტაკმა"მოახერხა და სტუმრადძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა. პირველი ტაიმი გორელთა სრული უპირატესობით წარიმართა, მათ ანგარიშის გახსნა მალევე მოახერხეს, 18-ე წუთზე ლუკა რაზმაძემ პენალტიდან დააწინაურა საკუთარი გუნდი. ამის შემდეგ „დილას" კიდევ ჰქონდა რამდენიმე მომენტი, მაგრამ პირველი ტაიმი ამ ანგარიშით დასრულდა.

მეორე ტაიმი ცხინვალელთა აქტიურობით დაიწყო და კახა კაჭარავას შეგირდებმა 10-წუთიან მონაკვეთში გადაწყვიტეს შეხვედრის ბედი. თავდაპირველად, 47-ე წუთზე ზვიად მეტრეველმა ანგარიში გაათანაბრა, ამ მომენტიდან ზუსტად 4 წუთში ლევან კაკუბავამ ყველას დაასწრო და ხარიხიდან ასხლეტილი ბურთი თავით გადაგზავნა გორელთა კარში. საბოლოო ანგარიში „სპარტაკის" კაპიტანმა, თემურ შონიამ, 59-ე წუთზე დააფიქსირა და როგორც უკვე მოგახსენეთ, ცხინვალელებს უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოუტანა.

**ვიტ ჯორჯია – ტორპედო 1:1**

**მცხეთა. მცხეთა პარკი**

1:0 კვირკვია (36), 1:1 ლექვთაძე (59)

**ვიტ ჯორჯია:** შეროზია, საბაძე, გეთიაშვილი, კალანდია, გიორგი მჭედლიშვილი, ღიბრაძე (წყაროზია 67), დავლაშელიძე, მაისურაძე, სიჭინავა (ხვისტანი 87), კორიფაძე, კვირკვია (კურდღელაშვილი 75)

**ტორპედო:** რ.კვასხვაძე, გელაშვილი (ბერუაშვილი 43), სავჩენკოვსი, ადამაძე, ჩიკვილაძე, მამასახლისი, ხარაბაძე (დ.ხურციძე, 59), ჩადუნელი, მარკოზაშვილი, მ.ღონღაძე, კვერნაძე

ფრედ დასრულდა მცხეთაში გამართული თბილისურ-ქუთაისური დაპირისპირება და ორივე გუნდმა სატურნირო ცხრილში საკუთარი ადგილი შეინარჩუნა.

ანგარიში 36-ე წუთზე ვეტერინართა ახალგაზრდა შემტევმა, მათე კვირკვიამ გახსნა, მან დასწრებაზე ზუსტად ითამაშა და ასე მოახერხა მეტოქის კარის დალაშქვრა. მატჩის მეორე გოლი 59-ე წუთზე ქუთათურთა ახალწვეულმა, ირაკლი ლექვთაძემ, გაიტანა. ეს მისი სადებიუტო გოლია ახალ გუნდში.

**სატურნირო ცხრილი**

**7-12 ადგილებისთვის:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 7.ვიტ ჯორჯია | 26 | 10 | 6 | 10 | 33:33 | 36 |
| 8.დილა | 26 | 9 | 8 | 9 | 35:29 | 35 |
| 9.ტორპედო | 26 | 9 | 6 | 11 | 26:37 | 33 |
| 10.სპარტაკი | 26 | 8 | 4 | 14 | 25:34 | 28 |
| 11.ზუგდიდი | 26 | 6 | 6 | 14 | 16:35 | 24 |
| 12.მერანი | 26 | 6 | 4 | 16 | 20:44 | 22 |

## სამინისტროსა და ოლიმპიური კომიტეტის მემორანდუმი

სამინისტროში, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ხელი მოაწერეს მინისტრმა ლევან ყიფიანმა და ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა.

მემორანდუმის გაფორმების შემდეგ ჟურნალისტების შეკითხვებს მინისტრთან და ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტთან ერთად მინისტრის მოადგილემ თამაზ თევზაძემ და ოლიმპიური კომიტეტის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა უპასუხეს.

მემორანდუმის მიზანია საქართველოში ოლიმპიური მოძრაობისა და ოლიმპიური სახეობების შემდგომი განვითარება, მოსახლეობის ფართო ფენებში მათი პოპულარიზაცია, ბავშვებსა და ახალგაზრდებს შორის აღნიშნული სახეობებით დაინტერესების ამაღლება, „სოჭი-2014"-ის ზამთრის ოლიმპიური თამაშებისა და „ნანჯინგის-2014"-ის (ჩინეთი) ზაფხულის მე-2 ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშებისათვის სათანადოდ მომზადება.

ასევე, საორგანიზაციო საკითხების მოგვარებისა და ქართველი სპორტსმენების წარმატებული გამოსვლისათვის ხელშეწყობა, პირველი ევროპული თამაშების – „ბაქო-2015"-ის სალიცენზიო ტურნირებისათვის მომზადება და მონაწილეობა, „ავსტრია-ლიხტენშტეინი-2015" ზამთრისა და „თბილისი-2015"-ის ზაფხულის ოლიმპიური ფესტივალებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების მომზადება.

# შედეგები

## ფეხბურთი

**ინგლისი. თასი**

უიგანი-არსენალი ................ 0:0(2:4პ)

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ვესტ ბრომვიჩი-ტოტენჰემი .......... 3:3

კრ.პალასი-ასტონ ვილა ............... 1:0

სანდერლენდი-ევერტონი ............. 0:1

საუთჰემტონი-კარდიფი ............... 0:1

სტოკი-ნიუკასლი ......................... 1:0

ფულემი-ნორვიჩი ......................... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 33 | 23 | 5 | 5 | 90-40 | 74 |
| 2.ჩელსი | 33 | 22 | 6 | 5 | 65-24 | 72 |
| 3.სიტი | 31 | 22 | 4 | 5 | 84-29 | 70 |
| 4.ევერტონი | 33 | 19 | 9 | 5 | 53-31 | 66 |
| 5.არსენალი | 33 | 19 | 7 | 7 | 56-40 | 64 |
| 6.ტოტენჰემი | 34 | 18 | 6 | 10 | 48-48 | 60 |
| 7.მანჩესტერი | 33 | 17 | 6 | 10 | 56-38 | 57 |
| 8.საუთჰემპტონი | 34 | 13 | 9 | 12 | 50-45 | 48 |
| 9.ნიუკასლი | 34 | 14 | 4 | 16 | 38-52 | 46 |
| 10.სტოკი | 34 | 11 | 10 | 13 | 38-48 | 43 |
| 11.ვესტ ჰემი | 33 | 10 | 7 | 16 | 37-44 | 37 |
| 12.კრ.პალასი | 33 | 11 | 4 | 18 | 24-39 | 37 |
| 13.ჰალი | 33 | 10 | 6 | 17 | 34-40 | 36 |
| 14.ასტონ ვილა | 33 | 9 | 7 | 17 | 35-49 | 34 |
| 15.სუონსი | 33 | 8 | 9 | 16 | 45-49 | 33 |
| 16.ვესტ ბრომვიჩი | 33 | 6 | 15 | 12 | 40-51 | 33 |
| 17.ნორვიჩი | 34 | 8 | 8 | 18 | 26-53 | 32 |
| 18.ფულემი | 34 | 9 | 3 | 22 | 34-74 | 30 |
| 19.კარდიფი | 34 | 7 | 8 | 19 | 30-64 | 29 |
| 20.სანდერლენდი | 32 | 6 | 7 | 19 | 29-54 | 25 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ქპრ-ნოტინგემი ............................ 5:2

ბარნლი-მიდლსბრო ...................... 0:1

ბოლტონი-ბარნსლი ....................... 1:0

ბრაიტონი-ჩარლტონი ................... 3:0

დერბი-ჰადერსფილდი ................... 3:1

იფსვიჩი-დონკასტერი ................... 2:1

იოვილი-ბორმნუთი ....................... 1:1

ლიდსი-ბლექპული ........................ 2:0

მილუოლი-უოტფორდი .................. 2:2

უენსდი-ბლექბერნი ....................... 3:3

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

სელტა-სოსიედადი ....................... 2:2

ვილიარეალი-ლევანტე ................. 1:0

გრანადა-ბარსელონა ..................... 1:0

რეალი-ალმერია ........................... 4:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ატლეტიკო | 32 | 25 | 4 | 3 | 70-22 | 79 |
| 2.რეალი | 33 | 25 | 4 | 4 | 94-32 | 79 |
| 3.ბარსელონა | 33 | 25 | 3 | 5 | 92-27 | 78 |
| 4.ბილბაო | 32 | 17 | 8 | 7 | 55-35 | 59 |
| 5.სევილია | 33 | 16 | 8 | 9 | 61-47 | 56 |
| 6.ვილიარეალი | 33 | 15 | 7 | 11 | 52-38 | 52 |
| 7.სოსიედადი | 33 | 14 | 9 | 10 | 56-50 | 51 |
| 8.ვალენსია | 32 | 11 | 8 | 13 | 44-45 | 41 |
| 9.ლევანტე | 33 | 10 | 10 | 13 | 30-41 | 40 |
| 10.ესპანიოლი | 32 | 11 | 7 | 14 | 35-40 | 40 |
| 11.მალაგა | 32 | 10 | 8 | 14 | 35-40 | 38 |
| 12.სელტა | 33 | 10 | 7 | 16 | 36-49 | 37 |
| 13.გრანადა | 33 | 11 | 4 | 18 | 30-46 | 37 |
| 14.რაიო | 32 | 11 | 3 | 18 | 37-68 | 36 |
| 15.ელჩე | 32 | 8 | 11 | 13 | 26-42 | 35 |
| 16.ოსასუნა | 33 | 9 | 7 | 17 | 28-53 | 34 |
| 17.ვალიადოლიდი | 33 | 6 | 14 | 13 | 32-50 | 32 |
| 18.ხეტაფე | 32 | 8 | 7 | 17 | 29-49 | 31 |
| 19.ალმერია | 33 | 8 | 6 | 19 | 34-64 | 30 |
| 20.ბეტისი | 33 | 5 | 7 | 21 | 28-66 | 22 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ხირონა-მირანდესი ........................ 4:0

ნუმანსია-სარაგოსა ....................... 2:2

ლას პალმასი-ერკულესი ............... 2:1

საბადელი-ხიხონი ......................... 2:0

**იტალია. სერია ა**

სასუოლო-კალიარი ....................... 1:1

რომა-ატალანტა ........................... 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 32 | 27 | 3 | 2 | 69-22 | 84 |
| 2.რომა | 33 | 24 | 7 | 2 | 68-19 | 79 |
| 3.ნაპოლი | 32 | 19 | 7 | 6 | 59-33 | 64 |
| 4.ფიორენტინა | 32 | 16 | 7 | 9 | 51-34 | 55 |
| 5.პარმა | 33 | 13 | 12 | 8 | 53-42 | 51 |
| 6.ინტერი | 32 | 12 | 14 | 6 | 51-35 | 50 |
| 7.ლაციო | 32 | 13 | 9 | 10 | 42-40 | 48 |
| 8.ვერონა | 32 | 14 | 4 | 14 | 47-52 | 46 |
| 9.ატალანტა | 33 | 14 | 4 | 15 | 38-44 | 46 |
| 10.ტორინო | 32 | 12 | 9 | 11 | 47-41 | 45 |
| 11.მილანი | 32 | 12 | 9 | 11 | 49-44 | 45 |
| 12.სამპდორია | 32 | 11 | 8 | 13 | 40-45 | 41 |
| 13.ჯენოა | 32 | 10 | 9 | 13 | 35-41 | 39 |
| 14.უდინეზე | 32 | 11 | 5 | 16 | 35-44 | 38 |
| 15.კალიარი | 33 | 7 | 12 | 14 | 31-45 | 33 |
| 16.ბოლონია | 33 | 5 | 13 | 15 | 27-51 | 28 |
| 17.კიევო | 32 | 7 | 6 | 19 | 26-47 | 27 |
| 18.ლივორნო | 32 | 6 | 7 | 19 | 34-60 | 25 |
| 19.სასუოლო | 33 | 6 | 7 | 20 | 32-62 | 25 |
| 20.კატანია | 32 | 4 | 8 | 20 | 24-57 | 20 |

**იტალია. სერია ბ**

აველინო-ბრეშა ............................ 0:1

ვარეზე-ბარი ............................... 0:1

კროტონე-კარპი ........................... 0:0

ლატინა-ნოვარა ............................ 4:1

მოდენა-იუვე სტაბია ..................... 4:2

პესკარა-ჩიტადელა ........................ 1:1

სიენა-ლანჩანო ............................. 1:0

ტრაპანი-პალერმო ......................... 0:1

ემპოლი-ტერნანა ........................... 1:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

გლადბახი-შტუტგარტი .................. 1:1

ვოლფსბურგი-ნიურნებრგი ........... 4:1

ჰანოვერი-ჰამბურგი ...................... 2:1

მაინცი-ვერდერი ........................... 3:0

ფრაიბურგი-ბრაუნშვაიგი ............ 2:0

ბაიერნი-დორტმუნდი .................... 0:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 30 | 25 | 3 | 2 | 82-20 | 78 |
| 2.დორტმუნდი | 30 | 19 | 4 | 7 | 67-32 | 61 |
| 3.შალკე | 30 | 17 | 7 | 6 | 56-38 | 58 |
| 4.ვოლფსბურგი | 30 | 15 | 5 | 10 | 53-45 | 50 |
| 5.გლადბახი | 30 | 14 | 7 | 9 | 52-35 | 49 |
| 6.ლევერკუზენი | 29 | 15 | 3 | 11 | 48-36 | 48 |
| 7.მაინცი | 30 | 14 | 5 | 11 | 44-45 | 47 |
| 8.აუგსბურგი | 29 | 12 | 6 | 11 | 41-43 | 42 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 29 | 9 | 10 | 10 | 64-63 | 37 |
| 10.ჰერტა | 29 | 10 | 7 | 12 | 37-40 | 37 |
| 11.აინტრახტი | 30 | 9 | 8 | 13 | 37-50 | 35 |
| 12.ვერდერი | 30 | 8 | 9 | 13 | 34-58 | 33 |
| 13.ჰანოვერი | 30 | 9 | 5 | 16 | 38-55 | 32 |
| 14.ფრაიბურგი | 30 | 8 | 8 | 14 | 35-52 | 32 |
| 15.შტუტგარტი | 30 | 7 | 7 | 16 | 45-58 | 28 |
| 16.ჰამბურგი | 30 | 7 | 6 | 17 | 46-62 | 27 |
| 17.ნიურნბერგი | 30 | 5 | 11 | 14 | 35-58 | 26 |
| 18.ბრაუნშვაიგი | 30 | 6 | 7 | 17 | 28-52 | 25 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

არმინია-კარლსრუე ....................... 0:0

ფიურტი-აუე ................................. 2:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ლილი-ვალანსიენი ........................ 1:0

აიაჩო-ბორდო ............................... 1:1

ნიცა-ლორიანი .............................. 1:2

რენი-მონაკო ................................. 0:1

სოშო-ტულუზა ............................. 2:0

ევიანი-ბასტია ................................ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 32 | 24 | 7 | 1 | 74-18 | 79 |
| 2.მონაკო | 33 | 20 | 9 | 4 | 54-27 | 69 |
| 3.ლილი | 33 | 18 | 9 | 6 | 38-20 | 63 |
| 4.სტ.ეტიენი | 32 | 16 | 7 | 9 | 44-29 | 55 |
| 5.ლიონი | 32 | 14 | 9 | 9 | 48-38 | 51 |
| 6.მარსელი | 33 | 14 | 9 | 10 | 46-36 | 51 |
| 7.ბორდო | 33 | 11 | 12 | 10 | 40-38 | 45 |
| 8.რეიმსი | 32 | 11 | 11 | 10 | 39-43 | 44 |
| 9.ტულუზა | 33 | 11 | 11 | 11 | 41-47 | 44 |
| 10.ლორიანი | 33 | 11 | 8 | 14 | 40-44 | 41 |
| 11.ბასტია | 33 | 11 | 8 | 14 | 36-50 | 41 |
| 12.ნიცა | 33 | 11 | 6 | 16 | 29-38 | 39 |
| 13.რენი | 33 | 9 | 11 | 13 | 40-40 | 38 |
| 14.მონპელიე | 33 | 7 | 17 | 9 | 39-40 | 38 |
| 15.ევიანი | 33 | 9 | 11 | 13 | 33-47 | 38 |
| 16.ნანტი | 32 | 10 | 7 | 15 | 28-36 | 37 |
| 17.გენგამი | 32 | 9 | 8 | 15 | 29-34 | 35 |
| 18.სოშო | 33 | 7 | 9 | 17 | 31-56 | 30 |
| 19.ვალანსიენი | 33 | 7 | 8 | 18 | 33-52 | 29 |
| 20.აიაჩო | 33 | 3 | 11 | 19 | 32-61 | 20 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ლანსი-ნიორი ............................... 2:0

**ჰოლანდია. ეპედივიზიონი**

იგლზი-ჰერენვენი ......................... 0:2

კამბური-ვიტესი ............................ 4:3

ტვენტე-როდა ................................ 3:0

**პორტუგალია. ა ლიგა**

ნასიონალი-მარიტიმუ ................... 2:0

ბელენენსეში-ვიტორია ................. 3:1

რიუ ავე-ოლჰანენსე ...................... 1:2

სპორტინგი-ჟილ ვისენტე ............. 2:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ტომი-ამკარი ................................. 0:0

ცსკა-ურალი .................................. 1:0

ტერეკი-როსტოვი ......................... 3:0

ზენიტი-კრასნოდარი .................... 4:1

ლოკომოტივი-ანჟი ........................ 0:0

**შოტლანდია. თასი**

რეინჯერსი-დ.იუნაიტედი ............. 1:3

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლოზანა-გრასჰოპერსი .................. 0:2

თუნი-არაუ .................................... 2:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ზალცბურგი-შტურმი ..................... 1:2

ვოლფსბურგი-გროდიგი ............... 1:2

რაპიდი-ადმირა ............................. 0:0

რიდი-ინსბრუკი ............................. 1:2

**ბელგია. პროლიგა**

**პლეი ოფი ჩემპიონთა ლიგისთვის**

ვარეგემი-ბრიუგე .......................... 2:1

**პლეი ოფი ევროპის ლიგისთვის**

გენტი-ბევერენი ............................ 2:1

კორტრაიკი-მეხელენი .................. 4:1

ოსტენდე-ლიერსი ......................... 2:0

სერკლი-შარლერუა ...................... 2:4

**პლეი აუტი**

ლეუვენი-მონსი ............................ 2:0

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

სპარტა-სლავია ............................. 3:0

პრჟიბრჟამი-სლოვანი ................... 3:1

ბანიკი-სლოვაცკო ......................... 0:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ვისლა-პოდბეკიჟიე ....................... 0:1

გურნიკი-ლეხი .............................. 0:3

ზავიშა-რუხი ................................. 0:3

ზაგლებიე-ლეგია .......................... 1:3

კორონა-კრაკოვია ......................... 1:0

პოგონი-ვძევი ............................... 1:0

შლიონსკი-ლეჩნა .......................... 1:0

იაგელონია-პიასტი ....................... 1:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ვორსკლა-შახტარი ....................... 1:0

ზორია-ჩერნომორეცი .................. 1:0

კარპატი-დინამო ........................... 2:2

დნიპრო-მეტალურგი(ზ) ............... 1:0

**დანია. სუპერლიგა**

მიდტიულანდი-ოდენსე ............... 0:2

**შვედეთი. ალსვენსკა**

მალმიო-გეფლე ............................. 1:0

ატვიდაბერგი-ფალკენბერგი ........ 2:0

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ლილესტრიომი-ვიკინგი ............... 0:1

ჰაუგესუნდი-ვალერენგა ............... 1:1

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

როვანიემი-სიკი ............................ 1:1

ტპს-ჰონკა .................................... 0:1

ჰიკი-კუუპიო ................................ 3:1

**აშშ. მლს**

მონრეალი-ჩიკაგო ........................ 1:1

ფილადელფია-სოლტ ლეიკი ........ 2:2

ტორონტო-კოლორადო ................ 0:1

ნიუ ინგლენდი-ჰიუსტონი ............ 2:0

დს იუნაიტედი-ნიუ იორკი ............ 1:0

დალასი-სიეტლი ........................... 2:3

ლოს ანჯელესი-ვანკუვერი .......... 1:0

პორტლენდი-ჩივასი ..................... 1:1

**არგენტინა. პრიმერა დივიზიონი**

არხენტინოსი-ველეჟი .................. 2:1

რასინგი-ოლიმპო ......................... 1:1

სან ლორენცო-ლანუსი ................ 1:4

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 599-160-774. ქალბატონი ფიქრია

# სამებაში საბავშვო წიგნის ფესტივალი გაიმართება

ეკა ირემაშვილი

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში, რომელიც სამების ტაძარში მდებარეობს, 4 მაისს გაიმართება საბავშვო წიგნის მესამე ფესტივალი. სამებაში გამოიფინება და გაიყიდება სხვადასხვა გამომცემლობის საბავშვო-საყმაწვილო წიგნები.

ფესტივალის ფარგლებში გაიმართება კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ქართული ფოლკლორული ანსამბლები. დაჯილდოვდებიან ფესტივალში გამარჯვებული გამომცემლობები და ავტორები სხვადასხვა ნომინაციებში: საუკეთესო საბავშვო პოეზიის კრებული; საუკეთესო ზღაპრების კრებული; საუკეთესო საბავშვო მოთხრობების კრებული; საუკეთესო საბავშვო გამომცემლობა; კლასიკოსები საბავშვო ლიტერატურაში; საუკეთესო საკითხავი ბავშვებისათვის; საუკეთესო შემეცნებითი წიგნი ბავშვებისათვის; საუკეთესო შემეცნებითი წიგნი მოზარდთათვის.

საბავშვო წიგნის ფესტივალი წელს მესამედ გაიმართება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით.

ამავე ცენტრში ქართველი ემიგრანტების წიგნის „ჩვენ საქართველო გავაძლიერეთ“ წარდგინება მოეწყო. წიგნი გამოიცა საბერძნეთის ქართული დიასპორის გაზეთ „ელადას“ მიერ. მთავარი რედაქტორი ანა ყურშავიშვილია, რედაქტორი – თამარ-ლეილა სოლოღაშვილ-სეფაშვილი. წიგნში გადმოცემულია ემიგრანტების შემოქმედება და მათი ტკივილიანი მოგონებები. ღონისძიებას ესწრებოდნენ დიასპორის წარმომადგენლები და საზოგადო მოღვაწეები. საღამო მუსიკალურად გააფორმეს თამარ ალადაშვილმა, ანსამბლებმა „თორდა“ და „სნო“, მარიამ ელიეშვილმა, მარინე კოლხიდაშვილმა, ანა მალაზონიამ. ახალ გამოცემული წიგნის შესახებ კი ისაუბრეს თამარ-ლეილა სოლოღაშვილ-სეფაშვილმა, ერეკლე საღლიანმა, გიული ჩქარეულმა, მარინა ხარხელაურმა, მანანა დანგაძემ.

– ეს საღამო მიეძღვნა 1989 წლის 9 აპრილის მოვლენებს და ემიგრაციაში გარდაცვლილი ქართველი მამულიშვილის პეტრე ხვედელიძის ხსოვნას. ღონისძიების ბოლოს, 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნისთვის პატივის მისაგებად, უსინათლო მომღერალმა ლელა ვეფხვაძემ 9 აპრილის მონაწილემ შეასრულა ცნობილი ქართული სიმღერა „დაუკარით“. ღონისძიება გაიმართა საქართველოს ქალთა საბჭოს, ემიგრანტი თამარ-ლეილა სოლოღაშვილ-სეფაშვილის, საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრისა და ლიტერატურული საზოგადოება „ვერკვლისციხელის“ ორგანიზებით, – განაცხადა ცენტრის წარმომადგენელმა ნათია გოგუაძემ.

მისივე ინფორმაციით, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში ნინო მოდრეკილაძემ თავისი პირველი პირველი პოეტური კრებულის „სულის ქარვების“ წარდგინება მოაწყო. საღამოს უძღვებოდა პოეტი და საზოგადო მოღვაწე ერეკლე საღლიანი.

– პოეტის შემოქმედებისა და წიგნის შესახებ ისაუბრეს დეკანოზმა თავმას ჩოხელმა, გიული ჩქარეულმა, ტრისტან მახაურმა, ქეთი კანდელაკმა, ნათია სუხაშვილმა, ლია მენაბდიშვილმა, ვახტანგ გაჩეჩილაძემ. პოეტმა ლექსები წაიკითხა თავისი ახალი წიგნიდან. ამ ღონისძიებას ესწრებოდნენ პოეტები, პედაგოგები, ლიტერატურათმცოდნეები. ღონისძიება მუსიკალურად გააფორმა დებმა ზვიადაურებმა. მათ შეასრულეს, თავად, ნინო მოდრეკილაძის ლექსზე შექმნილი სიმღერა. პოეტის პირველი წიგნი „სულის ქარვები“ დაიბეჭდა გამომცემლობა „კალმოსანში“. მისი რედაქტორი გიული ჩქარეულია, მხატვარი კი ბესიკ დულაშვილი. ავტორმა კრებული მეგობრის ნინო ფალიანის ხსოვნას მიუძღვნა. – განაცხადა ცენტრის წარმომადგენელმა.

ამავე ცენტრში შედგა თინათინ მღვდლიაშვილის პოეზიის საღამო „შინ-



დისფერი პოეზია – ჩემი მგზნებარე ავტოგრაფი დედამიწაზე“. საღამო მიეძღვნა წმინდა გაბრიელ ალმსარებლისა და სალოსის მცხეთის ფერისცვალების ტაძარში დიდებით შებრძანებას და ვაშინგტონში გარდაცვლილი ქართველი მამულიშვილის ბატონი პეტრე ხვედელიძის ხსოვნას. პოეტმა საკუთარი შემოქმედებიდან წაიკითხა ლექსები. ისაუბრა წმინდა გაბრიელ აღმსარებლისა და ვაშინგტონში გარდაცვლილი ქართველი მამულიშვილის ბატონი პეტრე ხვედელიძის შესახებ. ღონისძიებას უძღვებოდა საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის საორგანიზაციო ჯგუფის ხელმძღვანელი გიორგი ფარეშიშვილი. თინათინ მღვდლიაშვილის შემოქმედებითი ცხოვრების შესახებ ისაუბრეს ლევან ჟვანიამ, არჩილ აბესაძემ, მთვარისა კერესელიძემ, ნანა დარჩიაშვილმა, სოფიკო ჯერვალიძემ, ვანო ჯაფარიძემ, პანკისის ხეობიდან სტუმარმა მექა ხანგოშვილმა. პოეტის ლექსები წაიკითხეს თორნიკე თოდრიამ, ლუკა ბურდულმა, მარიამ მურღვლიანმა. საგალობლები კი შეასრულეს ბოლნისის, იოანე ბოლნელის სახელობის გიმნაზიის მოსწავლეებმა.

ცენტრის დარბაზში გაიმართა პოეტ შერმადინ ქალდანის ხსოვნის საღამო. ღონისძიებას უძღვებოდა მწერალი და საზოგადო მოღვაწე ერეკლე საღლიანი. სიტყვით გამოვიდნენ და შერმადინ ქალდანის პოეზიაზე ისაუბრეს ცნობილმა მწერლებმა, ლიტერატორებმა, კრიტიკოსებმა, პოეტებმა თემურ ქორიძემ, თემურ შავლაძემ, ივანე ამირხანაშვილმა, მზია ხეთაგურმა, მაყვალა გონაშვილმა და ვანო ჯაფარიძემ. სამების ცენტრში ლიტერატურული საზოგადოება „ვერკვლისციხელის“ ორგანიზებით ჩატარდა სევარიონ (სოსო) ნადირაძის პოეზიის საღამო. ასევე ახალგაზრდა პოეტის, ვაჟა მალაციძის შემოქმედებითი საღამოც, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს პოეტებმა და ფოლკლორულმა ანსამბლებმა. პოეტ ბადრი სულაძის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით, რაჭის განვითარებისა და გადარჩენის კავშირის ორგანიზებით ჩატარდა მისი წიგნის „რაჭა, შენ რომ არ მყავდე“ წარდგინება, რომელშიც ჩაერთნენ ზაზა ნეფარიძე, გურამ გორდეზიანი, გივი ჩილვინაძე, ოთარ კერვალიშვილი. ასევე, საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის ანსამბლები „ლაზარე“ და „იავნანა“.

ცენტრის დარბაზში მოეწყო საზოგადოება „მომლოცველი პილიგრიმის“ გეგმების წარდგინება. შეხვედრაზე წარდგენილ იქნა გასული პერიოდის შედეგები და მომავალი გეგმები. აქვე გაიმართა საღამო, რომლის მიზანია აღადგინოს საქართველოსა და ჰერეთში მცხოვრებ ქართველებს შორის კულტურული ურთიერთობა. მასში მონაწილეობა მიიღეს ფანდურამ, ანა მალაზონიამ, ქეთი წიკლაურმა, დებმა წიკლაურებმა, დებმა ზვიადაურებმა, ნიკოლოზ ოთანაძემ, „დავითიანთან“ არსებული ლიტერატურული კლუბის „დალკის“ წარმომადგენლებმა, მინდია ქიტიაშვილმა, თორნიკე თოდრიამ. ღონისძიების ორგანიზატორობა არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალმა სულისკვეთებამ“ ითავა.

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში ასევე გაიმართა შემაჯამებელი შეხვედრა მცირე და საშუალო ბიზნესის დაწყებისა და განვითარების საკითხით დაინტერესებულ პირთათვის თემაზე „სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავების ხელშეწყობა და ახალი გამოწვევები“.

– საქართველოში მოღვაწე ფერმერები დამსწრე საზოგადოებას უზიარებდნენ საკუთარ გამოცდილებას და ლექცია-სემინარებს წარმართავდნენ სხვადასხვა თემასთან დაკავშირებით 3 თვის მანძილზე. შეხვედრები ტარდებოდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით და კომპანია „მეღვინეობა-ხარებას“ ხელშეწყობით, – განმარტავს ცენტრის წარმომადგენელი.

როგორც ნათია გოგუაძე აცხადებს, საკმაოდ ხშირად ცენტრში იმართება საქველმოქმედო ღონისძიებები სხვადასხვა ადამიანების დასახმარებლად.

– ამ ცენტრში წლის განმავლობაში ჩატარდა საქველმოქმედო საღამოები მაიკო ხარაზიშვილის, ელისო გელენიძის, ნანიკო ხაჩიურის და სხვა მძიმე სენით დაავადებული თანამემამულეების დასახმარებლად. მწვავე ლეიკემიის დიაგნოზით დაავადებული ელისო გელენიძის დასახმარებლად საღამო საინიციატივო ჯგუფმა „ერთად ვაკეთოთ სიკეთემ“ წარადგინა. ამ ჯგუფის მიზანია გაჭირვებული ადამიანების დახმარება საქველმოქმედო ღონისძიებების მეშვეობით, ასევე ახალგაზრდებში მოტივაციის ამაღლება ამ კუთხით. საღამოს უძღვებოდა საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი ანა მაჩიტაძე. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ მარიამ გიორგაძე, თამარ ბიწაძე, ანი ჯალალი, ელენე ბატურიშვილი, ნინო გოგლაძე, მარიამ ბიჩინაშვილი, თამარ ბიჩინაშვილი, თათია მგელაძე, თაზო ჭუმბაშვილი, დაჩი ესაკია, ანრი ქარჩავა, სანდრო კობახიძე, ნინო სუხიაშვილი, კესარია უდუმაშვილი. ასევე ქეთევან წიკლაური, ქეთევან ვარდიაშვილი, კოტე გელაშვილი, თამთა ბიწაძე, მაგდა ბეჟანიშვილი, ანა მალაზონია, ანა ფოცხვერია, დები წიკლაურები, ოთარ ჯახველაძე, შორენა ცისკარაული, ანა ჭინჭარაული, კესარია უდუმაშვილი, დიტო ლავერაშვილი, გეგა ქათამაძე, ნიკოლოზ გიორგაძე, ანსამბლი „იბერიონი“, გიორგი ჯმუხაძე, მინდია ქიტიაშვილი, ანრი ქარჩავა, დაჩი ესაკია, ქეთევან ძამაშვილი, თაზო ჭუმბაშვილი, სანდრო კობახიძე, გიორგი გოგოლაური, მარიამ ელიეშვილი, ნინო ქავთარაძე, ნინო გოგლაძე, ანა სალთხუციშვილი. 37 წლის ელისო გელენიძე 3 ვაჟის დედაა. მას გამოკვლევების შედეგად თურქეთში დაუდგინეს მწვავე ლიმფობლასტური ლეიკემია, რომლის განკურნების ერთადერთი გზაც ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციაა, რისთვისაც საჭიროა 180.000 დოლარი. 19 წლის ნანიკო ხაჩიურსაც ესაჭიროება სასწრაფო ოპერაცია. მისი დიაგნოზიც „მწვავე ლეიკემიაა“. მის დასახმარებლად გამართულ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ანა ჭუნაშვილი, მარიამ ეუაშვილი, ლაგუშედა, ნონა ლიქოკელი, მარიამ ტალახაძე, ქეთა წიკლაური, თამუნა ლომია, მირენა ცისკარაული, თინათინ ჭინჭარაული, დები წიკლაურები, ანა მალაზონია, აჩი ყაულაშვილი ანი ფოცხვერია, ბექა ბუჯიაშვილი, ელენე ბათურიშვილი, ვალერი ქასოელი, ნატა მძლეური და ნინი სუხიშვილი, დავით მაისურაძე, ლაშარი, მარიამ გოგიშვილი, თემო არაბული. ლეიკემიით დაავადებულმა ბავშვებმა, რომელთა ასაკი 5-დან 16 წლამდეა საგამოფენო ცენტრში გამოფენა მოაწყვეს სახელწოდებით „მემსურს“, სადაც 10 ბავშვის 21 ფერწერული ნამუშევარი გამოიფინა. ექსპოზიციის ორგანიზატორობა მხატვარმა ვახუშტი რომელაშვილმა ითავა. ჩვენს ცენტრში ასევე საკმაოდ ხშირად ტარდება გამოფენებიც. ჩვენი საგამოფენო სივრცე დაეთმო რუსთავის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვას. მასში მონაწილეობდნენ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ცენტრი“, „კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ“, დათა ფიფია, დათო შიოშვილი, ნუკა ჩივაძე, კახაბერ ცერცვაძე, ნატალი ლიპარტელიანი, მანანა ჩიკვილაძე, ქეთი გეფერიძე, დავით ინასარიძე. საღამოს ორგანიზატორობა თათია გოგილაშვილმა ითავა. თავისი ნამუშევრები გამოფინა ჩვენს ცენტრში არტ-სტუდია „ემპათიის“ წარმომადგენელმა ვახტანგ შკრიაბაიმ, რომელიც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის აღსაყდრების 36 წელს მიეძღვნა. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნა 60-მდე ხელნაკეთი თიხის ნამუშევარი. პატრიარქის აღსაყდრებას და მის 80 წლის იუბილეს მიეძღვნა მოსწავლეთა გამოფენა სახელწოდებით „ქართველნო, ერთად ღვთისაკენ“, სადაც მოსწავლეებმა წაიკითხეს ამონარიდები წმინდანთა ცხოვრებიდან და პატრიარქის ქადაგებებიდან. გამოფენა მოაწყვეს ჩვენი ცენტრის საგამოფენო სივრცეში დიდი დიღმის, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის წინამძღვარმა დეკანოზმა მერაბ დეკანოიძემ და მისმა მეუღლემ მაია ჯანვერდაშვილმა, სადაც 60 ფერწერული ნამუშევარი გამოიფინა. გამოფენის ორგანიზატორობა პოეტმა გიორგი ბუნდოვანმა ითავა. ასევე ჩატარდა საქველმოქმედო პოეზიის საღამო ფუძნარის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის აღსადგენად. ეს ეკლესია XIII საუკუნის პირველ ნახევარში აგებული კულტურული ძეგლია და დუშეთის რეგიონში ჩვენამდე მოღწეულ ერთადერთ გუმბათოვან ტაძარს წარმოადგენს. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ვალერი ქოსოევი, ნინო ჭიკაიძე, გურამ თათულაშვილი, თორნიკე ქადაგიშვილი, სოფიო ალადაშვილი, გვანცა ბერაძე, თამარ ფეიქრიშვილი, კესარია უდუმაშვილი, ანა სალთხუციშვილი, გიორგი ხაზარიშვილი, თორნიკე თანიაშვილი, ლაშა ქვარცხავა, გოდერძი აბულაშვილი, მარიამ მაშანეიშვილი, გვანცა ბერაძე. საღამოდან შემოსული თანხა მოხმარდა ეკლესიის რესტავრაციასა და აღდგენას. ასევე ნაჩვენები იქნა დოკუმენტური ფილმი „ბოლნისის ეპარქია“, რომელიც მოიცავს ბოლნელი მთავარეპისკოპოსის ეფრემის ინტერვიუს. მეუფე საუბრობს ეპარქიაში არსებულ მდგომარეობაზე. როგორც ეკლესია-მონატრების, ისე ბერ -მონაზვნებისა და მომლოცველობის კუთხით. ამ შეხვედრას ესწრებოდნენ მანგლისისა და თეთრიწყაროს მიტროპოლიტი ანანია, რუის-ურბნისის მიტროპოლიტი იობი, მარაბდელი მიტროპოლიტი თადეოზი, ბოლნელი მთავარეპისკოპოსი ეფრემი, მარნეულისა და ჰუჯაბის ეპისკოპოსი გიორგი, აგარა-წალკის ეპისკოპოსი იოანე, ბოდბელი ეპისკოპოსი იაკობი, თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპისკოპოსი მიქაელი, სურამისა და ხა-

გაგრძელება მე-11 გვერდზე



1. მდინარე იტალიაში; 2. „ნაბოლარა“ თითი; 3. ვენესუელის დედაქალაქი; 4. გვინეის დედაქალაქი; 5. სანჩო ... (პერს.); 6. ამონი; 7. ჭეშმარიტად; 8. ესპანელი მევიოლინე და კომპოზიტორი; 9. ბატონო (პოლონურად); 10. მაუგლის მეგობარი გველი; 11. ... რობერტსი; 12. ახლის აღმნიშვნელი წინსართი; 13. ბოსტნეული მცენარე, რომლის ფესვიც იჭმება; 14. მიწის ფართის საზომი ერთეული; 15. სახელმწიფო ტერიტორიის გარკვეული ერთეული; 16. ივლისი; 17. მასის ერთეული; 18. ირმა ... (პიანისტი); 19. იაპონელი თვითმკვლელი მფრინავი II მსოფლიო ომში; 20. მწყობრი ნაბიჯით სვლა; 21. სატურნის თანამგზავრი; 22. მოქმედების ნაწილი დრამატულ ნაწარმოებში; 23. შუამავალი სავაჭრო გარიგებაში; 24. ძვირფასმერქნიანი ტროპიკული მცენარე; 25. შენობის შიდა ეზო; 26. მთავრობის მეთაური; 27. ნათესების მავნე მწერი; 28. ბუნებრივი საღებავი; 29. უფერო გაზისებრი საწვავი ნივთიერება; 30. მთა და სოფელი ყვარლის რაიონში; 31. ... მორჩილაძე; 32. ვანესა ... (მევიოლინე); 33. ლიმონის პიტნა.

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ფეიხოა; 2. ღვინიო; 3. პამფლეტი; 4. ყინული; 6. პაპარაცი; 8. პრაიდი; 11. სინაგოგა; 12. ვაკუუმი; 16. ფანზა; 17. ჰიჯრა; 18. არაყი.

**თარაზულად:** 1. ფარღული; 5. ტემპი; 7. ფაჩულია; 9. ხილნარი; 10. ლუტეცია; 13. დენტინი; 14. კიბუცი; 15. დალი; 19. გულიაში; 20. „რისლინგი“; 21. დელტაპლანი; 22. ხაშური.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. არწივი; 2. ნიყვი; 3. გრახტი; 4. ქორქია; 6. „ფარაონი“; 9. არაყი; 11. კურიოზი; 15. ლაფონტენი; 16. ბონუსი; 17. მარადონა; 19. იმპულსი; 21. პაპაინი; 22. ირტიში.

**თარაზულად:** 5. ერისთავი; 7. ავსტრია; 8. ტრიერი; 10. „არაბიკა“; 12. იგავი; 13. „კრუპი“; 14. ბაყალხანა; 18. გრილი; 20. ტონაჟი; 23. ბრინჯი; 24. პაპი; 25. „მოსადი“; 26. შუნი; 27. „მნათობი“.

# ფოთის თეატრი თბილისში ჩამოდის

ეკა ირემაშვილი

ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო პროფესიული თეატრი თბილისში ჩამოდის. 15 აპრილს მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის ფოთის თეატრის დასი წარმოადგენს სპექტაკლს „ალუბლის ბაღი. რეპეტიცია“, რომლის რეჟისორიც დავით მღებრიშვილია. მან სპექტაკლი ანტონ ჩეხოვის პიესის „ალუბლის ბაღის“ მიხედვით დადგა, რომლის თარგმანიც მანანა ანთაძეს ეკუთვნის, სცენოგრაფია – თამარ ოხიკიანს, ქორეოგრაფია – ირინა კუპრავას.

სპექტაკლში მონაწილეობენ მსახიობები ომგერ როხვაძე (ფირსი), ნიარა ჭიჭინაძე (რანევსკაია), ნოდარ ბჟალავა (გაევი), რამინ კილასონია (ლოპახინი), ნინო პაჭკორია (ანია), მაია კულუა (ვარია), ლილი ბოდაველი (შარლოტა), ელგუჯა ქარაია (ტროფიმოვი), გიორგი ჭანტურია (ეპიხოდოვი), თამუნა ჭუბაბრია (დუნიაშა) და ალექსანდრე გუჯაბიძე (იაშა).

სულ მალე ფოთის თეატრი ახალ შენობაში საზეიმოდ გადავა, სადაც პირველი პრემიერაც გაიმართება. წარმოდგენილი იქნება უილიამ შექსპირის „ჰამლეტი“, სპექტაკლს დგამს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი დავით მღებრიშვილი. სცენოგრაფია თამარ ოხიკიანს ეკუთვნის, წარმოდგენაში ფოთის თეატრის მთელი დასი მონაწილეობს. როგორც ფოთის თეატრის წარმომადგენლები აცხადებენ, ეს იქნება სრულიად ახლებური „ჰამლეტი“, რომელიც მაყურებელს შექსპირის სამყაროს სრულიად ახლებურად დაანახებს.

# ხელოვნების მუზეუმში საიუბილეო გამოფენა გაიხსნება

ეკა ირემაშვილი

დღეს საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში საიუბილეო გამოფენა გაიხსნა. ,,ზეობა" – ასე ეწოდება ექსპოზიციას, რომელზეც 75 წლის ილო პატაშურის ნამუშევრებია წარმოდგენილი.

– ილო პატაშური დაიბადა დუშეთის რაიონის სოფელ ხევის წარმომადგენელია. მისი წინაპრები არაგვის ხეობის ხევისთავები და ბაგრატიონთა ტახტის მცველ-მსახურნი იყვნენ XVII-XVIII საუკუნეებში. 16 წლის ასაკში ილო პატაშურმა იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი დაამთავრა, რის შემდეგაც სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში სადაც დღემდე მოღვაწეობს პროფესორად და პეიზაჟის სახელოსნოს ხელმძღვანელად. მას საქართველოს დამსახურებული მხატვრის წოდება მიენიჭა. ავტორს მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენაში მათ შორის გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, იაპონიისა და სხვა ქვეყნების მუზეუმებსა და გალერეებში. გამოფენა ,,ზეობა" ილო პატაშურის 75-ე იუბილესადმია მიძღვნილი. ექსპოზიციაზე წარმოდგენილია ავტორის 90-მდე ნამუშევარი. ექსპოზიცია ხელოვნების მუზეუმში 30 აპრილამდე გაგრძელდება, – განაცხადა ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელმა ანა ვერულაშვილმა.

მისივე ინფორმაციით, თბილისის ისტორიის მუზეუმის საგამოფენო სივრცემ ნიკო ფიროსმანის 150 წლისადმი მიძღვნილ საერთაშორისო გამოფენას უმასპინძლა, სადაც წარმოდგენილი იყო ფერწერული, კერამიკული და ჭედური ნამუშევრები. თბილისის ისტორიის მუზეუმში მოეწყო გამოფენა ,,ტრანსრეალიზმიც".

– ეს არის სერგო კენჭაძის გამოფენა, რომელიც კიდევ ერთხელ წარმოაჩენს ქართველი მხატვრების 60-იანელთა თაობის გამორჩეული წარმომადგენლის, აზროვნებას და დახვეწილ ხედვას. გამოფენის სახელწოდება ტრანსრეალიზმი, დღევანდელ სინამდვილესაც უკავშირდება და ამავე დროს, მარადიულ, ზოგადსაკაცობრიო იდეალებს ასახავს. ექსპოზიციაზე ავტორის მიერ სხვადასხვა ჟანრში შესრულებული ნამუშევრები იქნება წარმოდგენილი, მათ შორისაა ფერწერული, გრაფიკული, პოპ-არტისა და დიზაინის ელემენტებით შესრულებული კომპოზიციები. სერგო კენჭაძე თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტის კურსდამთავრებულია. მას ჰქონდა გამოფენები თბილისში, მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, რიგაში, იურმალაში, ტალინში. მონაწილეობდა ამიერკავკასიის მხატვართა ბიენალეში, საქართველოს სახვითი ხელოვნების რეტროსპექტივაში. სხვადასხვა წლებში ჰქონდა პერსონალური გამოფენები თბილისის კავკასიის სახლში და თბილისის სურათების ეროვნულ გალერეაში. სერგო კენჭაძე მუზეუმის ექსპოზიციონერი იყო, მისი მონაწილეობით 15-მდე ექსპოზიცია შეიქმნა სხვადასხვა მუზეუმებში. ეს გამოფენა 25 აპრილამდე გასტანს, – განმარტა ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელმა.

მისივე თქმით, საქართველოს ეროვნული მუზეუმის თბილისის ისტორიის მუზეუმში ავთანდილ მოსიაშვილის ნამუშევრების გამოფენა სახელწოდებით ,,თავისუფლება" მოეწყო.

– ავთანდილ მოსიაშვილი ქართველი მხატვრების 60-ანელთა თაობის წარმომადგენელია, იგი ყოველთვის აბსტრაქციაში მუშაობდა და გამოირჩეოდა თავისი ხელწერით. გამოფენაზე წარმოდგენილ ფერწერულ ნამუშევართა თემატიკა თავისუფლების ცნების ქვეშ ერთიანდება. ყოველ მათგანში ხდება საგანთა თავისებურებების, მათი თვისებების გამოცალკევება, ხოლო შემდეგ მათი მხატვრული გააზრება. ავთანდილ მოსიაშვილმა თბილისის სამხატვრო აკადემია დაამთავრა. იგი დაჯილდოვდა იაპონიაში ოქროს მედლით სურათისათვის ,,ცივი დღე". ჰქონდა გამოფენები მოსკოვში, ვილნიუსში, ტოკიოში, საქართველოში. მისი ნამუშევრები დაცულია მოსკოვის ტრეტიაკოვის გალერეაში, ავსტრიის, გერმანიის, ბელგიის, ნორვეგიის და ინგლისის კერძო კოლექციებში, – ამბობს ანა ვერულაშვილი.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის თბილისის ისტორიის მუზეუმში ფრანგი ხელოვანის ნიკოლა შნაიდერის პერსონალურ გამოფენას სახელწოდებით ,,დიპ რაივერ".

– ნიკოლა შნაიდერი სტრასბურგში და მარსელში მოღვაწეობს. 2007 წლიდან რენის ხელოვნების უმაღლესი სასწავლებლის გამოფენებისა და პროფესიული დახელოვნების კურსის ხელმძღვანელია. 1992 წლიდან კი ცნობილი მხატვრის ჟან-მარკ ბუსტამანტეს ასისტენტი გახლავთ. სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო ხელოვანმა ნამუშევრების შექმნა წყლის თემაზე, რომელიც მისი შემოქმედების მთავარ მამოძრავებელ ძალად იქცა. ნიკოლა შნაიდერი ქმნის იკონოგრაფიას, მისი ნამუშევრები ფიგურატიულსა და აბსტრაქტულს შორის მერყეობს და დროთა განმავლობაში ფორმასა და მასშტაბებს იცვლის. ამ გამოფენაზე დამთვალიერებელს საშუალება მიეცა, გასცნობოდა ნიკოლა შნაიდერის მრავალფეროვან სამყაროს და ეხილა აკვარელში შესრულებული 50-მდე ტილო. ნამუშევართა უმრავლესობა სპეციალურად თბილისის ექსპოზიციისთვის შეიქმნა. გამოფენის ორგანიზატორობა საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა და საქართველოს ფრანგულმა ინსტიტუტმა ითავა, – აცხადებს ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელი.




ანა ვერულაშვილის თქმით, ეროვნულმა მუზეუმმა დიაწყო კიდევ ერთი პროექტი – ,,ვისწავლოთ გერმანული ენა მუზეუმში", რომლის პრეზენტაციაც საქართველოს ეროვნული მუზეუმის დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში შედგა.

– ინიციატივა საქართველოს გოეთეს ინსტიტუტისა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა. ამ პროექტით მომზადდა დამხმარე სასწავლო მასალა გერმანული ენის სწავლებისათვის. დამხმარე სასწავლო მასალა პედაგოგებს საშუალებას აძლევს ჩაატარონ გასვლითი გაკვეთილი საგამოფენო დარბაზში. გაკვეთილის გეგმა ითვალისწინებს ინტერაქტიულ თამაშებს, გამოფენის გაცნობას, ექსპონატებზე და მათ დეტალებზე ყურადღების გამახვილებას და ამ გზით ახალი გერმანული გამოთქმებისა თუ სიტყვების სწავლებას. ეს მეთოდი ეფუძნება შვეიცარიის ქალაქ ბაზელის ხელოვნების მუზეუმში არსებულ გამოცდილებას, რომელიც ადგილობრივმა სპეციალისტებმა შეიმუშავეს. წარმოდგენილი დამხმარე სასწავლო მასალა მომზადდა მოწვეული შვეიცარიელი ექსპერტის, საქართველოს გოეთეს ინსტიტუტის ენის განყოფილებისა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის სპეციალისტების თანამშრომლობით და თბილისისა და რეგიონების სკოლის პედაგოგების აქტიური მონაწილეობით. ოფიციალური პრეზენტაციის შემდეგ, საგამოფენო დარბაზში ჩატარდა საჩვენებელი გაკვეთილი გერმანული ენის დაწყებით საფეხურზე მყოფი მოსწავლეთათვის, რომელთა ასაკიც 7-12 წელია, – აღნიშნა ანა ვერულაშვილმა.

# სამებაში საბავშვო წიგნის ფესტივალი გაიმართება

დასაწყისი მე-10 გვერდზე

შურის ეპისკოპოსი სვიმეონი, პროტოპრესვიტერი გიორგი, არქიდიაკონი დემეტრე და სხვა სასულიერო პირები. საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში ასევე გაიმართა ნიკო ბაგრატიონის თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმის სასწავლო-შემეცნებით და შემოქმედებით კონკურს ,,სამეფო გვირგვინში" მონაწილე მოსწავლეთა დაჯილდოება. ნიკო ბაგრატიონის თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმის მიერ დაფუძნებულმა სასწავლო-შემეცნებითმა და შემოქმედებითმა კონკურს-ფესტივალმა ,,სამეფო გვირგვინმა" დიდი აღიარება მოიპოვა გასულ სასწავლო წელს. კონკურსში 150 აღსაზრდელმა მიიღო მონაწილეობა. სკოლა-ლიცეუმი უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით დაფუძნდა. სასწავლო პროცესი წარიმართება ზოგადსაგანმანათლებლო, საჯარო სკოლების პროგრამების მიხედვით. დამატებით, რელიგიურ-საგანმანათლებლო პროფილის შესაბამისად ისწავლება კატეხიზმო, ქრისტიანული მოძღვრების საფუძვლები, ეკლესიის ისტორია, საქართველოს ეკლესიის ისტორია, წმინდანთა ცხოვრება, საეკლესიო სამართლის საფუძვლები, ხატვა, გალობა, ასევე, ქართული სიმღერა, ცეკვა. მსურველთათვის გათვალისწინებულია სპორტულ-გამაჯანსაღებელ ვარჯიშთა კრებული. სკოლა-ლიცეუმს ჰყავს მოძღვარი. უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე გამუდმებით შეგვახსენებს მოზარდის აღზრდის დიდმნიშვნელოვან საქმეში ოჯახის, სკოლისა და ეკლესიის ერთობლივი მონაწილეობის შესახებ, მოსწავლეთათვის ჩვენს სახელოვან წინაპართა დიდ მამულიშვილურ და საგმირო საქმეთა გაცნობის აუცილებლობას. აღნიშნული ფესტივალის, კონფერენციისა და მხატვრული ტურების ჩატარების აუცილებლობა სწორედ უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევის გამოძახილს წარმოადგენს. ამ კონკურსის მიზანს წარმოადგენს, გამოავლინოს და წაახალისოს ნიჭიერი და შრომისმოყვარე მოსწავლეები, გააძლიეროს მათი ორიენტაცია ქრისტიანულ, ეროვნულ და ტრადიციულ ფასეულობებზე, კულტურაზე; ყურადღება გაამახვილოს ქართველ მეფეთა, ღვთისმსახურთა, წმინდანთა, მხედართმთავართა, ქართველ ხელოვნების მოღვაწეთა ცხოვრებასა და დამსახურებაზე. კონკურსი ჩატარდა დევიზით ,,მამული, ენა, სარწმუნოება, მეფე". ამ კონკურსის ფარგლებში გაიმართა კონფერენციები: ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ინგლისურ ენაში, ისტორიაში, მათემატიკაში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში და ღვთისმეტყველებაში, – განაცხადა ნათია გოგუაძემ.

# ანა ტატიშვილი: სამწუხაროდ, ჩემი ქვეყნისგან საჭირო მხარდაჭერა და დახმარება არ მქონია!"

ანა ტატიშვილმა ამერიკის მოქალაქეობა რომ მიიღო და ამიერიდან საქართველოს სახელით აღარ იასპარეზებს, უკვე ვწერდით. ამ ყველაფერმა ქართველ საზოგადოებაში ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ცხადია, ეს ყველაფერი უცხო არც თავად ტატიშვილისთვის დარჩენილა, რომელმაც ფეისბუქის საკუთარ გვერდზე განცხადება გაავრცელა.

– ჩემო საყვარელო მეგობრებო და გულშემატკივრებო! მინდა გითხრათ, რომ ამერიკის მოქალაქეობა მივიღე და გადავწყვიტე საჩოგბურთო ტურნირებში ამერიკის სახელით გამოსვლა. ამ გადაწყვეტილების მიღება ჩემთვის ძალიან ძნელი, მეტიც, მტკივნეული იყო რადგან სულით და გულით ქართველი ვარ.

მიუხედავად სირთულეებისა ბოლომდე ვეცადე ჩემი ქვეყნის სახელი შეძლებისდაგვარად კარგად წარმომედგინა – მეამაყებოდა, როდესაც ჩემი გვარის გასწვრივ საქართველო ეწერა. თუმცა, მოვლენათა მსვლელობამ ეს უკვე შეუძლებელი გახადა.

ჩოგბურთი რთული და ძვირადღირებული სპორტია. ესაჭიროება კარგი სავარჯიშო პირობები, მწვრთნელები, სპარინგი. ეს აუცილებელია თამაშის მუდმივი სრულყოფისათვის და ტრავმების თავიდან ასაცილებლად. მთელი წელი ვმოგზაურობ და მწვრთნელთა მთელი გუნდი თან უნდა მახლდეს. პირველ ასეულში, მე მგონი, ერთადერთი მოთამაშე ვიყავი, რომელსაც მწრვთნელთა გუნდი თან არ დაჰყვებოდა. მამაჩემს უწევდა ყველა ფუნქციის შესრულება. არსებული ფინანსური მდგომარეობით, მარტო მე და ჩემი ოჯახი ვერ ვაკმაყოფილებთ ჩემი ჩოგბურთის განვითარების მოთხოვნილობებს.

სამწუხაროდ, მე ჩემი ქვეყნისგან არ მქონია საჭირო მხარდაჭერა და დახმარება. მხოლოდ 2010-12 წლებში ლონდონის ოლიმპიადაზე მოსახვედრად ოლიმპიურმა კომიტეტმა ჩოგბურთისათვის მცირე დახმარება გამიწია. მესმის, რომ საქართველო მდიდარი ქვეყანა არაა, მაგრამ უყურადღებობის მიზეზი მაინც გულგრილობა მგონია – ხშირ შემთხვევაში ვგრძნობდი დამცირებას საქართველოს სპორტული ხელმძღვანელობისგან. ბოლოს საქართველოს ჩოგბურთის ხელმძღვანელობას ველაპარაკე ერთი წლის წინ და ავუხსენი ჩემი მდგომარეობა – თუ რა ესაჭიროება ჩემს საჩოგბურთო კარიერას.

მინიმალური საჭიროება ერთი მწვრთნელის ხარჯების გადასახადი იყო. ტრავმა მქონდა – ფეხზე სამი მყესი მქონდა გაწყვეტილი. საგონებელში ვიყავი. ცხადია, ისიც ვუთხარი, რომ საქართველო თუ ვერ დამეხმარებოდა, მაშინ სხვა გზებით მომიწევდა პრობლემებიდან თავის დაღწევა.

სამწუხაროდ ჩემი ქვეყანა ვერანაირად ვერ დამეხმარა – ერთხელაც არ დამიკავშირდნენ. ამ პირობებში შეუძლებელი ხდებოდა საჩოგბურთო კარიერის გაგრძელება, თან, წელსაც ტრავმით დავიწყე სეზონი – ისევ ფეხის მყესი დავიზიანე და ერთ თვეზე მეტია ვერ ვვარჯიშობ. ასეთ პირობებში იძულებული გავხდი გამოვიდე ამერიკის სახელით. მჯერა, ყველანაირად უკეთესი პირობები მექნება რაც დაეხმარება ჩემ საჩოგბურთო კარიერას.

ერთადერთ მუდმივ ადამიანურ ყურადღებას საქართველოს საჩოგბურთო ხელმღვანელობიდან მხოლოდ ლალი ზერეკიძესაგან და ემზარი ზეინიშვილისაგან ვგრძნობდი, რისთვისაც მათი დიდი მადლობელი ვარ.

წლებია მქონდა შემოთავაზებები, რომ წარმომედგინა სხვა ქვეყნები (ამერიკა, ყაზახეთი), მაგრამ სანამ საშუალება მქონდა, ამას არ ვაკეთებდი. ოთხი წლიდან ამ სპორტით ვარ დაკავებული, ცხოვრება ჩოგბურთს მივუძღვენი – ყოველდღიურად ვშრომობ, მთელი ჩემი კონცენტრაცია ჩოგბურთზეა, ბევრი რამ დავიკელი, ბევრზე საერთოდ უარი ვთქვი და მინდა, რომ შრომა დამიფასდეს, მივაღწიო ჩემ მიზნებს.

სულით ქართველი ვრჩები და იცოდეთ, რომ ჩემი გამარჯვება ქართული სულის და გენის გამარჯვება იქნება. თან, იქნებ დაფიქრდნენ სპორტის მესვეურები საქართველოში და გულით მოეკიდონ მომავალ თაობებს.

მინდა გადაგიხადოთ უდიდესი მადლობა წლების განმავლობაში გულშემატკივრობისათვის და მუდმივი თანადგომისათვის. იმედი მაქვს, თქვენგან სითბო მომავალშიც არ მომაკლდება. ძალიან მიყვარხართ ჩემო გულშემატკივრებო. ასევე ძალიან მიყვარს ჩემი სამშობლო საქართველოც – მე ყოველთვის ქართველი ვიქნები.

მ. ჟ.

## ცფვუკჯდბფჯჯ უფყნ[ფლჭ,ჭ,ბ

### შალვა რეხვიაშვილის გახსენება



დადგა ცრემლიანი შენი დაბადების დღე – 14 აპრილი. მეორედ ვხვდებით უშენოდ შენს დაბადების დღეს. გავიდა მონატრებით აღსავსე მეორე დაბადების დღე. უშენობა გაუსაძლისი ხდება. ტკივილი, რომელიც შენმა უეცარმა გარდაცვალებამ მოგვიტანა, ვერაფრით შუშდება, ჩემო უსაზღვროდ მოსიყვარულე, თბილო, მზრუნველო და კეთილო მეუღლევ. შენ ხომ ყოველთვის ოჯახზე, შვილებსა და შვილიშვილებზე ზრუნავდი, ვერავინ ავსებს შენგან დატოვებულ სიცარიელეს. თვალცრემლიანი შევყურებთ შენს სურათს, გვეამაყები, რადგან ამქვეყნად ისე იცხოვრე, რომ კაცური კაცის სახელი დატოვე. ძალიან გვიჭირს უშენოდ. შენ ხომ კაცური კაცის ღირსების გარეშე ერთი დღეც არ გიცხოვრია, თესავდი უსაზღვრო სიყვარულს შენს ნათესავებში. მადლობას ვუხდით უფალს, რომ შენ ჩვენ გვერდით იცხოვრე. ყოველი დღე შენზე ფიქრით იწყება და სრულდება. ორჯერ 66 წელი უნდა გეცოცხლა, რომ შენი ადამიანობით მხოლოდ სიყვარული და სიხარული გეთესა. შენთან ურთიერთობა ყველას უხაროდა. შენ ხომ ადამიანობისა და წესიერების ეტალონი იყავი.

იძინე მშვიდად, ჩემო მარად ცოცხალო, საამაყო და პატივცემულო მეუღლევ, მამავ და ბაბუავ.

გულისტკივილით გიგონებენ ახლობლები, მეგობრები, მეზობლები.

*შენზე უსაზღვროდ მონატრებული მეუღლე, შვილები, შვილიშვილები*

ცფვუკჯდბფჯჯ უფყნ[ფლჭ,ჭ,ბ ვბბქჭ,ფ .ჯდჭკლქჭ7
რდბპბს უფპლფ7 !@–ლფყ!& ცფფსფვლჭ8



## TV პროგრამა

**ოიშაბათი 14 აპიიღი**

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.20** "ჩემი წიგნი" **15.25** "ტელებლოგი" **17.00** დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" **18.00** ტ/სერ. **"დავქორწინდეთ"** **19.30** "ქართული ჯარი" **21.00** ტ/სერ. **"ნიკოლა ლე ფლოკი"** **22.00** სოციალური თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **23.30** "საფეხბურთო მიმოხილვა" (პ/ე) **00.30** მხ/ფ **"სრულყოფილი სამყარო"** (კ.ისტვუდი) **02.50** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა (გ/ჩვ)

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ქალაქები" – "ბუდაპეშტი" **08.45** მხ/ფ **"ვერცხლის ტბის განძი"** **10.30** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" – "ბავარია" **11.00, 12.30** მხ/ფ **"გრაფი მონტე-კრისტო"** I-II ნაწ. **14.00** "ეპიცენტრი" ( საბ. გ/ჩვ) **15.00, 17.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **16.00** ტ/სერ. **"მაგდა ემი"** **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

**07.00** მხიარული კამერა **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45** ქრონიკა. **10.05** სერ. **"ბედის ანაბარა"** **11.20, 12.05** სერ. **"შურისმაძიებელი"** **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05, 16.03** სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** **17.50, 19.05** სერ. **"მარგალიტი"** **21.00** სერ. **"სილა"** **22.00** ორი ვარსკვლავი **00.00** მხ/ფ **"შეუჩერებელი"** (ს. სტალონე) **01.55** მხ/ფ **"შიმშილის თამაშებ"** (ჯ.ლოურენსი)

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. ""**ვარდისფერი ბრილიანტი"** **11.00** სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00, 17.00** სერ. **"არ დამივიწყო"** **18.55** სერ. **"ტიტების დრო"** **20.00** სერ. **"ქალბატონი დილა"** **22.00** X - ფაქტორი **00.00** სპორტ ტაიმი **01.00** შიშის ფაქტორი **02.00** მხ/ფ.

**06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** დოკ/ფ "ცარიელია სახლი" **07.05** დოკ/ფ "რასელისტები" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** დოკ/ფ "მანანა დოიჯაშვილი" **13.00** ქვიშით ნაამბობი **13.10** კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** დოკ/ფ "გზა" I ნაწ. **16.00** კონცერტი - გია ყანჩელი **"ლიტურგია"** **17.00** საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება(გ.გვასალია) **17.10** დიდი მარხვა - მამა მაქსიმე -დიდი ორშაბათი **18.05** განთიადის სტუმარი **18.35** ერთსულოვნების ვერნისაჟი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.25** დოკ/ფ "საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი" **20.40** ძილი ნებისა **21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.20** პატერიკი **21.25** სახლი ღვთისა **21.40** საღვთისმსახურო წელიწადი **22.25** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეიდან **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "იაკობ გოგებაშვილი" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე

**მაესტრო** **5.30, 6.30, 7.30** ფარული კამერა **8.00** მულტფილმი "ტრონი" **9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **9.15** **სერიალი "ჩემი შვილები"** **10.15, 16.00** **სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** (გამ) **13.00, 18.25, 0.30, 3.15** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ) **13.40, 21.30, 1.30, 3.45** "ყოველდღიური ამბები" (გამ.) **14.00** სტუდია "მონიტორის" ჟურნალისტური გამოძიება **14.30, 1.45,** NX სპიკერი **19.00** **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** **20.00** **სერიალი "დაკარგული დრო"** **21.45** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 2.15** **სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**

ghjuhfvt,b b,tzlt,f
cffutynj 3byajpfdhbc4
yt,fhsdbs

# მიგ® 400 იბუპროფენი

...და ტკივილი
სწრაფად

ეროვნული ბიბლიოთეკა




**განსაკუთრებული შემადგენლობის წყალობით**

**ტაბლეტი 2 წუთში იხსნება**

**და სწრაფად გათავისუფლებთ ტკივილისაგან**






BERLIN-CHEMIE
MENARINI

მიგ® 400 მიიღება 6 წლიდან!

თბილისი 0160, გამრეკელის 19; ტელ: 224 13 70/71/72;
ფაქსი: 224 12 10; ელ-ფოსტა: geobc@wanex.net

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას. გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

MIG01.2013